

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები
X

ჩილდირის ეიანეთის ჯაგა დავთარი
1694—1732 წწ.

თურქული ტექსტი ქართული თარგმანით
გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ,
გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ

პირველად ქვეყნდება ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთის ჯაბა დავთრის თურქული ტექსტი ქართული თარგმანით.

დავთარი დაცულია სოფიაში, კირილესა და მეთოდეს სასელობის ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში. დოკუმენტში ფიქსირებულია ახალციხის საფაშოში მდებარე ფეოდალური საკარგავები — ხასები, ზეამეთები და თიმარები.

ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთრის გამოცემით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის მნიშვნელოვანი მასალა XVII—XVIII საუკუნეების სამხრეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესასწავლად.

Впервые публикуется турецкий текст с грузинским переводом Джаба дефтера Чилдырского (Ахалцихского) вилайета. В реестре зафиксированы ленные владения — тимары, знаметы и хассы Чилдырского (Ахалцихского) пашалыка.

Изданием «Джаба дефтера» в научный обиход вводится весьма значительный материал для изучения вопросов социально-экономической истории и исторической географии Южной Грузии XVII—XVIII вв.

Оригинал документа хранится в Софии в Восточном отделе библиотеки имени Кирилла и Мефодия.

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედ. მონაღვილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოსტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედ. მონაღვილე)

სერიის რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი
ტომის რედაქტორი ს. ჯიქია

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джапашна (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигური (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (Зам. главного редактора), Г. А. Мелкишвили, Е. П. Метрели, Э. В. Хостария.

Редактор серии С. Г. КАУХЧИШВИЛИ
Редактор тома С. С. ДЖИКИЯ

საქართველოს ისტორიის წყაროების
კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976. წიგნი 1.
2. აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976. წიგნი 2.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977. წიგნი 3.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978. წიგნი 4.
5. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977. წიგნი 5.
6. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978. წიგნი 6.
7. ტბეთის სულთა მატეანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977, წიგნი 7.
8. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების (პიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978. წიგნი 8.
9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანი, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა რევაზ კიკნაძემ, თბ., 1978. წიგნი 9.
10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978. წიგნი 10.
11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник, перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Н. Алексидзе, Тб., 1978, книга 11.

12. Памятник эриставов, Русский перевод, вступительная статья, и комментарии С. С. Какабадзе. Тб., 1979, книга 12.
13. Сумбат Давитис-дзе, История и поветствование о Багратионах, перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тб., 1979. Книга 13.
14. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთონოდარ შენგელიამ, თბ., 1979, წიგნი 14.
15. ზაქარია აგულეცი, დღიური, ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძემ. თბ., 1979, წიგნი 15.

შინაარსი

წინასიტყვაობა	9
ოსმალური დავთრების შესწავლის ისტორიიდან	11
ოსმალური აღწერის დავთრები	25
ქართული დავთრები	45
საქართველოსათვის შედგენილი ოსმალური დავთრები	54
ჩილდირის ეიალეთის ჭაბა დავთარი	64
„ჭაბა დავთარი“, როგორც საისტორიო წყარო	76
ტექსტისათვის	96
შემოკლებათა სია	98
ჩილდირის ეიალეთის ჭაბა დავთარი—ქართული თარგმანი	100
რეზიუმე რუსულ ენაზე	205
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	216
პირთა და გეოგრაფიულ სახელთა სპიხებლები	223
„ჭაბა დავთრის“ თურქული ტექსტი	ჴ

СОДЕРЖАНИЕ

Предисловие	9
Из истории изучения османских реестров	11
Османские кадастровые дефтеры	25
Грузинские дефтеры	45
Османские дефтеры, составленные на территории Грузии	54
Джаба дефтер Чилдырского эялета	64
„Джаба дефтер“ как источник по истории Ахалцихского пашалыка	76
К публикации текста	96
Список сокращений	98
Грузинский перевод «Джаба дефтера»	100
Джаба дефтер Чилдырского эялета 1694—1732 гг. (резюме)	205
The Defter-i Caba of the Childir Eyalet in 1694—1732 (summary)	216
Указатель личных и географических имен	223
Турецкий текст «Джаба дефтера»	ჴ

წინასიტყვაობა

ოსმალურ სარეესტრო წიგნებს, დავთრებს, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ ოსმალეთის, ისე მეზობელი ქვეყნების ისტორიის, ეკონომიკის, კულტურისა და ისტორიული გეოგრაფიის მრავალი საკითხის შესწავლისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამჟამად დიდი მუშაობაა გაშლილი როგორც თურქეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ ოსმალური დავთრების შესწავლა-გამოსაქვეყნებლად.

სოფიაში კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში ინახება უამრავი ოსმალური დოკუმენტი კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. მასალის სიმდიდრითა და მნიშვნელობით სოფიის აღმოსავლურ კოლექციებს სტამბულისა და ანკარის არქივები თუ დაუდგებიათ წინ. 1961—1962 წწ. ბულგარეთში მივლინების დროს თბილისის უნივერსიტეტის დოც. კ. მეშველიანმა კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკაში შეარჩია საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო დოკუმენტები და გადმოიღო ისინი ფოტობირზე¹. 1975 წ. ეს მასალა დაიბეჭდა აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიაში.

ბულგარეთიდან ჩამოტანილი საბუთებიდან ჩვენი ყურადღება უპირველესად მიიქცია „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარმა“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთის დროინდელ სამხრეთ-

¹ კ. მეშველიანი, ბულგარეთის არქივში დაცული ოსმალური დოკუმენტურად წყაროები საქართველოს შესახებ, თსუ შრ., ტ. 127, ისტორიის მეცნიერებათა სერია, თბ., გვ. 419—421. ბულგარეთიდან ჩამოტანილი ეს მასალა ჩვენ გადმოგვცა დოც. კ. მეშველიანმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად².

წინამდებარე ნაშრომში ვაქვეყნებთ ამ დავთარს, რომელიც დღემდე უცნობი იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში და ვურთავთ გამოკვლევას. გაიკვლევიდან ქვეთავი — ძეგლის შედგენილობა ეკუთვნის ც. აბულაძეს, დანარჩენი — მ. სვანიძეს.

² „ჯაბა დავთრის“ შესახებ ჩვენ მიერ წინასწარი დაკვირვებები მოხსენების სახით წაქითხულ იქნა: 1976 წ. 25 მაისს აკად. გ. შერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე და 1976 წ. 12 ოქტომბერს ანკარაში თურქეთის საისტორიო საზოგადოების VIII კონგრესზე. „მაცნეში“ (ისტორიის სერია), 1977 წ. №4, გვ. 131—138, გამოვაქვეყნეთ წერილი.

ოსმალური დავთრების შესწავლის ისტორიიდან

სიტყვა დეფთერი (თეფთერი) ან დავთარი მომდინარეობს ბერძნულ *diphthera*-დან — ტყავი, რომელსაც ხმარობდნენ პაპირუსის ნაკლებობის გამო. ჰეროდოტემდე (V ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ტყავზე წერდნენ მცირეაზიელი ბერძნები. სპარსეთის მეფის დარიოს ვიშტასპის ძის (522—486 წწ. ძვ. წ.) დროს ხმარობდნენ ტყავს, ნაცელად თიხის ფირფიტებისა. აქედან ბერძნული სიტყვა *diphthera* შევიდა სპარსულ ენაში *defteri*-ს სახით პერგამენტის მნიშვნელობით. იგი თავდაპირველად აღნიშნავდა წოდებათა სიას, შემდეგ ყოველგვარი აღწერის სიას. შესაძლებელია, რომ სიტყვა დავთარი სპარსული გზით შევიდა არაბულში.

აღრე ისლამურ ხანაში დავთარი იყო წიგნის ან ბუკლეტის ფორმისა და გამოყენებული იყო შენიშვნების ჩასაწერად.

დავთრის სამსახურებრივი გამოყენება აღრე ისლამურ ხანაში დაკავშირებულია ხალიფა ომართან (661—750), რომელმაც შემოიღო სპეციალური თანამდებობა დაპყრობილი ქვეყნების გადასახადებით დაბეგვრის მიზნით. ამ დავთრის თავდაპირველი ფორმა ჩვენთვის არაა ცნობილი. შესაძლებელია, ეს იყო პაპირუსი, რომელსაც ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ მასალად იყენებდნენ სახალიფოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ აპარატში. ეს დოკუმენტი შეიცავდა ცნობებს სახელმწიფო გადასახადებისა და ქვეყნის მოსახლეობის შესახებ. საერთოდ, ომაელთა (661—750) ხალიფები მისდევდნენ ბიზანტიურ ბიუროკრატიულ პრაქტიკას და აღწერისათვის იყენებდნენ პაპირუსებს (გრაგნილის ფორმით) და ამას არ ჰქონდა კოდექსის (კრებულის) ფორმა.

უკვე არაბი ისტორიკოსი ბალაზორი ხმარობს დავთარს და განმარტავს მას როგორც რეესტრს. ტაბარის (838—923) ცნობით, 766/7 წელს აბუ მუსლიმის მოთხოვნით დამზადებულ იქნა ხორასნისათვის საგადასახადო უწყისი, სახელწოდებით დავთარი. ხოლო ხალიდ ბენ

ბარმაკის დროს (საფაში მეფობდა) კოდექსი თუ რეგისტრი შემოღებულ იქნა ცენტრალურ ადმინისტრაციაში.

აბასიდების ხანაში (750—945) დავთარს კოდექსის (კრებულის) ფორმით ხმარობდნენ სახელმწიფო გადასახადების აღსაწესხავად.

IX საუკუნიდან იწყება ქალაქის ხმარება და ამ დროიდან მოყოლებული ტერმინი დავთარი აღნიშნავს ადმინისტრაციულ რეესტრსა და საგადასახადო წიგნს. დავთრის სისტემა პირველად შემუშავებული იყო ირანსა და ერაყში.

სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის დახვეწა-განვითარებასთან ერთად იწყება დავთრის სპეციალიზაცია. შეიქმნა სხვადასხვა ტიპის დავთრები.

X საუკუნეში პირველად მოჰამედ ბენ აჰმედ ალ-ხვარაზმიმ მოგვცა დავთრების სპეციალური აღწერა. მას ჩამოთვლილი აქვს 19 სახის დავთარი. აქედან მთავარი იყო კანუნი ალ-ხარაჟი, რომელიც განსაზღვრავდა ცალკეული ქვეყნიდან და ოლქიდან სახელმწიფო ხაზინაში შემოსულ გადასახადთა რაოდენობას. ხვარაზმი დავთრებს ჰყოფს ორ ჯგუფად: ფისკალური და სამხედრო. ეს დავთრები გამოყენებული იყო აბასიდების სახელმწიფო ადმინისტრაციაში.

მომდევნო ხანაში (მონღოლთა ბატონობის დროს, სელჩუკთა სახელმწიფოში, ირანში და სხვ.) დავთრები ფართოდ იყო გამოყენებული სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატში¹.

ამ პერიოდში დავთრების შედგენასა და გაფორმებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა, რის შედეგადაც დავთრები კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა და მათმა გამოყენებამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

ოსმალეთის სახელმწიფო-ბიუროკრატიულ აპარატში ფართოდ იყო გამოყენებული დავთრები. ოსმალეთში დავთარი ეწოდებოდა ადმინისტრაციულ და საფინანსო წიგნებს, რომლებიც შეიცავდა ჩანაწერებს, ოქმებს, დაწვრილებით აქტებს. მათ ჰქონდათ აღწერის (რეგისტრაციის) ხასიათი. ოსმალეთში ცნობილია სხვადასხვა სახის დავთრები: სულთნის (სამეფო) ღიჯანის ჩანაწერები (Mühimme defterleri); მთავრობის

¹ დაწვრილებით იხ. B. Lewis, Daftar, The Encyclopedia of Islam, New edition v. 11, fas. 24, London, 1961, გვ. 77—78.

დადგენილებათა დავთრები (Ahkâm defterleri), ყოველდღიური შემოსავლისა და ხარჯის აღრიცხვის დავთარი (Ruznamçe), საანგარიშო დავთრები (Muhasebe defterleri), ავარიზის, მუჯატაას საგადასახადო დავთრები, იანიჩარების, მუთეფერიკების, ვოინუქების, აკინჯიების სამხედრო შენაერთების დავთრები და სხვა.

დავთრებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქვეყნის აღწერის დავთრებს (tahrir defterleri), რომელთაც აგრეთვე საიმპერიო (სასულთნო) — (defteri hakani) — დავთარს უწოდებდნენ, ზოგჯერ კი — (tapu defteri) თავუ დავთარსაც. აღწერის დავთრები ორი სახისა იყო: 1. დიდი (დაწვრილებითი) დავთარი (defteri mufassal) და 2. მცირე დავთარი (defteri icmal ან defteri mücmel), ზოგჯერ მას თიშარ დავთარსაც უწოდებდნენ. ამ სახის დავთრები ძვირფასი წყაროა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის დასახასიათებლად (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

თურქული აღწერის დავთრების შესწავლა და, განსაკუთრებით კი, მათი გამოცემა გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ამის გამო აკადემიკოსი გ. წერეთელი წერდა: „ასეთ დავთრებს ადგენდნენ სპეციფიკური არაბული შრიფტით, რომელიც სიაკათის ხელით არის ცნობილი. ასოები ისეა ნაწერი, რომ თანხმოდანთა ერთმანეთისაგან განმასხვავებელი წერტილები არ აღინიშნება. ის ასოებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივს არაბულ დამწერლობაში საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სიაკათის შრიფტებში ერთნაირად იწერება, ისე რომ ასეთი დავთრის ამოკითხვა დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ტექსტის ამოკითხვისათვის არ კმარა თურქული ენის კარგი ცოდნა, საჭიროა მკვლევარი ზედმიწევნით იცნობდეს სათანადო მხარის ტოპონიმიკას, უწერილეს გეოგრაფიული პუნქტების (სოფლების, ნასოფლარების, მთების, ველების) სახელწოდებებს, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის საკუთარ სახელებს, რომ სწორად შესძლოს მისი ამოკითხვა“².

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თურქული დავთრების ტექსტის გამოცემა შედარებით გვიან განხორციელდა (XX ს-ის 40-იან წლებში). საერთოდ კი, თურქული დავთრების შესწავლა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო.

² გ. წერეთელი, სერგი ჩიქიას ცხოვრება და მოღვაწეობა „აღმოსავლური ფილოლოგია“, ტ. III, თბ., 1973, გვ. 10.

ავსტრიელმა მეცნიერმა გუსტავ ფლუგელმა შეისწავლა და აღწერა ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული 217 სხვადასხვა თურქული დოკუმენტი — საკადასტრო, სამხედრო, საგადასახადო და საანგარიშო დავთრები³. ამ დოკუმენტების ანალიზი და მათი მეცნიერული ღირებულების შეფასება მოგვცა უნგრელმა მეცნიერმა ა. სცილადიმ⁴. ეს დოკუმენტები მოგვიანებით უნგრულ ენაზე თარგმნა ა. ველიჩმა. მკვლევარმა უნგრულ თარგმანში დამატებით შეიტანა მრავალი ცნობა სხვადასხვა დავთრიდან, რომლებიც შეეხებოდა უნგრეთს და მიუთითა ამ დოკუმენტების დიდ მეცნიერულ ღირებულებაზე⁵.

XVI საუკუნის დავთარი, რომელიც უნგრეთის ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ნაპიეს მოიცავს, გამოსცეს და თარგმნეს ა. სცილადიმ და ფ. შტელტცერმა⁶.

პირველი მეცნიერული გამოკვლევა თურქული დავთრებისა და სარეესტრო წიგნების შესახებ ეკუთვნის ჩ. ტრუჰელკას⁷. მანვე 1911 წელს ამოკრიბა ცნობები დუბროვნიკის არქივიდან XV საუკუნეში თურქების მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინას აღწერასთან დაკავშირებით⁸.

1921 წელს თურქმა ისტორიკოსმა აჰმედ რეფიკმა გამოსცა მეჰმედ ფათიჰის დროინდელი ანატოლიის ერთ-ერთი პროვინციის (კოჯაელის) აღწერის დავთრის ფრაგმენტი⁹.

უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე 1711 წლის ბოსნიის სიფაჰიების ლენების აღწერა, რომელიც გამოაქვეყნა ვლ. სკარიჩმა¹⁰.

³ Gustav Fliegel, Die arabischen, persischen und türkischen Handschriften der kaiserlich-königlichen Hofbibliothek zu Wien, Bd. 11, Wien, 1865, 33-441—476.

⁴ A. Szilády, A defterköi, Ertekzesek a nyelv-es szept udo manyok köreből 11, Budapest 1872.

⁵ Antal Veličs, Magyarországi török kincstari defterek. Uredio ernő Kammerer, 1—11, Budapest, 1886—1890.

⁶ A. Szilády, Fr. Steltzer, Adotoka török defterekben. Bacs-Bodroy varmegyei Történelmi Tarsub at Evkönyve, 1, 1885.

⁷ Čiaro Truhelka, Historička podloga agrarnog pitanja u Bosni, Sarajevo, 1915.

⁸ Čiaro Truhelka, Tursko-slovenski spomenici Dubrovačke arhive. Sarajevo, 1911.

⁹ Ahmed Refik, Fatih zamanında Kocaeli, Turk Tarih Encümeni mecmuasi br. 1 (78), 1340, 25.

¹⁰ Skarič, Glasnik Zemaljskog muzeja XLVII, 2, 1930, 5—99.

დ. პოპოვიჩმა, გამოიყენა რა ა. ველიჩის გამოცემა, შეიტანა შიგ მთელი რიგი ახალი დეტალური ცნობები და თავისი მოსაზრებანი გამოთქვა უძველესი საკადასტრო წიგნების შესახებ¹¹.

1938 წელს სტამბოლის არქივში ბრანისლავ ჯურჯიევმა მოიძია ორი დავთარი, რომლებიც შეეხება ცრუ-გორას სკანდერ ბეგის ეპოქაში (XV ს.) და გამოსცა¹². უფრო გვიან მან გააქეთა ამ ხელნაწერის დეტალური აღწერა და ძირითადი შინაარსის თარგმანი¹³.

1947 წლიდან იწყება ახალი ეტაპი თურქული დავთრების შესწავლის საქმეში. ამ წელს, თურქული საისტორიო საზოგადოების ინიციატივით, შეიქმნა სპეციალური კომისია თურქული დავთრების პუბლიკაციის მიზნით. მასში შევიდნენ ცნობილი თურქოლოგები: რ. ანპეგერი, შ. ალთუნდადი, ო. ლ. ბარკანი, თ. გოქბილგინი, ჰ. ინალჯიკი და თ. ჰალაში-კუნი. ამ კომისიამ დიდი მუშაობა გაშალა თურქული დავთრების პუბლიკაციისა და მეცნიერული შესწავლისათვის.

ო. ლ. ბარკანმა გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომები, რომლებიც დაფუძნებულია აღწერის დავთრებზე. მიუთითა, თუ რა დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ მათ ქვეყნის ეკონომიკის, ფინანსების, მოსახლეობისა და, საერთოდ, სოციალურ-ეკონომიური საკითხების შესწავლისათვის¹⁴.

ო. ლ. ბარკანმა გამოაქვეყნა აგრეთვე ოსმალეთის იმპერიის პრინციების კანუნ-ნამეები, რომლებიც, როგორც წესი, დართული ჰქონდა დიდ დავთრებს. მკვლევარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მათ მნიშვნელობას აგრარული ურთიერთობის კვლევისათვის¹⁵. მანვე ე. ჰ. აივერდისთან ერთად გამოსცა 1546 წ. სტამბოლის ვაკუფების აღწერის დავთარი¹⁶.

¹¹ Душан Ј. Поповић, Белешке о Србши у XVI веку.

¹² Glasnik Zemeljskog muzeja XLVII, 2, 1930, გვ. 5—99.

¹³ Бранислав Джуриџићев, Два дефтера Царског санџака из времен Скандер-бега Црнојевића. Записи XIII, кн. XXIV, 1940, 26—29; Дефтери за Цариградски сонџоц из времен Скандер-бега Црнојевића. Записи XIII, кн. XXIV, გვ. 26—29; მისვე Дефтери за Цариградски санџаки из времен Скандербега Црнојевића. Прилози за ориенталистич. и истор. наших народа I—III, 1950 .3.

¹⁴ Ö. L. Barkan, Türkiyede imperatorluk devirlerinin büyük nüfus ve arazi Tahrirleri ve Hakana mahsus istatistik defterleri, İstanbul Üniversitesi İktisat Fakültesi Mecmuası II, 1940—1941, გვ. 21—59 და 214—247.

¹⁵ Ö. L. Barkan, XV ve XVI inci asırlar Osmanlı imparatorluğunda ziraat ekonominin hukuki ve mali esasları, I, Kanunlar, İstanbul, 1945.

¹⁶ Ö. L. Barkan, E. H. Ayverdi, İstanbul vakıfları tahrir defteri 953 (1546) tarihli, İstanbul, 1970.

თურქული დავთრების გამოცემასა და შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის თურქ ისტორიკოს ჰალილ ინალჩიკს. მან გამოსცა 1531/2 წლის ალბანეთის სანჯაყის მცირე დავთარი¹⁷. დავთრის ტექსტი გამოცემულია თურქულ-ლათინური შრიფტით და მოცემულია ტრანსკრიფცია ოსმალური ტექსტისა. წიგნს ერთვის შესავალი და ვრცელი გამოკვლევა. ესაა პირველი დავთარი, რომელიც თურქეთში გამოსცეს. ამ დარგში საყურადღებოა მკვლევრის სხვა შრომებიც¹⁸.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული აღწერის დავთრების ზოგადი მიმოხილვა ეკუთვნის არქივის დირექტორს მ. სერთოლლუს¹⁹.

1474 და 1483 (=881 და 888) წლების ყარამანიისა და კაისერის ვილაიეთების ვაკუფების იჯმალ დავთრების შესახებ თურქეთის საისტორიო საზოგადოების VIII კონგრესზე მოხსენება გააკეთა შეჰაბეთინ თეჟინდამა²⁰.

XV—XVI სს. ედირნეს (ადრიანოპოლის) და XVI ს-ის დამდეგის ტრაპეზუნის ლივების და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერის დავთრებიდან ცნობები გამოაქვეყნა თ. გოქბილგინმა²¹.

თურქეთში ამჟამად გამოსაქვეყნებლად მზადდება ხუდავენდიგარის დიდი დავთარი და სხვა.

თურქული დავთრების პუბლიკაციასა და შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა ევროპისა და, განსაკუთრებით კი, ბალკანეთის ქვეყნებში. ეს გასაგებიცაა, რადგან ბალკანეთის ქვეყნები საუკუნეთა განმავლობაში ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ და ოსმალთა მოხელეებმა არაერთი დავთარი შეადგინეს, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების შესასწავლად ოსმალთა ბატონობის პერიოდში.

¹⁷ H. İnalçık, Hicri 835 tarihli Süret-i defter-i sancak-i Arvanid, Ankara, 1945. Türk tarih Kurumu yaymlarından XIV seri: Tahrir defterleri n. I.

¹⁸ H. İnalçık, Ottoman Methods of Conquest, «Studia islamica», № 2, 1945, გვ. 101—129.

¹⁹ M. İdhat Sertoğlu, Muhteva bakımından Başvekâlet Arşivi, Ankara, 1955, გვ. 39—44.

²⁰ Tekindağ Selhabetin, Karaman ve Kayseri Vilâyetleri Evkafinin Mücmel Defteri: VIII Türk Tarih kongresi bildiri öretleri, Ankara, 1976, გვ. 84, 85.

²¹ M. T. Gökbilgin, XV—XVI asırlarda Edirne ve Paşa livası vakıflar-mülkler-mukataalar, İstanbul, 1952; მისივე, XVI yüzl başlarında Trabzon livası ve doğu Karadeniz bölgesi, «Belleten», Ankara, 1962, c. XVI, f. 107, s. 107.

ამ საქმეში დიდი ტრადიცია აქვთ უნგრელ მეცნიერებს. ერთი საუკუნის წინათ, როგორც ზემოთ ითქვა, თურქული დავთრებით პირველად დაინტერესდა უნგრელი მეცნიერი ა. სცილადი.

თურქული სოციალურ-ეკონომიკური და განსაკუთრებით კი ფინანსური წიგნებისა და დავთრების პუბლიკაციის დარგში დიდი დამსახურება მიუძღვის გამოჩენილ უნგრელ თურქოლოგს ლაიოშ ფეკეტეს²².

მრავალი საყურადღებო საკითხი თურქული დავთრების, საგადასახადო სისტემისა და უნგრეთის ტოპონიმიკის დარგიდან შესწავლილი აქვს ჰალაში-კუნს²³.

მნიშვნელოვანია აგრეთვე კალდი ნადის გამოკვლევები, რომლებშიც მრავალრიცხოვანი თურქული წყაროების საფუძველზე გაანალიზებულია უნგრეთის მდგომარეობა (სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა, ისტორიული გეოგრაფია, დემოგრაფია და მართვა-გამგებლობა) ოსმალთა ბატონობის ხანაში. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია მკვლევრის დაკვირვებანი აღწერისა და ჯიზიეს დავთრებს შორის ურთიერთმიმართებებზე²⁴. კალდი ნადის გაანგარიშებით, თურ-

²² L. F e k e t e, A törökori Vác egy XVI. századi összeiras alapjan. Budapest 1942. 88 გვ; მისივე Az esztergomi szandzak 1570 évi adóösszeirasa, Budapest, 1943; მისივე Eine Konstskription von den lassen in Ungarn aus dem Jahre 1550, Acta orientalia, II, 1960, გვ. 115—143; მისივე A hrvani szanzsak 1550. cvi adóösszeirasa, Jázbereny 1968. 89 გვ.; მისივე Die Siyaqat Schrift in der türkischen Finanzverwaltung. Beitrag zur türkischen Paläographie mit 104 Tafeln I—II, Budapest 1955, 910 გვ. L. F e k e t e, K a l d y - N a g y, Rechnungsbücher türkischer Finanzstellen in Buda (Ofen) 1550—1580, Budapest, 1962, 838 გვ.

²³ H a l a s i - K u n, Avrupa'daki Osmanlı yer adları üzerinde araştırmalar Peşte. Ungürüs. Türk Dili ve tarihi, Ankara, 1950, გვ. 63—104; მისივე, Sixteenth-Century Turkish Settlements in Southern Hungary. Belleten, 28, 1964, n. 109, გვ. 1—72; მისივე, Unidentified Medieval Settlements in Southern Hungary, Ottoman: nam-i diğer, Studia Turcica, Budapest 1971, გვ. 213—230; მისივე, Unidentified Medieval Settlements in Southeastern Hungary Bozvar, Castellum, Cikovashely, Castrum Cseri, and Sugya, Rocznik Orientalistyczny, to XXXVII, Warszawa, 1976, გვ. 137—155.

²⁴ K a l d y - N a g y, Baranya megye XVI. századi török adóösszeirasai Budapest, 1960, Török adórajstrom Baranyaról a XVI századba A mta Dunantuli Tudományos intézete, Ertekezések, 1964—5, Budapest, 1966, გვ. 115—155; მისივე, Die türkischen Steuerkonstskription der Gegend von Szigetvaraus dem XVI Jahrhundert. Annales Universitatis Scientiarum Budapestinensis Sectio Historica 9. Budapest 1967, გვ. 261—2711; მისივე, Two Sultanic Hass-Estetes in Hungary during the XVI and XVII the Centaries, Acta orientalia, 23, 1963, გვ. 31—62 მისივე, The Administration of the Sanjaq Registration in Hungary, Acta orientalia

ქეთის მიერ დაპყრობილი უნგრეთის მოსახლეობის დაახლოებით 10% დარჩენილი იყო აღწერის გარეშე²⁵.

ყურადღებას იმსახურებს კალდი-ნადის მიერ გამოცემული სულეიმან კანუნის დროინდელი ბუდინის აღწერის დავთრები²⁶. მას გამოქვეყნებული აქვს ბუდინის ორი დავთარი: ერთი შედგენილია 1546, მეორე — 1562 წელს, რომლებიც ინახება სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში. ამ ორი დავთრის ერთმანეთთან შედარება შესაძლებლობას გვაძლევს თვალი გავადევნოთ უნგრეთის საზოგადოების განვითარებას ოსმალთა ბატონობის ამ მონაკვეთში.

მეტად ნაყოფიერად იკვლევენ თურქულ დავთრებს იუგოსლაველი მეცნიერები. მათ ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ. უკანასკნელ დროს მათ გამოაქვეყნეს რამდენიმე თურქული დავთარი, იუგოსლავიის სხვადასხვა ოლქისათვის შედგენილი. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ცნობილი იუგოსლაველი ისტორიკოს-თურქოლოგის ჰ. შაბანოვიჩის მიერ მალალ მეცნიერულ დონეზე გამოცემული დავთრები²⁷.

წარმატებით იკვლევს თურქულ დავთრებს ბრანისლავ ჯურჯიევი²⁸.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე იუგოსლავიაში გამოცემული 1455 წლის ბრანისლავის ოლქის დიდი დავთარი²⁹, რომლის ხელნაწე-

21, 1968, გვ. 181—223; მისივე, Турецкие реестровые книги муката, как исторические источники, Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, Москва, 1964, с. 76—90.

²⁵ K a l d y - N a g y, Bevölkerungsstatistischer Quellenwert... გვ. 208.

²⁶ K a l d y - N a g y, Gy., Kanuni Devri Budin Tahrir defteri (1546—1562) Ankara Universitesi Basimevi, Ankara, 1971, 374 გვ. რეცენზია ამ წიგნზე, V o j t e c h K o p e a n, Two new publications on Ottoman defters in Hungary. Asian and African studies, Bratislava, XII, 1976, გვ. 173—178.

²⁷ Х а з и м Ш а б а н о в и ч, Турски извори за историју Београда I. Турски извори за катастарски пописи. Београд, 1964; მისივე, Krajiste Isa-bega Ishakovića zbirni katastarski popis iz 1455 godine, uvod, turski tekst, prevod i komentari, Sarajevo, 1964.

²⁸ Д ж у р д ж и е в Б р а н и с л а в, Древнейший сохранившийся турецкий дефтер (реестр) Сремского санджака, Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, М., 1964, с. 119—130. იხ. მისი შრომები, აგრეთვე სკოლიო № 12, 13.

²⁹ Oblast B r a n k o v i ć a, opširni katastarski popis iz 1455 godine. Prirudili: H a m i d H a d z i b e g i ć, A d e m H a n d z i ć i E š r e f K o v a ć e v i ć, Sarajevo, 1972, v. I—II.

რი ინახება სტამბოლის პრემიერ-მინისტრის არქივში. ამ დავთრის გამოცემა და თარგმანი შესრულებულია მაღალ დონეზე³⁰.

იუგოსლაველმა თურქოლოგმა დუშანკა ბოჩიჩ-ლუკაჩმა გამოსცა შრომა „ვიდინის სანჯაყი 15—16 სს-ში“³¹. მასში გამოქვეყნებულია ვიდინის სანჯაყის ორი იჯმალ (მცირე) დავთარი; პირველი შედგენილია 1454—1455 წლებში, მეორე — 1560 წელს. ეს დავთრები დ. ლუკაჩს აღებული აქვს სტამბულისა და ანკარის არქივებიდან. ამ დოკუმენტების გამოცემაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარელმა მეცნიერებმა ვერა მუთაფჩიევამ და მიხეილ სტაიანოვმა. ამ დავთრების მონაცემების შეპირისპირებით შესაძლებელი ხდება ოსმალთა ბატონობის პერიოდში — ერთი საუკუნის მანძილზე ვიდინის მხარის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა.

ჩეხმა მეცნიერმა ი. კაბრდამ გამოსცა სოფიისა და ვიდინის ყადიების უძველესი დავთრები და სხვა³².

თურქული დიდი დავთრების ფრაგმენტი, რომელიც სლოვაკიის ტერიტორიას შეეხება, გამოაქვეყნა იოსებ ბლაშკოვიჩმა (ბრატისლავა)³³.

ალბანეთში ს. პულაჰამ გამოსცა 1485 წლის შკოდრას დავთარი³⁴.

ზრავალი საყურადღებო სოციალურ-ეკონომიური ხასიათის თურქული დოკუმენტი და მათ შორის სხვადასხვა სახის საკადასტრო წიგნი (თიმარის, ზეამეთის, ხასის, ვაკუფის, ვონუქების რეესტრები და სხვა) გამოიცა ბულგარეთში³⁵. ბულგარელი ისტორიკოსები წარმატებით იკვლევენ აგრეთვე თურქულ დავთრებს³⁶.

³⁰ N i c o a r a B e l d i c e a n u, A propos d'un registre de cadastre de 1455. «Turcica», 1976, t. VIII/I, გვ. 272—278.

³¹ Д у ш а н к а Б о я н и ч - Л у к а ч, Видин и Видинският санджак през 15—16 век., Под ред. В. М у т а ф ч и е в а и М. С т а я н о в а. София, 1975 г.

³² J. K a b r d a, Les anciens registrs turcs des Cadis de Sofia et Vidin, Archive Oriental, XIV, გვ. 329—392.

³³ J o s e f B l a š k o v i š č, Ziemie Lenne (hass) namiestnika Nowych Zamków w latach 1664—1685. Rocznik Orientalistyczny. Varsova, 1976, t. XXXVIII, გვ. 83—93.

³⁴ S. P u l h a, Defleri i registrimit te Shkrodres i vitit 1485, Tirana, 1974.

³⁵ Турски извори за историята на правото в българските землн. Том I. Съставал Г. Д. Г ъ л ъ б о в, София, 1961, 335 გვ. Турски извори за българската история. Серия XV—XVI Том. I, Составили и редактировали Б. А. Ц в е т к о в а, В. П. М у т а ф ч и е в а, София, 1964, 353 გვ; Турски извори за българската история. Серия XV—XVI. Том. II. Составили Б. Н е д к о в, София, 1966, 584 გვ, Турски извори за българската история т. III, Составила и коментирова Б. А. Ц в е т к о в а, София, 1971, 502 გვ. София 1972, 572 გვ. (факсимиле). Турски извори за българската история Т. V, София, 1974.

³⁶ В. П. М у т а ф ч и е в а, Проверочные списки (йоклама дефтерлери)

დავთრების შესწავლის საქმეში გარკვეული მუშაობაა გაშლილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ საკითხზე საყურადღებო წერილები გამოაქვეყნა ინგლისელმა მეცნიერმა ბ. ლუისმა³⁷.

გ. ბაიერლმა გამოსცა ნოვიგრადის ორი დავთარი³⁸ — 1570 წლის ნოვიგრადის დიდი დავთარი და 1579 წლის იჯმალ დავთარი. ეს დავთრები მან გამოავლინა სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში. პუბლიკაცია შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე³⁹.

თურქულ საარქივო დოკუმენტებსა და სხვადასხვა სახის დავთრებს ნაყოფიერად იკვლევენ ირენ და ნიკოარა ბელდიჩიანუები⁴⁰ საფრანგეთში. ამჟამად გამოსაქვეყნებლად მზადდება რამდენიმე დავთარი, მათ შორის სირემისა და სემენდირის დიდი დავთრები⁴¹.

1014—1014 гг. как источник по общественно-экономической истории Османской империи в XVII в., Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, т. II, М., 1969, с. 221—245; Б. А. Ц в е т к о в а, Новые данные о христианах-сипахиях на Балканском полуострове в период турецкого владычества, Византийский временник. 1958, т. XIII, с. 184—198 Б. А. Ц в е т к о в а, Османските tahrir defterleri като извори за историята на България и Балканските истории. Известия на държавните архиви, кн. 30, София, 1975, с. 127—157; N. T o d o r o v, B. N e d k o f, Fontes turcici historial Bulgarical, t. XIII, Sofia, 1966, B. C v e t k o v a, A Source for Balkan History, Archivum Ottomanicum 8, 1976, გვ. 80—95.

³⁷ L e w i s B. D e f t e r, The Encyclopedia of Islam, New edition, v. II, Fas. 24, London 19671, გვ. 77—81; მისივე, Register on Iran and Adharbâyân in Ottoman Defter-i Khâqâni, Melanges Massé. Extrait, Téhéran, 1963; მისივე, The Ottoman Archives as a source for the History of the Arab lands, JRAS, 1951, გვ. 199—155.

³⁸ B a y e r l e G. Ottoman Tributes in Hungary According to Sixteenth Century Tapu Registers of Novigrad, The Hague-Paris, 1973. 228გვ.

³⁹ K o p ĉ a n V o j t e c h, Two new publications on Ottoman defters in Hungary. Asian and African studies, Bratislava, 1976, t. XII, გვ. 173—178.

⁴⁰ I r e n e B e l d i c e a n u e t N i c o a r a B e l d i c e a n u, Recherches sur la province de Qaraman au XVI siecle. Etudes et actes, Leyden, 1968; Irène Beldiceanu, Mihne Berindes, Gilles Veinstein, A Contribution de Timar dans la province de Trabzond (fin du XV siecl) «Turcica», 1976, t. VIII/I, გვ. 279—290; N. B e l d i c e a n u, Le Timars de Masleh ed-din precepteur de Selim Şah, Turcica, 1976, t. VIII/2, გვ. 91—109.

⁴¹ B. M c G o w a n, Defter-i mufasal-i Sirem (An Ottoman Revenue Survey Deting from the Reign of Selim II) ბეჭდება; A. Z. H e r z, Defter-i mufasal-i Semendire 1571, მზადდება გამოსაქვეყნებლად.

თურქული დავთრების გამოცემა-შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით კი საქართველოში. საქართველოში დავთრებით ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაინტერესდნენ. გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დიმიტრი ბაქრაძემ 1888 წელს სტამბოლის საიმპერიო არქივიდან (დეფთერ ჰანე-ი ჰაკანი) საქართველოში ჩამოიტანა 46766 თურქული საბუთის პირი და მათ შორის დავთრებიც⁴². სულ დ. ბაქრაძემ ჩამოიტანა 23 დავთარი, რომლებიც შეეხებოდა ბათუმისა და ყარსის სანჯაყების შემდეგ ყაზებს: ბათუმი, ქობულეთი, არტანუჯი, შავშეთი და ართვინი⁴³.

ჩამოტანილი თურქული საბუთების წინასწარი შესწავლის შედეგად, მან 1889 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ისტორიული ნარკვევი თურქული მიწისმფლობელობის სისტემისათვის“⁴⁴, რომელსაც იმ დროს დიდი მეცნიერული ღირებულება ჰქონდა. სამწუხაროდ, დ. ბაქრაძე მოულოდნელად გარდაიცვალა (1891 წ.) და მან ვერ მოასწრო ჩამოტანილი დავთრების გამოქვეყნება.

1901 წელს აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი: „ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში“⁴⁵. მასში ნაჩვენებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ დავთრებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის. აღსანიშნავია, რომ ქართულ დავთრებს ბევრი რამ საერთო აქვს თურქულ დავთრებთან, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. თურქული დავთრების გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ს. ჯიქიას. მან ბრწყინვალედ გააგრძელა სახელოვანი ქართველი ისტორიკოსების დიმიტრი ბაქრაძისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწყებული საქმე.

1940 წელს ს. ჯიქიამ გააცნო საზოგადოებას წინასწარი დაკვირვებები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული თურქული ხელნაწერის „გურჯისტანის ვილაი-

⁴² მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დიმიტრი ბაქრაძე სტამბოლში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, ტ. III, გვ. 34—41.

⁴³ იქვე.

⁴⁴ Д. З. Б а к р а д з е, Исторический очерк турецкой системы землевладения, Приложение к протоколу Кавказского юридического общества, 1889, № 9, с. 1—33.

⁴⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში, „მოამბე“, 1901, № 4, გვ. 1—17.

თის დიდი დავთრის“ შესახებ⁴⁶. შემდეგ წლებში ს. ჯიქიამ ეს დავთარი სამ წიგნად გამოაქვეყნა⁴⁷ და მოამზადა გამოსაცემად ზეოთხე ტომი. 1960 წ. მოსკოვში აღმოსავლეთმცოდნეების XXV საერთაშორისო კონგრესზე მან „გურჯისტანის დავთრის“ მნიშვნელობის შესახებ სპეციალური მოხსენება წაიკითხა⁴⁸.

ს. ჯიქიას მიერ გამოცემულმა „გურჯისტანის დავთარმა“ მაღალი შეფასება დაიმსახურა სპეციალისტებს შორის. ცნობილი იუგოსლაველი თურქოლოგი პ. შაბანოვიჩი აღნიშნავდა, რომ „ეს არის ყველაზე სრული გამოცემა თურქული სარეესტრო დავთრისა“⁴⁹.

გამოჩენილი უნგრელი თურქოლოგი ლაიოშ ფეკეტე 1957 წ. წერდა: „დიდი დავთრის“ ტექსტი ს. ჯიქიამდე არავის გამოუცია. მხოლოდ უნგრელმა მეცნიერმა ანტალ ველიჩმა გამოაქვეყნა 1886 და 1893 წლებში უნგრული თარგმანი ანალოგიური ძეგლისა, მაგრამ თვით ორიგინალის პუბლიკაცია მხოლოდ ს. ჯიქიამ განახორციელა. ს. ჯიქიას გამოცემა ყველა ამ შრომებზე მაღლა დგას. თავისი მნიშვნელობით ს. ჯიქიას შრომა სცილდება საკუთრივ საქართველოს ფარგლებს. თურქული „თაჰრირი“ (აღწერა), რომელიც საქართველოს ეხება, შეიძლება სახელდობრ შედარებულ იქნეს ახლა უნგრეთის პროვინციის ნებისმიერ „თაჰრირან“-თან, რის წყალობითაც კვლევა თურქეთის იმპერიის ან მისი ერთმანეთისაგან დაშორებული პროვინციების ისტორიისა თავის განკარგულებაში მიიღებს ფასეულ პარალელებსა და დამატებით მასალას“⁵⁰.

ცნობილი ინგლისელი თურქოლოგი ბ. ლუისი ს. ჯიქიას ამ შრომას შემდეგნაირად აფასებს: „ს. ჯიქიას გამოცემა რომ არა, ჩვენ არ გვეცოდინებოდა, თუ რას წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი თურქული ძეგლები, როგორც „დიდი დავთრებია“. მხოლოდ ს. ჯიქიას

⁴⁶ С. С. Джикия, Турецкая рукопись Музея Грузии «Пространный реестр Гюрджистанского вилайэта», Сообщения Грузинского филиала Академии наук СССР, т. I, № 6, 1940, Тб., с. 483—488.

⁴⁷ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თურქული ტექსტი გამოსცა და თარგმნა ს. ჯიქიამ, თურქული ტექსტი, წ. I, თბ., 1947; წ. II, თარგმანი, თბ., 1941; წ. III, თბ., 1958; გამოკლევა, 1. ხელნაწერის აღწერილობა. 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის.

⁴⁸ С. С. Джикия, Пространный реестр вилайэта Гюрджистан, XXV Международный конгресс востоковедов. Доклады делегации СССР, Москва, 1960.

⁴⁹ H. Šabanič, Krajiste Isa-bega Ishakovica... გვ. XXV.

⁵⁰ L. Fekete, Acta Orientalia, Hung., t. VII, fasc. I, Budapest, 1957, გვ. 2; შტრ.გ. შერეთელი, ს. ჯიქიას ცხოვრება და მოღვაწეობა, „აღმოსავლური ფილოლოგია“, 1973, ტ. III, გვ. 10.

გამოცემამ მისცა საშუალება მეცნიერთ ნათელი წარმოდგენა იქონიონ ამ ხასიათის დოკუმენტის შესახებ⁵¹.

აკადემიკოს გ. წერეთლის სიტყვებით: „ეს გამოკვლევა წარმოადგენს ფუნდამენტალურ ნაშრომს ქართული საისტორიო გეოგრაფიის დარგში. ავტორი დეტალურად განიხილავს სოფლების, დასახლებული პუნქტების, ნასოფლარებისა თუ სხვა ადგილების სახელწოდებათ, რომლებიც ასე მდიდრადაა წარმოდგენილი „დავთარში“ და იძლევა მათ იდენტიფიკაციას. ტერმინთა ანალიზისათვის ავტორმა გამოიყენა მრავალრიცხოვანი მონაცემები ქართული საისტორიო წყაროებიდან, საარქივო მასალები, გეოგრაფიული რუკები, მოგზაურთა ჩანაწერები, აგრეთვე მის მიერ ექსპედიციების დროს ადგილზე შეკრებილი ცნობები. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არც ერთი მხარის ისტორიული გეოგრაფიისათვის არა გვაქვს ჩვენ ისეთი დეტალური და კომპეტენტური გამოკვლევა, როგორც ეს ს. ჯიქიამ მოგვცა საქართველოს სამხრეთი პროვინციებისათვის. კიდევ მეტი, ასეთი გამოკვლევა საისტორიო გეოგრაფიის დარგში საერთოდ ძალიან ცოტა მოიპოვება და იგი შეიძლება ვლ. მინორსკის ცნობილი შრომის «Hudud ad-alam»-ის გვერდით მოთავსდეს»⁵².

ამჟამად აკად. ს. ჯიქია გამოსაცემად ამზადებს „1727 წ. ქართლის (თბილისის) ვილაიეთის დიდ დავთარს“.

მიმდინარეობს მუშაობა თურქული დავთრების კვლევის დარგში სომხეთის სსრ-შიც. ა. ფაფაზიანმა მატენადარანში მიაკვლია 1725—1728 წწ. თურქების მიერ ერევნის მხარის აღწერის დავთრის ფრაგმენტს და გამოსცა იგი⁵³.

დავთრებით დაინტერესდა ცნობილი საბჭოთა თურქოლოგი ა. ს. ტვერიტინოვა. მან რუსულ ენაზე თარგმნა ნაწყვეტები 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ და 1431/2 წლის „ალბანეთის დავთრიდან“⁵⁴.

ამრიგად, თურქული დავთრების შესწავლა-გამოცემის საქმეში ნაყოფიერი მუშაობაა გაშლილი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

⁵¹ ციტირებულია გ. წერეთლის დასახლებული წერტილის მიხედვით, გვ. 11.

⁵² გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

⁵³ А. Д. Папаян, Турецкие налоговые реестры села Вартапат 1725—1728 гг. Известия АН Арм. ССР, Ереван, 1960 г. № 5, с. 431—464.

⁵⁴ Аграрный строй Османской империи XV—XVII вв., Документы и материалы. Составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой, М., 1963, с. 131—163.

მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელია. საქარისია ითქვას, რომ სტამბოლის პრემიერ-მინისტრის არქივში და ანკარის არქივებში ინახება 254 დიდი დავთარი და 116 მცირე (იჯმალ) დავთარი. დავთრების გარკვეული რაოდენობა დაცულია აგრეთვე ევროპისა და, განსაკუთრებით კი, ბალკანეთის ქვეყნების წიგნსაცავებსა და არქივებში. მისი შესწავლა თურქოლოგების გადაუდებელი საქმეა, რადგან იგი ახალ შუქს მოჰფენს როგორც საკუთრივ თურქეთის, ისე მისი მეზობელი ქვეყნების ხალხების სოციალურ-ეკონომიური თუ პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს.

ოსმალური ალჟერის დავთრები

I. ალჟერის დავთრების დანიშნულება

ქვეყნის აღწერა და დავთრების შედგენა ოსმალებმა გადმოიღეს სელჩუკებისაგან, იმათ კი — არაბებისაგან, რომლებმაც ეს წესი შეითვისეს ძველი ცივილიზებული ხალხებისაგან¹. ოსმალებმა აღწერის სისტემა კიდევ უფრო სრულყოფილი გახადეს. არსად ქვეყნის აღწერას (tahrir) ისეთი დიდი ყურადღება არ ექცეოდა, როგორც ოსმალეთის იმპერიაში. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო დაპყრობით ომებთან და დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრასთან, რადგანაც ოსმალეთის სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისა და მათი რესურსების ექსპლოატაცია. ბუნებრივია, რომ საამისოდ მომარჯვებული იყო იმპერიის სახელმწიფო აპარატი.

ფ. ენგელსი აღმოსავლეთის სახელმწიფოების მთავრობების შესახებ წერდა: «Правительства на Востоке всегда имели только три ведомства: финансовое (ограбление собственного населения), военное (грабеж внутри и в чужих странах) и ведомство общественных работ (забота о воспроизведении)»².

ოსმალეთშიც სამხედრო და საფინანსო უწყებებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, რადგან, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ოსმალეთის სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს დაპყრობილი და საკუთარი ხალხების ძარცვა შეადგენდა. ოსმალეთში მეტისმეტად სუსტად იყო განვითარებული მესამე უწყება, აღწარმოებდას

¹ Ö. L. Barkan, Türkiye'de imparatorluk devirlerinin büyük nüfus ve arazi tahrirleri... გვ. 26—35. H. Inalcik, Ottoman methods of conquest გვ. 110.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XXI, 1934, с. 431..

(რეპროდუქციას) რომ ისახავდა მიზნად. ამით აიხსნება, რომ სულთანის სახელმწიფოში შემოსავლის წყაროებს ჰქმნიდა ომი და მწარმოებელი კლასის ველური ექსპლოატაცია, საფინანსო უწყების საშუალებით გადასახადების აკრება. საფინანსო უწყებაში კი მთავარ როლს დავთარი ასრულებდა. შეზღუდვებითი არაა ის ფაქტი, რომ ოსმალეთში საფინანსო საქმეების გამგებელს ბაშ-დავთარდარი (მთავარი დავთარდარი) ეწოდებოდა. ამ უწყებას ოსმალეთის სახელმწიფოში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. კოჩიბეი გორიჯელის თქმით, „პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — ეს სახელმწიფო ხაზინაა“³. დასაწყისში ერთი დავთარდარი იყო, შემდგომში, ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიულ ზრდასთან ერთად, მათი რიცხვი გაიზარდა. ცნობილია რუმელიისა და ანატოლიის და ღუნაისპირეთის დავთარდარები. ერთ დროს შეიქმნა აგრეთვე არაბეთისა და აჯემის (ირანის) ქვეყნების დავთარდარის თანამდებობაც, მაგრამ შემდგომში იგი გაუქმდა.

ყოველი გადასახადის გაწერას ბაშ-დავთარდარი ხელმძღვანელობდა. იგი აქვეყნებდა ბრძანებულებებს ხარაჯის, ავარიზის, მუკატას ოდენობის შესახებ. მისი ნებართვის გარეშე არავის ჰქონდა უფლება აეღო ან გაეცა ერთი ახჩაც კი. ბაშ-დავთარდარს ემორჩილებოდა აგრეთვე სულთნის სალაროს ყველა მოხელე. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა და არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო მის კომპენტენციაში. ბაშ-დავთარდარი ადგენდა მთელი წლის შემოსავალ-გასავლის რეესტრებს, იწერდა ნაშთებს, რასაც წარუდგენდა დიდ ვეზირს. ხოლო ვეზირი, თავის მხრივ, ამას სულთანს მოახსენებდა. ამგვარად, მთელი სალარო ბაშ-დავთარდარის ხელთ იმყოფებოდა⁴.

ომის დროს ბაშ-დავთარდარი ლაშქართან ერთად იმყოფებოდა, ხოლო მის მოვალეობას სტამბულში ანატოლიის დავთარდარი ასრულებდა. საფიქრებელია, რომ ბაშ-დავთარდარი ადგილზე ხელმძღვანელობდა ახლად დაპყრობილი ქვეყნის აღწერასა და მის რეესტრებში გატარებას და ომის შედეგად ჩაგდებული ნადავლის აღწერას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ოსმალეთში აღწერის პირველი დავთრების შედგენა დაიწყო იმ დროიდან, როდესაც ოსმალო სულთნები შეუდგნენ დაპყრობილი ქვეყნების უშუალო ინკორპორაციას, ე. ი. XV საუკუნის დამდეგიდან.

ჰალილ ინალჯიკის დაკვირვებით, ოსმალთა დაპყრობით ომებში

³ Koçi Bey risalesi, Istanbul, 1940, გვ. 12.

⁴ იქვე, გვ. 45.

გამოიყოფა ორი ნათლად გამოკვეთილი ეტაპი: ოსმალები ჯერ ცდილობდნენ დაემყარებინათ როზელიმე სახის სუზერენიტეტი (ვასალური ურთიერთობა), შემდეგ კი ცდილობდნენ დაემყარებინათ უშუალო კონტროლი ამ ქვეყანაზე. ამ მიზნით ისინი გადააყენებდნენ ხოლმე ადგილობრივი (ვასალური) ქვეყნების გამგებლებს (დინასტიებს) და თავიანთ მოხელეებს ნიშნავდნენ. ოსმალთა უშუალო კონტროლი, არსებითად, გულისხმობდა თიმარიოტული სისტემის შემოღებას დაპყრობილ ქვეყანაში, რომელიც დაფუძნებული იყო დავთრებში ქვეყნის მოსახლეობისა და რესურსების მეთოდურ აღრიცხვაზე⁵.

პალილ ინალჯიკის აზრით, თიმარიოტული სისტემის შემოღება ყოველთვის არ გულისხმობდა ძველი სოციალური და ეკონომიკური წყობილების ერთბაშად გარდაქმნას, სინამდვილეში ეს იყო შემარბილებლური შეთვისება ადგილობრივი პირობებისა და კლასებისა ოსმალურ ინსტიტუტებთან თანდათანობითი ასიმილაციის მიზნით⁶.

სინამდვილეში დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი დავთრებში გატარება ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუქმებას ნიშნავდა. ცხადია, ამას არ შეიძლება არ გამოეწვია დაპყრობილი მოსახლეობის მდგარი წინააღმდეგობა. ასეთ სიტუაციაში დამპყრობელი იძულებული იყო „თანდათანობითი ასიმილაციის“ გზას დასდგომოდა და ეს „შემრიგებლური შეთვისება“ ნაკარნახევი იყო შექმნილი ვითარებით და არა ოსმალო სულთნების ლოიალური პოლიტიკით, როგორც სურს ეს წარმოგვიდგინოს ჰ. ინალჯიკმა.

ბაიაზეთ I (1389—1403) დროიდან ოსმალო სულთნები იწყებენ ინკორპორაციის (ანექსიის) პოლიტიკის განხორციელებას, რამაც დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია არა მარტო ქვეყნის გარეთ, არამედ მის შიგნითაც. ბაიაზეთ I-ის ძალისმიერი პოლიტიკა, ქვეყნის უნიფიკაცია, რამაც ესოდენ ენერგიული რეაქცია გამოიწვია, იყო რეალური მიზეზი მისი იმპერიის დამხობისა 1402 წელს⁷.

ბაიაზეთის მემკვიდრეებმა სულეიმანმა, მეჰმედ I-მა (1413—1421), მურად II-მ (1421—1451) განაახლეს ზომიერი პოლიტიკა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ, მაგრამ მათ დავთრების შედგენის სისტემა კვლავ ძალაში დატოვეს. 1451 წელს, როდესაც ტახტზე ავიდა მეჰმედ II (1451—1481), დაპყრობითი პოლიტიკა კვლავ სახელმწიფო დონეზე იქნა აყვანილი⁸.

⁵ H. Inalcik, Ottoman methods of conquest, გვ. 103.

⁶ იქვე, გვ. 103.

⁷ იქვე.

⁸ იქვე, გვ. 109.

მოკლედ შევეხოთ დავთრების შემოღების ისტორიას.

აშუკ ფაშა ზადეს თხზულებაზე დაყრდნობით, ჰ. ინალჯიკი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ოსმალებმა პირველად მიწის საკადასტრო აღწერა ჩაატარეს ორხანის (1326—1361) დროს⁹. მკვლევრის მართებული შენიშვნით, თავისთავად ეს საკმარისი საბუთი არ არის იმ დასკვნის გამოსატანად, რომ მოცემული სისტემა არსებობდა ამ პერიოდში. მაგრამ გარკვეული საწინდარი აღწერითი დავთრების შემოღებისათვის უკვე არსებობდა: კარგად ჩამოყალიბებული თურქული ფორმულიარები და სათანადო ტერმინოლოგია.

თქმულის დასასაბუთებლად ჰ. ინალჯიკი იმოწმებს 1431 წლის ალბანეთის დავთარს. მასში გამოყენებული დებულებები და ტერმინები ისეთივეა, როგორც ორი საუკუნის შემდეგ. ყოველივე ეს შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს დაასკვნას, რომ აღწერის სისტემა (tahrir) არსებობდა დიდი ხნით ადრე ბაიაზეთ I-ის გამეფებამდე. მეტიც. ცნობილია, რომ არსებობდა ოსმალთა ძალზე განვითარებული მართლმსაჯულება ორხანის დროსაც კი და ბოლოს, 1431 წლის დავთარში ვხვდებით მრავალ ფორმულირებებს სპარსულად, რაც მანიშნებელია მოცემული სისტემის სპარსულ-ილხანური ან სელჩუკური წარმოშობისა⁹.

ოსმალეთში აღწერა შეიძლება ყოფილიყო საერთო-საკადასტრო ოსმალეთის იმპერიის მთელი მიწებისა და ნაწილობრივი — ცალკეული პროვინციებისა (ვილაიეთებისა და სანჯაყებისა). აღწერა ტარდებოდა ყოველი სულთნის ზეობის დროს ან 30—40 წელიწადში ერთხელ. ცალკეული პროვინციის აღწერას ჰქონდა მნიშვნელობა გარკვეული ტერიტორიული ერთეულისათვის. ასეთი აღწერის დროს გათვალისწინებული იყო იქ მომხდარი ცვლილებები, ტერიტორიული ზრდა, აკრება სხვადასხვა გადასახადებისა, ფეოდალური მიწების ახალი გადანაწილება სიფაჰებს შორის და სხვა¹⁰.

მეჰმედ II (1451—1481) ფათიჰის დროიდან ოსმალეთში საკადასტრო აღწერამ ფართო ხასიათი მიიღო. 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ მოხდა მთელი იმპერიის საერთო აღწერა. ამ აღწერის შედეგად შედგენილ იქნა დავთრები ევროპული და აზიური ნაწილის პროვინციებისათვის. როგორც ცნობილია, მეჰმედ II ფათიჰის დროს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია მნიშვნელოვნად

⁹ H. Inalcik, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

¹⁰ Ö. L. Barkan. Defteri Khakâni, The Encyclopedia of Islam, v. II, გვ. 81.

გაიზარდა. ევროპასა და აზიაში დაპყრობილ იქნა ახალ-ახალი ტერიტორიები. მაგრამ აღწერილ იქნა არა იმპერიის მთელი ტერიტორია, არამედ ის, რომელიც უშუალოდ ინკორპორირებული იყო ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ, ხოლო ვასალური და მოხარკე ქვეყნები და აგრეთვე სალიანეს მქონე ვილაეტები, საზღვარზე მდებარე ნახევრად-დამოუკიდებელი საგამგებლოები: ჰუქუმეტები, რეისლიკები და სხვ. აღწერის გარეშე დარჩნენ.

ახლად დაპყრობილი ქვეყნის აღწერა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუქმებას, ოსმალური საგადასახადო სისტემისა და მისი მართვა-გამგებლობის შემოღებას, რაც იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის შეუწელებელ წინააღმდეგობას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია 1431/32 წელს ალბანეთის აღწერა. ალბანეთის დავთრიდან ჩანს, რომ მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალეთის მთავრობის ამ ღონისძიებას. აღწერის დროს მოსახლეობა გარბოდა თავიანთი სოფლებიდან და თავს არიდებდა აღწერას. რიგ შემთხვევაში კი ოსმალთა მოხელეები იძულებული იყვნენ ძალით დაებრუნებინათ გაქცეული მოსახლეობა¹¹. ჰალილ ინალჩიკი იძულებულია აღიაროს, რომ 1431 წლის ალბანეთის აღწერა იყო ნამდვილი მიზეზი და დასაწყისი მთიელთა (ალბანელთა) ხანგრძლივი ბრძოლისა ოსმალთა წინააღმდეგ¹².

დავთრების შედგენის საპირობებს იწვევდა აგრეთვე ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია. ოსმალთა მოხელეების დიდი ნაწილი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, ხელფასს არ ღებულობდა ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტიდან, მაგრამ მათ ნება ეძლეოდათ აენაზღაურებინათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება გადასახადებით, რომლითაც ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ბეგრავდნენ. ამ სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის საჭირო იყო ზუსტი ცოდნა იმპერიის შემოსავლის ყველა წყაროსი და თვალყურის დევნება ცვლილებებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დროთა ვითარებაში, რათა გაერკვიათ რამდენად შეეფერებოდა შემოსავალი, რომლის ჯამი აღნიშნული იყო დავთარში და ბარათი (berat), ე. ი. სულთნის მიერ ფეოდის მფლობელობისათვის გაცემული დოკუმენტი გასამრჯელოს შესახებ, რომელსაც ისინი იღებდნენ მოსახლეობის დაბეგვრის შედეგად აკრებილი გადასახადისაგან.

¹¹ H. Inalcik, *Sûret-i defter-i sancak-i Arvanid*, გვ. XIII—XIV, 21.

¹² იქვე; H. Inalcik, *Ottoman methods of conquest*, გვ. 111, 112.

ამ პოლიტიკის წარმატებით გატარებისათვის როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე ბარათის მფლობელნი, ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი გადასახადი აეკრიბათ მოსახლეობისაგან.

ოსმალეთის სულთანთა ფისკალური პოლიტიკა მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ბოროტმოქმედებისათვის გადასახადის ამკრებთა მხრივ. ამიტომ XVI—XVII საუკუნეების ოსმალთა იმპერიაში, სადაც მექრთამეობა და კორუფცია თითქმის სახელმწიფო სისტემად იქცა, დევთერდარობა სანუკვარ საქმედ იყო მიჩნეული, ქონების მოხვეჭისა და გამდიდრების სენით შეპყრობილი ყოველი მოხელისათვის. ისინი არ იშურებდნენ არავითარ საშუალებას, რომ გადასახადის ამკრების თანამდებობა მიეღოთ.

ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობა მოიპოვება: 1623 წელს პოლონეთის ელჩი კონსტანტინოპოლში ქრისტოფორ ზბარაჟსკი წერდა თავის მთავრობას: „ვინც მეტს გადაუხდის სულთნის ცოლებს, ის მიიღებს სასურველ თანამდებობას, მაგრამ რომ ანაზღაუროს მის მიერ გაწეული ხარჯები, შემდეგ იგი გადაწყვიტვლობას იწყებს და თავის მხრივ მიჰყიდის ხოლმე beneficia-ს სხვა პირებს. თანამდებობებზე პირდაპირი ტაქსა იყო დაწესებული, „სირიის საფაშოს გამგებლობა, იტყობინებოდნენ იტალიელი დიპლომატები, ღირს ოთხმოცი ათასიდან ასი ათას ჩერვონეცამდე, დევთერდარობა (ე. ი. მხარის ფინანსური საქმის გამგეობა) — ორმოცი ათასიდან ორმოცდაათ ათასამდე, ხოლო ყადის (მსაჯულის) თანამდებობა უფრო ნაკლებ თანხად ღირს. ფაშა, იმის შემდეგ, რაც გადაიხდის, იწყებს მთელი იმ მხარის გაყვლევას. დევთერდარი ტყავს აძრობს სიფაჰიებსა და მოიჯარადრეებს, ხოლო ყადი ყვლევს ყველას, ვინც კი ხელში ჩაუვარდება. 1597 წელს ჰასან ფაშამ სულთნის დედის საშუალებით დიდი ვეზირის თანამდებობა მიიღო დიდ საფასურად, ხოლო შემდეგში დაიწყო მასზე დამოკიდებული თანამდებობების გაყიდვა საკმაოდ ძვირ ფასად, თანაც ამბობდა, რასაც მე თქვენგან ვიღებ, იმითი ჩემი თანამდებობის საფასური უნდა გადაიხადოთ“¹³.

ამას ადასტურებს აგრეთვე XVII ს-ის ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე: „ყველა ფაშა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სერალიდან გამოდის, ვიდრე თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდეს, ვალდებულია დიდ სენიორს მიართვას ძვირფასი საჩუქარი სამსახურის ადგილისდა შესაბამისად. მაგალითად, კაიროს

¹³ А. Е. Крымский, История арабской литературы, М., 1971, с. 27—29; შდრ. გ. შერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 9—10.

ფაშა, როგორც კი ეგვიპტის მმართველად დაინიშნება, ორი მილიონი ლივრის ღირებულების საჩუქრების გარეშე ვერ დატოვებს პორტას. საჩუქრები მან უნდა მიართვას როგორც სულთანს, ისე მის მთავარ ქალებს, აგრეთვე მუფთის, დიდვეზირს, კაიმაკამსა და სხვა გავლენიან პირებს, რომელთაც უნდა უმადლოდეს თავის თანამდებობას ან რომლებიც მომავალში გამოადგებიან. დიდი სენიორისადმი მირთმეული საჩუქარი ხუთასი ათასი ეკიუ უნდა ღირდეს, დანარჩენის — არანაკლები ორას-ორასი ათასი ეკიუ. ამას დავუმატოთ ხუთასი ათასი ეკიუ, რაც მას დაუჯდება თავისი ეკიპაჟის შედგენა და, ამას გარდა, ის კაიროში ვერ შევა, თუ თავის ან მეგობრების ჯიბიდან სამ მილიონ ექვსასი ათას ლივრს არ გაიღებს...“¹⁴.

განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მექრთამეობისათვის და მოსახლეობის ძარცვისათვის სადავრო საქმეების გამგებლობა. ვის ხელშიც იყო დავთარი, შემოსავლიც იმისი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1620-იან წლებში დავთრის საქმეების გამგებელთა თანამდებობებს საჯარო აუქციონით ჰყიდდნენ, ისიც ოსმალთა უწმინდეს სალოცველ ადგილას მეჰმედ II-ე ფათიჰის საკრებულო მეჩეთში, კონსტანტინოპოლში¹⁵.

ოსმალეთის სახელმწიფოს ძლიერების დაცემისა და დაპყრობითი ომების შეწყვეტის შემდეგ სულთნის მთავრობას აღარ ძალუძდა ახალ-ახალი აღწერების ჩატარება და დავთრების შედგენა. ამასთან დაკავშირებით კალდი ნალი შენიშნავს: 1540 წლის დასაწყისში ლუტფი ფაშა წერდა, რომ გადასახადების რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს ყოველი 30 წლის შემდეგ; იგივეს ითხოვდა ასი წლის შემდეგაც დიდი ვეზირი ქენან მუსტაფა ფაშა. ჩვენი კვლევის პროცესში გამოირკვა, რომ ეს მოთხოვნა არ სრულდებოდა არც XVI და არც XVII საუკუნეებში. XVI ს-ში იმიტომ, რომ თურქეთის ადმინისტრაციული ორგანიზაცია იყო იმდენად დინამიური, რომ საჭიროებისთანავე (საწარმოო ძალთა ზრდა ან შემცირება) ხდებოდა აღწერა და ამასთანავე არა 30 წლის შემდეგ, არამედ ხშირად ყოველი 10 წლის შემდეგ. აღნიშნული ვადა არ იყო დატული XVII ს-ში იმის გამო, რომ დაცემის გზაზე დამდგარი იმპერიის ადმინისტრაცია იმდენად იყო დასუს-

¹⁴ ე ა ნ ბ ა ტ ი ს ტ ო ა ვ ე რ ნ ი ე, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, თბ., 1974, გვ. 120.

¹⁵ გ. შ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 9; А. Е. К р ы м с к и й, დასახ. ნაშრ. გვ. 27—29.

ტებული, რომ მას არ შეეძლო ახალი აღწერის ჩატარება არა თუ 10, არამედ 30 წლის განმავლობაშიაც კი¹⁶.

XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან და შემდგომ ოსმალეთის იმპერიაში ფაქტიურად აღარ ტარდებოდა პროვინციების აღწერა და დავთრების შედგენა¹⁷. არსებითად წარმოებდა ძველი დავთრებიდან ხელახალი გადაწერა (კოპირება). უმთავრესად აღგენდნენ თიმარ დავთრებსა და საგადასახადო რეესტრებს. მათში ფიქსირებული იყო ხასების, ზემეთებისა და თიმარების ყოველწლიური შემოსავალი და გადასახადების ოდენობა, რომლებიც დაფუძნებული იყო ადრე, ე. ი. XVI საუკუნეში შედგენილ აღწერის დავთრებზე. ეს კარგად ჩანს უნგრეთის მაგალითზე. კალდი ნადის შედარებული აქვს უნგრეთის ტერიტორიაზე მდებარე ბუდის, სცეგალდის და სცოლნიაკის სანჯაყების XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის დავთრების მონაცემები XVII საუკუნის სხვადასხვა დროის თიმარის რეესტრებთან, საიდანაც ჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში მათ შემოსავალში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ეს კი იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ XVII საუკუნეში უნგრეთის ტერიტორიაზე ახალი საკადასტრო აღწერა აღარ ჩატარებულა¹⁸.

ასევე აღარ ჩატარებულა ახალი აღწერა XVII—XVIII საუკუნეებში ახალციხის (ჩილდირის) საფაშოში. უკანასკნელად ოსმალთა მოხელეებმა 1595 წელს აღწერეს ახალციხის საფაშო და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ შეადგინეს. „გურჯისტანის დავთარსა“ და სხვა წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ ოსმალებმა ეს მხარე XVI საუკუნეში რამდენჯერმე აღწერეს, ხოლო შემდგომ საუკუნეებში კი ასეთი აღწერა აღარ ჩატარებიათ (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა).

ო. ბარკანისა და ჰ. თუნჯერის მიერ გამოქვეყნებული კანუნ-ნამეების კრებულებიდან ჩანს, რომ ამ კანუნ-ნამეების (კანუნ-ნამეები, როგორც წესი, წინ ერთოდა დიდ დავთარს) უდიდესი ნაწილი XV—

¹⁶ G. K a l d y - N a g y, The Administration of Sanjaq registration in Hungary, Acta Orientalia, Budapest, 1968, t. XXXI, F. 2. გვ. 189. H. T u n c e r, Arazi kanunlari, გვ. 79.

¹⁷ კოჩიბეი გორიჯელი რჩევას აძლევდა ტახტზე ასულ სულთან იბრაჰიმ I-ს (1640-1648) გამოეცა ბრძანებულება პროვინციების აღწერის მიზნით და შეედგინათ დავთრები, რათა მას (სულთანს) სცოდნოდა რამდენი თიმარი და ზემეთი იყო ოსმალეთის სახელმწიფოში, Koci Bey risalesi, გვ. 67.

¹⁸ G. K a l d y - N a g y, The Administration of Sandjaq, გვ. 221—223.

XVI საუკუნეებშია შედგენილი¹⁹. ესეც იმაზე მიუთითებს, რომ XVII და XVIII საუკუნეებში პროვინციების აღწერა ძალზე იშვიათად ტარდებოდა.

ასეთ ვითარებაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩაატარა ირანთან ომის შედეგად (1723—1736) დაპყრობილი ტერიტორიების აღწერა. მაგალითად, 1727 წ. ოსმალებმა ქართლი აღწერეს და თბილისის დავთარი შეადგინეს²⁰. დაახლოებით ამავე პერიოდში ოსმალებმა აღწერეს და დავთრებში გაატარეს, აგრეთვე, აზერბაიჯანის²¹, დასავლეთ სომხეთისა²² და დასავლეთ ირანის დაპყრობილი ტერიტორიები²³. ეს კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, რომ სულთნის ხელისუფლებას ქვეყნის აღწერა აინტერესებდა, უპირველეს ყოვლისა, დაპყრობილი ქვეყნებიდან გადასახადების აკრებისათვის, რათა ამით გაეზარდა სახელმწიფო შემოსავალი.

დამახასიათებელია ის, რომ ქვეყნის აღწერა ოსმალეთში შეჩერდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთის სულთნებს აღარ ძალუძდათ დაპყრობითი ომების წარმოება და თავისი იმპერიის ტერიტორიის გაფართოება.

ამრიგად, XV—XVI საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიაში რეგულარულად ტარდებოდა ქვეყნის აღწერა და დავთრის შედგენა. ეს ღონისძიება უმთავრესად დაკავშირებული იყო დაპყრობილი ქვეყნების ინკორპორაციასთან, იქ ადგილობრივი წყობილების გაუქმებასთან, ოსმალური სოციალურ-ეკონომიური სისტემის დამყარებასთან და ამ ქვეყნებიდან, გადასახადების გაწერის გზით, სახელმწიფო შემოსავლის ზრდასთან. XVII ს-ის 40-იანი წლებიდან დაპყრობითი ომე-

¹⁹ ო. ბარკანის მიერ გამოცემულ ასზე მეტ კანუნ-ნამედან XVII—XVIII ს-ებს განეკუთვნება მხოლოდ 9 კანუნ-ნამე, აქედან ექვსი— ხმელთაშუაზღვის კუნძულებსა და მის სანაპირო ქვეყნებს შეეხება: როდოსი, კანდია (კვიპროსი), მორეა და სხვ. (O. L. Barkan, Kanunlar, c. I, გვ. 292—296, 326—332, 332—338, 338—340, 346—348, 350—353, 353—354). ასეთივე ვითარებაა კ. თუნჯერის მიერ გამოცემულ კრებულშიაც. აქაც XVII—XVIII საუკუნეებს მხოლოდ 6 კანუნ-ნამე ეხება, აქედან ხუთი— ხმელთაშუაზღვის კუნძულებსა და სანაპირო მხარეს (H. Tuncer, Arazi, kanunları), გვ. 118—120, 356—357, 382—383.

²⁰ Istanbul, Başbakanlık Arşivi, № 897,900.

²¹ B. Lewis, Registration on Iran and Adhârbâyjan in the Ottoman Defter-i Khâkânî, გვ. 2—4.

²² Папаян, А. Д. დასახ. ნაშრ., გვ. 436—464.

²³ B. Lewis, დასახ. ნაშრ., გვ. 3, 4.

ბის შენელების შემდეგ, ფაქტიურად ქვეყნის ახალი აღწერა აღარ ჩატარებულა.

2. კვაყენის აღწერისა და დავთრების შედგენის წესი

თურქული ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული იყო ქვეყნის აღწერისა და დავთრების შედგენის წესი. ამ მიზნით დგებოდა სპეციალური ინსტრუქციები, იმ მოხელეთათვის, რომელთაც უნდა ჩატარებინათ აღწერა. ამ მასალის ანალიზიდან ირკვევა, რომ აღწერა შეიძლებოდა ყოფილიყო საკადასტრო, ოსმალეთის იმპერიის მთელი ტერიტორიის მომცველი და ნაწილობრივი, ცალკეული პროვინციებისა, ვილაიეთისა თუ სანჯაყის. პირველ რიგში, აღიწერებოდა ოსმალთა მიერ ახლად დაპყრობილი ტერიტორია, რომელიც უშუალოდ ინკორპორირებული იყო ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ²⁴.

ვიდრე დაპყრობილი ქვეყნებიდან ოსმალეთის არმია უკან იქნებოდა გაწვეული, სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებსა და ციხესიმაგრეებში ათვისებდნენ მცირერიცხოვან გარნიზონებს. ამის შემდეგ დარჩენილ ციხესიმაგრეებს ხშირად სულთნის სპეციალური ბრძანებით ანგრევდნენ. ეს ღონისძიება, რომელსაც ხშირად იყენებდნენ ოსმალები, იქით იყო მიმართული, რომ, ჯერ ერთი, იქ არ ყოფილიყო საჭირო სამხედრო ძალების დბანდება და, მეორე, ადგილობრივ გამგებლებს არ ჰქონოდათ წინააღმდეგობის გაწვევის საშუალება. შემდეგ, როგორც წესი, სიფაპიებს, რომლებიც შეადგენდნენ ოსმალეთის არმიის მთავარ ძალას, ეძლეოდათ თიმარები ახალ დაპყრობილი ქვეყნების სოფლებსა და ციხე-სიმაგრეებში. ამ უკანასკნელთ ეწოდებოდათ ჰისარ-ერი (hisar-eri) ან ყალე-ერი (kale-eri). ეს ჰისარ-ერები შეადგენდნენ ციხე-სიმაგრეთა ნამდვილ სამხედრო ძალას XV საუკუნეში. როგორც ჩანს, სიფრთხილის მიზნით ეს რეგულარული სამხედრო ძალები მოყვანილი იყო იმპერიის შორეული რაიონებიდან. მაგალითად, აღწერის დავთრების მიხედვით, ანატოლიის ჰისარ-ერების უმრავლესობა რუმელიიდან (ევროპიდან) იყო, ხოლო რუმელიისა — ანატოლიიდან. მაშინაც კი, როცა არსებობდა გამაგრებული ადგილების განსაზღვრული რიცხვი, ოსმალები აუცილებლად თვლიდნენ დაეჭირავენინათ ადგილობრივი მოსახლეობა,

²⁴ Ö. L. Barkan, Türkiye imparatorluk devirlerinin büyük nüfüsü ve arazi tahrirleri... გვ. 39—44. H. Inalcik, Süret-i defter-i sancaki Arvanis, გვ. XIX, XX. H. Inalcik, Ottoman methods of conquest... გვ. 110—111.

როგორც დამხმარე ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალეთის არმიის დიდი ნაწილი უმოკმედოდ უნდა დარჩენილიყო იმპერიის ასეულობით ციხე-სიმაგრეებში. ამ ადგილობრივი მოსახლეობის ერთგულება შეძენილი იყო განსაკუთრებული პრივილეგიებით, მაგალითად, განთავისუფლება გარკვეული სახის გადასახადებისაგან. თუმცა ასეთ პრივილეგიებს სამარადისოდ არ აძლევდნენ და შეიძლებოდა სულთნის სურვილის მიხედვით ჩამორთმეოდათ. მეტიც, ციხესიმაგრეებში მყოფ დამხმარე ძალებს ყოველთვის თან ახლდა ოსმალთა რეგულარული არმიის ჯარისკაცები (იანიჩრები). ზოგან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მთელი ქალაქის მოსახლეობა თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან, რათა ამით ოსმალეთის ხელისუფალთ მათი ერთგულების გარანტია ჰქონოდათ²⁵.

სულთნის მთავრობა დაპყრობილ მიწებს ჩვეულებრივ უბოძებდა ერთ ან რამდენიმე სანჯაყ-ბეგს, ტერიტორიის სიდიდისდა შესაბამისად.

ვილაიეთის აღწერა, შენიშნავს ჰალილ ინალჯიკი, იყო ოსმალთა მმართველობის საფუძველი²⁶. ადგილზე აღირიცხებოდა ყველა რესურსი, რომლის გადასახადით დაბეგვრა შეიძლებოდა და მონაცემები შექმნიდათ სააღრიცხვო წიგნში, რომელსაც დავთარი ჰაკანი (defteri Khakani), საიმპერიო დავთარი ეწოდებოდა. ამ დავთრების საშუალებით სამხედრო პირებს ეძლეოდათ ჯამაგირი. ეს დავთრები არა მარტო განსაზღვრავდნენ ცალკეული გლეხებისაგან ასაკრები გადასახადების რაოდენობას, არამედ ისინი გამოყენებული იყო როგორც ოფიციალური საბუთი იურიდიული წესების შემოღებისას²⁷.

ამ ღონისძიების გატარება, ე. ი. დავთრის შედგენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკავშირებული იყო დაპყრობილ ქვეყანაში ოსმალური მართვა-გამგებლობისა და მისი საგადასახადო სისტემის შემოღებასთან, ე. ი. ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარებასთან.

აღწერის ჩასატარებლად დავთრის შესადგენად სულთნის მთავრობის მიერ ინიშნებოდა სპეციალური კომისია. ამ კომისიაში შედიოდა ემინი და ქათიბი (მწერალი). ემინი იყო სულთნის რწმუნებული. იგი აწარმოებდა აღწერას და პასუხისმგებელი იყო მის ჩატარებაზე. ამ კომისიის მოვალეობას, კომპენტენტურობას და მუშაობის მეთოდ-

²⁵ H. I n a l c i k, Ottoman methods of conquest, გვ. 108.

²⁶ იქვე, გვ. 109.

²⁷ იქვე.

დებს ვიგებთ იმ ინსტრუქციებიდან, რომლებიც შედგენილი იყო სპეციალურად ასეთი სახის კომისიისათვის. გავეცნოთ ერთ-ერთ მათგანს. ესაა 1575 წელს შედგენილი, რომლის საფუძველზე ჩატარდა აღწერა ანატოლიასა და იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში. საფიქრებელია, რომ ანალოგიური ინსტრუქციით უნდა ჩატარებულყო საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიის აღწერა. 1. აღწერას ატარებდა ემინი. მას ეხმარებოდა მისდამი დაქვემდებარებული მოხელე ქათობი, რომელიც აწარმოებდა აღრიცხვას და შექმნდა მონაცემები დავთარში. ყოველ მათგანს საკუთარი ხარჯების დასაფარავად უფლება ჰქონდა აეკრიბა აღსაწერი რაიონის მცხოვრებთაგან ერთი ახჩა თითოეულ კომლზე. 2. ემინი კრებდა მონაცემებს მოსახლეობის, დასამუშავებელი მიწის, ვენახების, ბაღებისა და სხვათა შესახებ. ერთი სიტყვით, კრებდა ყოველგვარ ცნობებს, რომ გადასახადის გაწერის გარეშე რაიმე არ დარჩენოდათ. ემინს უნდა ხლებოდა და მისთვის კონსულტაცია გაეწია ყოველ ცალკეულ რაიონში ადგილობრივ ყადის. 3. ყოველ ცალკეულ რაიონში დაბეგვრის დაწყებამდე ემინი შეეკითხებოდა თიმარის ყველა მფლობელს ან მათ რწმუნებულთ და თხოვდა მიეწოდებინათ მისთვის მათ ხელთ არსებული სხვადასხვა იურიდიული საბუთი, ე. ი. ფირმანები, ბარათები, ჰუჯათები და სხვა, რომლებიც ადასტურებდა მათ უფლებას თიმარზე ან ათავისუფლებდა გადასახადებისაგან. 4. შემდეგ ემინი დადიოდა სოფლიდან სოფელში, ამოწმებდა ადგილზე, ადარებდა მიმდინარე მონაცემებს წინა ჩანაწერებთან. 5. თიმარის ყველა მფლობელი ვალდებული იყო მიეწოდებინა მისთვის (ემინისათვის) ცნობები სამხედრო ვალდებულებათა მქონე პირების შესახებ. ემინს უნდა ჩაეწერა მათი სახელები და გვარები. ამ შემოწმების შედეგებს, წიგნის სახით შედგენილს, სულთანს წარუდგენდნენ, რომელიც შემოწმების შემდეგ ამტკიცებდა მას. 6. ჯიზესა (ამ სულად გადასახადს იხდიდნენ არამუსლიმები) და ავარიზის (საგანგებო გადასახადი) დავთრები ყადის კომპენტენციას შეადგენდა და შემდგომ სულთანს გადაეცემოდა. 7. ემინს აგრეთვე უნდა შეედგინა ანგარიში დასაბეგრავე რაიონის თავისებურებათა შესახებ და გაეთვალისწინებინა სხვაობები გადასახადებს შორის. ამას განიხილავდა სულთანი და მისი დამტკიცების შემდეგ ეს იწერებოდა დავთრის პირველ გვერდზე. 8. ემინს აგრეთვე მოეთხოვებოდა ჩაებარებინა ანგარიში ყველა თიმარის მფლობელისა და მისი მსახურების შესახებ²⁸. შემდეგ უნდა მომხდარიყო თიმარების გადანაწილება მათი ტი-

²⁸ თითოეული თიმარიოტი ვალდებული იყო ემინისათვის მიეწოდებინა ცნობა თი-

ტულისა და მდგომარეობის შესაბამისად, რაც უნდა გატარებულიყო ცალკე დავთარში²⁹.

ყადის ევალეზოდა ემინის მიერ ჩატარებული აღრიცხვისათვის მიეცა დავთრის სახე, ე. ი. აღწერას უნდა ჰქონოდა იურიდიული დოკუმენტის ხასიათი, ყადის რწმუნებაში მყოფ ერთეულზე³⁰.

მას შემდეგ, როცა რეგისტრირებული იყო შემოსავლის ყველა წყარო და შემოწმებული იყო ყველა საჭირო დოკუმენტი, სააღწერო კომისია იწყებდა დიდი (დეტალური) დავთრის შედგენას და რედაქტირებას. შემდგომ დგებოდა შემაჯამებელი ანუ მცირე დავთარი. ორივე დავთარი შეიცავდა მრავალ ზოგად, საერთო დიპლომატიკურ ელემენტებს. დავთარს, ჩვეულებრივ, ახლდა მოკლე შესავალი, სადაც ჩაწერილი იყო სულთნის ბრძანებულება, რომლის საფუძველზედაც ტარდებოდა აღწერა, და აგრეთვე კონკრეტული მითითებანი სააღწერო კომისიისათვის. შემდეგ კი მითითებული იყო ემინისა და ქათიბის სახელები, რომლებიც აწარმოებდნენ აღრიცხვას. ზოგჯერ დავთარში მითითებული იყო მხოლოდ ემინის სახელი, ქათიბის კი არა³¹.

ზოგჯერ გვხვდება მაგალითები იმისა, როცა არაა მოხსენიებული ემინი და ქათიბი, მაგრამ დასახელებულია სანჯაყბეგი, რომლის ხელმძღვანელობით ჩატარდა აღწერა³².

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალბანეთის დავთრის შემდგენელმა ქათიბმა არაბულ ორთოგრაფიაში შეიტანა ალბანური და სლავური ხმოვნები. ამის საფუძველზე ჰ. ინალჯიკმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი შემდგენელი ქათიბი ალბანელი უნდა ყოფილიყო. ამ დოკუმენტის შესწავლის შედეგად ჰ. ინალჯიკმა დაასკვნა, რომ ბალკანეთის ქვეყნებში თავდაპირველი აღწერის ჩამტარებელნი იყვნენ ადგილობრივი წარმოშობის პირები, ან იქ მცხოვრებნი დიდი ხნის განმავლობაში და ამ კუთხის ენის კარგი მცოდნენი. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ დავთარში ფონეტიკურად სწორადაა გადმოცემული პირთა საკუთარი და გეოგრაფიული სახელები³³.

მარის რაიების (გლეხები) შესახებ და თავისი ბარათის ან სხვა საბუთის საშუალებით მოეხდინა რაიების აღწერა და მიეთითებინა თიშარის ყოველწლიური შემოსავლის ჯამი. H. Š a b a n o v i č, Krakište Isa-Bega Ishanoviča, zbirni katastarski popis iz 1455 godine, Sarajevo, 1964, გვ. XX XII.

²⁹ H. Inalcik. Ottoman methods of conquest, გვ. 110, 111.

³⁰ H. Š a b a n o v i č, დასახ. ნაშრ., გვ. XXXIV.

³¹ იქვე.

³² იქვე.

³³ H. Inalcik, Sûrets-i deftr-i sancak-i Arvanid, გვ. XVII.

დავთრის შესავალში, ჩვეულებრივ აღნიშნული იყო აღწერის დამთავრების თარიღი, შესაბამისად იმისა, როცა იგი გადაეცემოდა პორტას. ხშირად აგრეთვე მითითებული იყო აღწერის დაწყების თარიღიც.

ჩვენამდე მოღწეულ დავთრებს შორის უძველესია ოსმალეთის ევროპული ნაწილისათვის შედგენილი დავთარი: ბრანკოვიჩის ოლქის 1468 წლის აღწერა³⁴. მას დართული აქვს კანუნ-ნამე და შეიცავს დეტალურ ცნობებს გადასახადთა ოდენობისა და ღირებულებების შესახებ, რომელიც დაწესდა ახლად შემოერთებულ ვილაიეთში. აქ საუბარია ცალკეულ ადგილთა სტატუსის შესახებ, დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმებზე და სხვ.

ამ შესავალსა და კანუნ-ნამეს მოსდევს დავთრის აღწერის ტექსტი. ეს იყო საკადასტრო აღწერა: დაწვრილებითი და შემაჯამებელი, რომლის რედაქტირება ხდებოდა აღწერის დამთავრების შემდეგ. მასში ფიქსირებული იყო ფეოდალთა სამფლობელოების დანაწილება თიმარებად, ზემამეთებად, ხასებად. ამგვარად, აღწერილი იყო ყოველი ხასი, ზემამეთი, თიმარი. აღწერაში ჯერ ჩამოთვლილია სამეფო ხასები, შემდეგ კი ოლქისა და სანჯაყბეგის ხასები და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ალბანეთის 1431/2 წლის მცირე დავთარში, აგრეთვე 1455 წლის ისა ბეგ ისპაკოვიჩის დავთარსა და 1455 წ. ბრანკოვიჩის დიდ დავთარში, საერთოდ არ არის შეტანილი სულთნის ხასები, არც ვეზირისა და ბეგლარბეგების ხასები, ხოლო 1453/5 წლის დიდ დავთარში და 1468 წ. ბრანკოვიჩის ოლქის დავთარში აღწერილია სულთნის ხასები³⁵.

დავთრებში მითითებულია აგრეთვე მიჯნები, რომ ერთი ნაპიე არ მიკუთვნოდა მეორე ვილაიეთს. პირველად აღწერილი იყო დასახელებული ვილაიეთის სუბაშის ხასი, შემდეგ კი დანარჩენი მსხვილი ფეოდალებისა, შემდეგ სიფაპიების თიმარები და უფრო წვრილი ფეოდალებისა. ამას მოსდევდა იმავე ვილაიეთის საქალაქო დასახლების თიმარების აღწერა. ბოლოს, მოცემული იყო თავისუფალი თიმარების, მეკუთხჩიების აღწერა. ხშირად თავისუფალი თიმარების აღწერა ხდებოდა დავთრის ბოლოში, რომელიმე ვილაიეთის სიფაპიების აღწერის შემდეგ. დასასრულს მოცემული იყო ოლქში შემავალი ჩიფთლიქების აღწერა³⁶.

³⁴ H. Š a b a n o v i č, Bosansko Krajište, Godišnyek Istoriyskg društva Bosne i Hercegovine, IX, 1957, გვ. 178.

³⁵ H. Š a b a n o v i č, დასახ. ნაშრ., გვ. XXXVI.

³⁶ იქვე.

ყოველი ხასის, ზემართისა და თიმარის აღწერა, რომელიც წარმოადგენდა დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულს, ხდებოდა შემდეგი თანამიმდევრობით: პირველად აღნიშნული იყო ამ ლენის მფლობელის გვარი (ტიტული, წოდება, განმასხვავებელი ნიშანი, კოჭლი, ბრმა, ცალხელა და სხვა). შემდეგ თიმარის ფლობის საფუძველი (მაგალითად, გარდაცვლილი სულთნის ბარათი, თეზქერე და სხვა). შემდეგ რას ფლობდა თიმარიოტი; სამფლობელოს ტიპი: თავისუფალი თიმარი, ჩიფთლიქი, მუშთერექი და სხვა³⁷.

იმ შემთხვევაში, როცა სიფაჰის არ გააჩნდა საბუთი, რომლის ძალით იგი ფლობდა თიმარს, მაშინ შეიძლებოდა ლენის ჩამორთმევა და მისი გამოცხადება სახელმწიფო საკუთრებად³⁸.

შემდეგ აღნიშნული იყო ადგილის სტატუსი (ქალაქი, ციხე, სოფელი, სათესველი, ეკლესია და სხვ.); საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეკრების ადგილები: მოედანი, ბაზარი, გასასვლელი, ციხე და სხვ. ამ მონაცემების შეტანა საკადასტრო წიგნებში იმით იყო გამართლებული, რომ ეს ადგილები წარმოადგენდა ფეოდალის შემოსავლის წყაროს³⁹.

აღწერაში ხშირად შეტანილი იყო ტბები, მდინარეები და მითითებული იყო გადასახადი მეთევზეობაზე (იხილეთ მაგალითად, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“), მთები, საზაფხულო იალაღებით, მდინარეები, ჩანჩქერები, რომლებზედაც დადგმული იყო წისქვილები და სხვა.

დავთარში მოცემული იყო ოსმალეთის ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურის დეტალური მიმოხილვა, თითოეული კლასის პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის აღნიშვნით.

შემდეგ დავთარში ფიქსირებული იყო ფეოდალური გადასახადების სია, რომელთაც ადგილობრივი გლეხები თავიანთ ფეოდალებს უხდიდნენ ნატურით თუ ფულით. მითითებული იყო მთელი გადასახადების ჯამი. ყოველი აღწერის ბოლოს მოცემული იყო ფეოდალის ყოველწლიური შემოსავლის ჯამი ახჩებში⁴⁰.

ადრეულ წლებში ჯამი დგებოდა ნატურალური შემოსავლის ფულადი გამოხატვით, ადგილობრივი ფასების შესაბამისად, რომელსაც

³⁷ H. Şabanoviç, დასახ. ნაშრ., გვ. XXXVI.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე, გვ. X.

ადგენდა სპეციალური კომისია. ემინი ვალდებული იყო შემოსავლის წყაროების შესაბამისად დაედგინა ტიტულატურა მოცემული ფეოდალისა და შეეტანა მისი სახელი დავთარში. ასეთი პრაქტიკა გრძელდებოდა XV საუკუნის 70-იან წლებამდე, როცა გამოვიდა მეჰმედ II-ის (1451—1481) კანუნ-ნამე. სადაც ნორმირებული იყო ეს მოვალეობანი. ეს აღნიშვნა უმთავრესად ფიქსირებული იყო მცირე დავთარში⁴¹.

დიდი დავთრის შედგენის შემდეგ სააღწერო კომისიას უნდა შეედგინა იმავე მხარის მცირე დავთარი. ეს მცირე დავთარი ადრეულ პერიოდში, სულთან სულეიმან ბრწყინვალემდე, წარმოადგენდა დიდი დავთრის შემოკლებულ რედაქციას და არაფერს შეიცავდა ისეთს, რაც არ შედიოდა დიდ დავთარში. ამის გამო მცირე დავთარში არ იყო შეტანილი ხასები და თიმარები, ასევე ვაკუფები, მულქები და თავისუფალი ბაშთინები. არ იყო ფიქსირებული აგრეთვე ოჯახის უფროსის გვარი და არც სხვა მამაკაცებისა, ვისაც ეკუთვნოდა ხასი თუ თიმარი. ადრეული პერიოდის იჯმალ დავთარში შეტანილი იყო ცალკეულ თიმარიოტთა სახელები და მათი ფეოდალური შემოსავალი⁴².

მას შემდეგ, როცა შედგებოდა დიდი და მცირე დავთრები, ისინი ეგზავნებოდა პორტას და მათ ამტკიცებდნენ სულთნის ბრძანებით და თულრის დასმით. დავთრები ორ-ორ ცალად იწერებოდა. დამტკიცების შემდეგ ერთი ცალი რჩებოდა სტამბოლში, ხოლო მეორე ეგზავნებოდა ადგილზე, იმ მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც იგი იყო შედგენილი.

თუ აღწერა არ იყო ჩატარებული სწორად, დავთარი უქმდებოდა, ხოლო დამნაშავე ისჯებოდა. შემდეგ ინიშნებოდა ახალი კონისია, რათა ჩაეტარებინა რევიზია ან ხელახალი აღწერა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებს შეიცავს 1489 წლის ბოსნიის სანჯაყის აღწერის შესავალი, საიდანაც ჩანს, რომ ეს დაწერილებითი აღწერა ჩატარდა იმის გამო, რომ 1485 წლის დიდი დავთარი გაუქმებულ და მოსპობილ იქნა⁴³.

დავთრის დედანს, ორიგინალს ეწოდებოდა *asil defter-i* და ინახებოდა ცენტრალურ დევეთერხანეში. მის ასლს ეწოდებოდა *suret-i defter-i* იგი ეგზავნებოდა აღწერილი პროვინციის ბეგლარბეგს და ინახებოდა პროვინციის დავთარხანეში. ამ ასლების გამოცნობა ძალიან

⁴¹ H. Šabanovič, დასახ. ნაშრ., გვ. XI.

⁴² იქვე, გვ. XLII.

⁴³ იქვე.

ადვილია, რადგან მათ აწერია sûret-i defter-i mecmual-i ან sûret-i defter-i mufassal ე. ი. მცირე დავთრის ან დიდი დავთრის ასლი⁴⁴.

სააღწერო კომისია ადგენდა და რედაქტირებას უკეთებდა. აღწერის შედეგად წარმოდგენილ საბუთებს. ეს განსაკუთრებით აუცილებელი იყო მოცემული მხარის პირველად აღწერის დროს. ხელახალი აღწერისას ეს პროცედურა აღარ იყო საჭირო, რადგანაც სააღწერო კომისიის ხელთ იყო წინა აღწერა, რომელიც წარმოდგენდა საფუძველს ახლისათვის. მაგრამ ამ ახალ დავთარში შესაძლებელია შეტანილი ყოფილიყო ცვლილებები მიწის მფლობელებზე და ფეოდალთა შემოსავალზე, რომელთა წყაროები არ იყო აღნიშნული წინა დავთარში. ამის გამო ადრე შედგენილ დავთარს ეწოდებოდა ძველი დავთარი (defter-i atik ან defter-i köhne) ახალი დავთრისაგან განსახვავებლად. ახალ დავთარს კი, რომელსაც კომისია ადგენდა, ეწოდებოდა (defter-i cedid) ახალი დავთარი⁴⁵.

თურქულმა საკადასტრო დავთრებმა განიცადეს ცვლილება სულეიმან კანუნის გამეფების შემდეგ, 1520 წ. უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, რომელიც მოხდა თურქულ დიდ საკადასტრო წიგნში, მდგომარეობს იმაში, რომ ამიერიდან ფეოდალის ნატურალური შემოსავლის აღნიშვნაში შეტანილ იქნა ახალი ელემენტი. ყოველგვარი გადასახადიდან ნატურით შეტანილია დავთარში მისი ფულადი ღირებულება (ახჩეში). ყადის დამხმარე გადასცემდა ემინს ჰუჯათს (სასამართლოს გადაწყვეტილებას) თითოეული საგნის ნომინალური ღირებულების შესახებ. ემინი ამ დოკუმენტებს ინახავდა ან უგზავნიდა პორტას, რომელიც ამტკიცებდა წარმოდგენილ ფასებს და უგზავნიდა ემინს დავთარში შესატანად. ამ საკითხის მოგვარებას უნდებოდნენ დაახლოებით ორ წელიწადს. ყოველივე ამან დიდი დავთრის წიგნები მეცნიერული თვალსაზრისით ძალიან გააღარიბა, რადგანაც საკადასტრო წიგნებში აღარ იყო შეტანილი ფეოდალური შემოსავლის დანაწილება ლენებად. ზოგჯერ ახალი ტიპის დიდ დავთარში მოცემული იყო სულთნისა და სანჯაყბეგების ხასები. იმ ოლქებში, სადაც მოქმედებდა ახალი სისტემა დიდი დავთრების შედგენისა, იქმალ დავთარი შეიცავდა გარკვეულ ელემენტებს, რომელიც არ იყო წარმოდგენილი თანადროულ დიდ დავთარში. სხვანაირად რომ ვთქვათ, იქმალ დავთარი (მცირე დავთარი) შემდეგშიაც ინარჩუნებდა ძველ ფორმასა და შინაარსს. ამრიგად, სულეიმან კანუნის მეფობის დამდე-

⁴⁴ H. I n a l c i k, Sûret-i defter-i sancak-i Arvanid, s. XII.

⁴⁵ იქვე.

გიდან მოყოლებული გვხვდება ახალი ტიპი დიდი დავთრისა, რომელშიც არაა მოცემული ფეოდალების სახელები, არაა ცნობები შემოსავლის დანაწილების შესახებ ფეოდალთა შორის. გამონაკლისს შეადგენდა სულთნის ხასები და ზოგჯერ სანჯაყბეგებისაც. ე. ი. ახალი წესით შედგენილ დიდ დავთარში არ იყო შეტანილი ის ელემენტები, რომლებიც ფიქსირებული იყო იჯმალ დავთარში⁴⁶.

ახალი ტიპის დიდ დავთრებს ყველგან როდი ადგენდნენ. ჰ. შაბანოვიჩის დაკვირვებით, ახალი სისტემა დიდი დავთრების შედგენისა გამოყენებული იყო ღუნაისპირეთში, ბუდინის საფაშოში, ხოლო ბოსნიის სანჯაყებში მოქმედებდა ძველი სისტემა⁴⁷. საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ახალი წესით იყო შედგენილი (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ სულეიმანის დროიდან გვაქვს ორი ახალი ტიპის იჯმალ (მცირე) დავთარი. პირველი ტიპი წარმოადგენდა ისეთ სრულ იჯმალ დავთარს, რომელშიც მოცემული იყო ცნობები მოსახლეობის შესახებაც: ამგვარი დავთარია 1541 წლის ბოსნიის მცირე დავთარი. გვხვდება მეორე ტიპის არასრული იჯმალ დავთარი, რომელიც სისტემატურად არ დგებოდა. ასეთია მაგალითად, 1516 წლის ბოსნიის სანჯაყის და 1521/3 წლის სმედირევსკის სანჯაყის დავთრები. შაბანოვიჩის აზრით, ამ ტიპის დავთარი შედგენილი იყო არა ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ, არამედ ცენტრალური დევეთერ-ხანეს მოხელეთა მიერ⁴⁸.



თურქული აღწერის დავთრების მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, თუ როდენ მდიდარ და მრავალმხრივ საყურადღებო მასალას შეიცავენ ისინი ოსმალეთისა და მის იმპერიაში შემავალი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობის საკითხების შესასწავლად. მათში დაცული ცნობები სანდოა, რადგან

⁴⁶ Н. Ş a b a n o v i ç, დასახ. ნაშრ., გვ. XLIII—IV. Б. Джурджиев, Древнейший сохранившийся турецкий дефтер Сремского санджака, Восточные источники по истории Юго-Восточной Европы, т. I, с. 124.

⁴⁷ Н. Ş a b a n o v i ç, დასახ. ნაშრ., გვ. XLIV.

⁴⁸ იქვე.

დავთრები შედგენილია ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ თითოეული მონაცემის ზუსტად შემოწმებისა და შეჯერების შედეგად.

ასეთი დავთრები განსაკუთრებით საყურადღებოა აღწერილი მხარის ეკონომიური მდგომარეობის დასახასიათებლად. ჩამოთვლილია თითოეული სოფლისა და დასახლებული პუნქტის მეურნეობის დარგები (მაგ., მემინდვრობა, მეხილეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და სხვ.). აღნიშნულია გლეხების მიერ ფეოდალთა სასარგებლოდ დაწესებული გადასახადები და გამოსაღებები, რომლებსაც ისინი იხდიდნენ ნატურით მოყვანილი (მაგ., ხორბალი, ქერი, მუხუდო, სელი, ღვინო, თაფლი და სხვ.) პროდუქტებიდან. იქვე მითითებულია ამ პროდუქტების ფულადი ღირებულება ახჩებში. ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ იმ ეპოქაში ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნომინალური ღირებულება.

დავთრები შეიცავენ მდიდარ მასალას მოსახლეობის მდგომარეობის გასათვალისწინებლად. ზოგჯერ სოფლისა თუ დასახლებული პუნქტის გვერდით მიწერილია: გაქცეულია, აყრილია, წასულია და სხვა. იქვე აღნიშნულია ამ მიტოვებული ადგილის ყოველწლიური შემოსავალი.

დავთრებში მეტად მდიდარი ცნობები მოიპოვება ფეოდალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესებისა და ფეოდალური კლასის სოციალური მდგომარეობის შესასწავლად.

აღწერის დავთარზე დართულ კანუნ-ნამეს ანალიზის შედეგად შეიძლება შევისწავლოთ იქ არსებული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები, გადასახადები და საგადასახადო სისტემა და სხვ.

დავთარი ძვირფასი წყაროა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების გასაშუქებლად. მოიპოვება ცნობები ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის, უბნების, მოედნების, სავაჭრო რიგებისა და სხვათა შესახებ. ქალაქებისათვის შედგენილ კანუნ-ნამებში ფიქსირებულია სახელოსნო გადასახადები, დადგენილია ქალაქში შემოტანილი და გატანილი პროდუქტებისა და სახელოსნო ნაწარმზე ბაჟები და სხვ.

დავთრები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მოსახლეობის სოციალური, რელიგიური, ეთნიკური შემადგენლობის გასარკვევად. მოცემულია მოსახლეობის კომპოზიციი აღწერა, რაც მდიდარ სტატისტიკურ მასალას იძლევა იმდროინდელი მოსახლეობის რაოდენობის დასადგენად.

აღწერის დავთრები უაღრესად მდიდარ მასალას შეიცავს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის შესასწავლად. იქ დასახლებული ბევრი სოფელი თუ დასახლებული პუნქტი დღეს აღარ არსებობს. მათი სახელების აღდგენა და ისტორიული ვითარების შესწავლა კი მეტად საპირო საქმეა.

ერთი სიტყვით, აღწერის დავთრები ამოურწყავი წყაროა ქვეყნის წარსული ცხოვრების მრავალი საკითხის ასამეტყველებლად.

ქართული დავთრები

საქართველოში ქვეყნის აღწერას და დავთრების შედგენას დიდაზნის ისტორია აქვს.

1901 წელს პირველად ამ საკითხს ყურადღება მიაქცია სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა¹. შემდგომ წლებშიც განაგრძობდა ივ. ჯავახიშვილი ქართული დავთრების კვლევას და თავის მრავალ შრომაში საყურადღებო დებულებები წამოაყენა, დღესაც დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე².

ჭერჭერობით ძნელია იმის თქმა, თუ საქართველოში რა დროიდან დაიწყო ქვეყნის აღწერა და დავთრის შედგენა, რადგან უძველესი ქართული წყაროები უამთა სიავის გამო დაიღუპა.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „დავთარი“ ქართლში მონღოლთა ბატონობის დროს შემოდის და თუმცა იგი წარმომავლობით შესაძლებელია არც მონღოლური და არც სპარსული არ იყოს და ტყავის ეტრატის აღმნიშვნელი ბერძნულ ტერმინ „დივთერას“-გან იყოს წარმომდგარი, მაგრამ **داو** „დაფთარ“ იმ მნიშვნელობით, რომელიც ქართლში შემოვიდა სწორედ მონღოლთა სახელმწიფოში იხმარებოდა და იქიდან უნდა იყოს შემოხიზნული“³.

ივ. ჯავახიშვილი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში ხალხის აღწერის დავთრები XII საუკუნეში და ამაზე ადრეც არსებობდა⁴.

ეს მოსაზრება კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა აკადემი-

¹ ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში (მოსხენება 22 თებერვალს 1901 წ. პეტერბურგის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების კრებაზე). მოამბე, 1901, № 4, გან. II, გვ. 1—17.

² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბ., 1930, გვ. 1—48; მისივე, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წ. 3, ნაკვ. 2; ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. 10.

³ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სიგელთმცოდნეობა..., გვ. 40.

⁴ იქვე.

კოსმა ნიკო ბერძენიშვილმა: „ჩვენ მოგვეპოვება სანდო ცნობები იმის შესახებ, რომ ჭერ ისევ ადრეფეოდალურ ხანაში უწარმოებიათ ხალხისა და მისი საქონელის აღწერა; მოგვეპოვება ცნობები, რომ შემდეგ, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, არსებობდა წესი სახელმწიფო შემოსავლის აღრიცხვისა, სახალხოდ გამოძავალი ლაშქრის აღთვალვისა. სხვა რიგად არც შეიძლება ვითარების წარმოდგენა ისეთ მოწესრიგებულ სახელმწიფოში, როგორც იყო, ვთქვათ, დავით აღმაშენებლის ან თამარის დროის საქართველო. კიდევ უფრო მეტყველი ცნობები მოგვეპოვება ჩვენ XIII საუკუნეში ხალხისა და მისი ქონების აღწერათა შესახებ. უფრო მეტი: ერთ ძველ ქართულ წყაროში დაცულია ცნობა, რომლის მიხედვით გვაქვს საბუთი ვივარაუდოთ, რომ წესი შვიდ წელიწადში ერთხელ აღწერისა შემოსულა ჩვენში არა XVII—XVIII საუკუნეებში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, რომ ეს წესი უკვე არსებობდა ქართული ფეოდალური ურთიერთობის დიდი აღმავლობის ხანაში“⁵.

XVII—XVIII საუკუნეების ქართული წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ დროს ქართლის სამეფოში პერიოდულად ტარდებოდა ქვეყნის აღწერა როგორც სამხედრო, ისე ფისკალური მიზნით. ჩანს, ქვეყნის აღწერა იმდენად დამკვიდრებული იყო, რომ ამან ასახვა პოვა აგრეთვე ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“. სამეფო ხელისუფლების კანცელარიასთან არსებობდა დავთარ-ხანე, სადაც ინახებოდა სხვადასხვა სახის დავთრები.

ქართლის სადროშოების აღწერის შედეგად ოთხი დავთარი დგებოდა. ქართლის სამეფოში აღწერა ყოველ 7 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო. ხოლო აღწერა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მომთაბარე მოსახლეობის, რომელიც თურქი ტომებისაგან შედგებოდა და „ელის“ სახელით იყო ცნობილი, „დასტურლამალის“ მიხედვით, უნდა ჩატარებულიყო სამ წელიწადში ერთხელ. „ელის“ მოსახლეობა რამდენადმე განსხვავებული წესით აღიწერებოდა, ვიდრე მკვიდრი მოსახლეობა.

ქართლის სადროშოების აღწერის დავთრებიდან ჩვენამდე სრული სახით მხოლოდ ერთმა — 1721 წლის მეწინავე სადროშოს (ქვემო ქართლი) აღწერის დავთარმა მოაღწია⁶. ამ დავთრის ანალიზის სა-

⁵ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები № 1, თბ., 1967, წინასიტყვაობა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა, გვ. 5.

⁶ იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ

ფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ როგორი იყო ამ სახის დავთრები.

აღწერის დავთარი დალაგებულია საბატონოების მიხედვით; ჩამოთვლილია თითოეული მეზატონის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები გლეხები (ყმები). ბოლოს მითითებულია ყოველი ფეოდალის ყმა-გლეხის საერთო რაოდენობა. „დავთარიში“ მოხსენებულია როგორც ფეოდალის, ისე გლეხის გვარი და სახელი, თუმცა ხშირად მარტო გვარია ხოლმე, ან მხოლოდ სახელი.

დავთარში აღნიშნულია გლეხის ქონებრივი მდგომარეობა. მაგალითად, „ბოგანო“ (უვენახო გლეხი), „მიწა 60 დღის“ და სხვ.

დავთარი გვაწვდის ცნობებს პირთა სოციალური მდგომარეობის შესახებ: თავადი, აზნაური, ხუცესი, ტერტერა და სხვ. აღნიშნულია აგრეთვე გლეხის ხელობა: მკედელი, ღურგალი, კალატოზი, ქვისმთელი და სხვ.

დავთარი ნათელ სურათს იძლევა იქ მოხსენებულ პირთა ოჯახური მდგომარეობისა: ქვრივი, ობოლი და სხვ. ჩაწერილია ნასყიდობაც.

დავთარში აყრილისა და ამოვარდნილის შესახებაცაა მოტანილი ცნობები. მაგალითად, „წინ ვენახი ამოვარდნილია“, „აყრილია ზეთი სოფელი“. ზოგჯერ გვხვდება მინიშნება იმაზე, თუ როდის მოხდა აყრა, რამდენი აიყარა: „ახლა აყრილა“, „სულ აყრილა“.

ხალხის აღწერის დროს სახელმწიფო ხელისუფლებას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: ლაშქრად გასაწვევად გამოსადეგ მამაკაცთა რაოდენობისა და სახელმწიფო გადასახადებისა და სხვა გამოსავლის მოსალოდნელი ოდენობის გაგება.

იჩვენება, რომ საქართველოში ქალაქის მოსახლეობის აღწერა ქვეყნის სოფლის მოსახლეობისაგან გამოყოფილი იყო. თბილისის და სხვა ქალაქებს (გორი, თელავი) ცალ-ცალკე აღწერდნენ და დავთრებს შეადგენდნენ. ქალაქში ყოველი აღწერის დროს, როგორც „დასტურლამალიდან“ ჩანს, მეფე თვითონ ნიშნავდა „მდივან-მწიგნობრებს“. აქაც აღწერა 7 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო. სამწუხაროდ, ქალაქებისათვის შედგენილი დავთრების უდიდესი ნაწილი განადგურდა და ჩვენამდე მხოლოდ ცალკეულმა ფრაგმენტებმა მოაღწია. გადარჩენილთაგან შეიძლება დავასახელოთ ქ. გორის მცხოვრებ-

მე-XVIII საუკუნეში, თბ., 1907; ი ა ს ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. I—II, თბ., 1935; ნაწ. III—IV, 1938 წ.

თა აღწერის დავთრის ფრაგმენტი, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, XVIII ს-ის პირველ ათეულში უნდა ყოფილიყო შედგენილი⁷.

მოიპოვება აგრეთვე თბილისის ხალხის აღწერის დავთრის ორი ნაწყვეტი. ერთი, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, შედგენილია 1774 წელს და მეორე — 1781—1782 წელს⁸.

ქალაქის დავთრების შედგენის წესი ერთგვარად განსხვავდებოდა სადროშოების დავთრებისაგან⁹.

ხალხის აღწერის დავთრები კახეთის სამეფოშიაც ყოფილა შემოღებული. ამას მოწმობს კახეთისათვის შედგენილი დავთრის ფრაგმენტები¹⁰. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს დავთარი XVII ს-ის პირველ მეოთხედში უნდა შეედგინათ¹¹.

კახეთში ხალხის აღწერის დავთრის არსებობას ადასტურებს აგრეთვე 1778 წლის ერთი მორიგების წიგნის ცნობაც. ამ საბუთში აღნიშნულია, რომ სასამართლოში გასარჩევი სისხლის სამართლის საქმეზე განჩინების დასადგენად და მიმძღავრებულთ ძველი და პირველი კახეთის დავთრები მოითხოვეს და გასინჯესო¹².

სათანადო საბუთების უქონლობის გამო ძნელია იმის თქმა, თუ როდის იყო შედგენილი კახეთის პირველი დავთარი. ამჟამად გამოურკვეველია აღწერის მსგავსი წესი დასავლეთ საქართველოშიაც იყო გავრცელებული თუ არა. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოს ხალხის აღწერის დავთრები არ აღმოჩენილა. მაგრამ საერთოდ დასავლეთ საქართველოს საბუთები შედარებით ცოტაა დაცული. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ყმების გამოსავალი ბეგარის XVI—XVII სს. დავთრებმა ჩვენამდის მოაღწიეს. ამიტომ თუ ისე სისტემატურად და ქრონოლოგიურად მტკიცედ განსაზღვრულ ვადებში არაა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა, თუნდაც დიდი დროგამშვებით მაინც, ხალხის აღწერის დავთრების არსებობა დასავლეთ საქართველოშიც არის მოსალოდნელი¹³.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, გვ. 37.

⁸ იქვე; თბილისისა და გორის აღწერის ნაწყვეტები, მხ. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ., 1967, გვ. 140—182, 256—283.

⁹ იქვე.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, გვ. 7—119.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, გვ. 37.

¹² იქვე.

¹³ იქვე, გვ. 43.

საქართველოში სადროშოების დავთრების გარდა ცნობილია აგრეთვე სხვა სახის დავთრებიც: სათავადოების¹⁴, მორიგი ჯარის¹⁵, საეკლესიო¹⁶ და სხვ.

საეკლესიო დავთრების მთავარი დანიშნულება იყო აღენუსხათ საეკლესიო მამულებისა და ქონების შემოსავალი. ასე მაგალითად, რუისის საეპისკოპოსოს დავთარში ნათქვამია: „მე დრამისათვის (ფულისათვის) აღეწერო, რომ საყდარს მოსავალი არ დაეკარგოსო“¹⁷.

საყურადღებოა, რომ ამ დავთარს დართული აქვს შესავალი, რომელშიც წერია: „ამას გარდა ამ საყდრის მამული და ყმა სულ დამიწერია, — თარხანი ვინ არის და თარხნობით რა სამსახური აქვს, და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა აქვსო“¹⁸.

ამგვარად, ირკვევა, რომ საქართველოში არსებობდა სხვადასხვა სახის დავთრები, რომელთაც გარკვეული დანიშნულება ჰქონდა. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ საქართველოში ქვეყნის აღწერა და დავთრის შედგენა ძველთაგანვე მტკიცედ დამკვიდრებული იყო.



ქართულ დავთრებს თურქულს თუ შევადარებთ, დაეინახავთ, რომ მათ შორის ბევრი რამ საერთოა. განსაკუთრებით ეს თავს იჩენს სადროშოების დავთრებისა და თურქული პროვინციების აღწერის დავთრების შედარებისას.

საქართველოში, ისევე როგორც ოსმალეთში, აღწერის ჩასატარებლად მეფის ბრძანებით ინიშნებოდა სპეციალური კომისია. აღწე-

¹⁴ ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I გვ. 120—140, 183—255; ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. II, გვ. 41—82; 83—88.

¹⁵ ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XVIII—XIX სს.), წ. II, თბ., 1974, გვ. 169—172.

¹⁶ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წ. თფ., 1915 წ.; აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გამოც. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ა, თფ., 1914 წ.; რუისის საეპისკოპოსოს დავთარი, იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი, თბ., 1907 წ., წ. I; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საცაიშვილოს გამოსავალის დავთარი, თბ., 1913 წ.; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლო დროისა, 1913 წ. და სხვ.

¹⁷ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი, გვ. 128, 9.

¹⁸ იქვე, გვ. 120.

რის ჩატარებაში პასუხისმგებელი იყო სადროშოს სარდალი და მდივან-მწიგნობარი, მაგრამ დავთრის შედგენა უშუალოდ მდივან-მწიგნობარს ევალებოდა, რომელსაც დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი მოხელეებიც; სარდალი კი საერთო ხელმძღვანელობას უწევდა მათ. ოსმალეთში აღწერის ჩატარებისა და დავთრის შედგენისათვის პასუხისმგებელი იყო ემინი, რომელსაც დახმარებას უწევდა ქათიბი (მწერალი). საქართველოში სადროშოების აღწერა 7 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, ოსმალეთში კი აღწერის ჩატარების ვადა არ იყო დადგენილი, მაგრამ ჩვეულებისამებრ იგი უნდა ჩატარებულიყო 30—40 წელიწადში ერთხელ, ან ახალი სულთნის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით. მაგრამ არც საქართველოსა და არც ოსმალეთში აღწერის ჩატარების ვადები არ იყო დაცული.

საქართველოში, ისევე როგორც ოსმალეთში, აღწერის ჩატარების დროს მოხელეებს სპეციალური გასამრჯელო ეძლეოდათ, რომელიც აღსაწერ მოსახლეობას უნდა გამოეღო. მას საქართველოში „აღსამწერლო“ ან „ასამწერლო“ ეწოდებოდა, რაც ფიქსირებული იყო „დასტურლამალში“.

ოსმალეთში სააღწერო კომისიას უფლება ჰქონდა აღწერის განმავლობაში ხარჯების დასაფარავად ადგილობრივი მოსახლეობისაგან აეკრიბა ერთი ანჩა თითოეულ კომლზე.

საქართველოში, ისევე როგორც ოსმალეთში, აღწერის დამთავრების და დავთრის შედგენის შემდეგ დავთარს დედაქალაქში გზავნიდნენ, სადაც მას სამეფო ბეჭედს უსვამდნენ და კანცელარიაში — დეეთერ-ხანეში ინახავდნენ. ოსმალეთში აღწერის დავთრები ორ ცალად დგებოდა; ერთს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დედაქალაქში ინახავდნენ, ხოლო მეორეს კი დაამოწმებდნენ და ადგილზე აგზავნიდნენ პროვინციის მოხელეთათვის სახელმძღვანელოდ. წყაროებიდან არ ჩანს, საქართველოში რამდენ ცალად დგებოდა სადროშოების აღწერის დავთარი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ორ ცალად უნდა ყოფილიყო შედგენილი, რადგან სადროშოების აღწერის დავთარი ქართლის სამეფოს ხელისუფალთ აინტერესებდათ გამოსაყვანი ლაშქრისა და სახელმწიფო გადასახადების საერთო რაოდენობის დასადგენად და პროვინციის (სადროშოს) მოხელეებისათვის სახელმძღვანელოდ.

ქართულ და თურქულ აღწერის დავთრებს ჰქონდათ შესავალი (წინასიტყვაობა), სადაც აღნიშნული იყო, თუ ვის უნდა ჩაეტარებინა აღწერა, რა მიზანს ისახავდა იგი და როდის ჩატარდა.

თურქულ დიდ დავთარს, როგორც წესი, დართული ჰქონდა კანუნ-ნამე (კანონთა წიგნი), რომელშიც ფიქსირებულია ოსმალური

მიწათმფლობელობის წესები და გლახთა ფეოდალური გადასახადები. საღროშოს დავთარს კი მსგავსი რამ არ ჰქონდა, ვინაიდან, როგორც ზემოთ მიუთითეთ, ეს დავთარი გამიზნული იყო მოლაშქრეთა რიცხვისა და გადასახადების საერთო ჯამის დასადგენად.

თურქულ და ქართულ აღწერით დავთრებში ფიქსირებულია სამეფო ხასები, ფეოდალთა სამფლობელოები, მათ განკარგულებაში მყოფი სოფლებისა და გლახების დასახელებით. მაგრამ ამ მონაცემებში გარკვეული განსხვავება შეიმჩნევა, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებულია ქართული და თურქული სოციალურ-ეკონომიური სისტემების თავისებურებებით.

ქართულ დავთარში ჯერ აღნიშნულია ფეოდალის სახელი და გვარი, შემდეგ ჩამოთვლილია ის სოფლები, იქ მცხოვრები გლახებითურთ (ყმებითურთ), რომლებიც ამ ფეოდალს ეკუთვნოდა. ბოლოში ნოცემული იყო ამ ფეოდალის გლახთა (ყმათა) ჯამი.

თურქულ დიდ დავთარში ჯერ მითითებულია ლენის სტატუტი (ხასი, ზემამეთი, თიმარი...) მისი ყოველწლიური შემოსავლის შესაბამისად. შემდეგ ფეოდალის სახელი და მამის სახელი (უფრო ხშირად სახელი) და ომის დროს გამოსაყვან მეთმართა რაოდენობა. შემდეგ ჩამოთვლილი იყო სოფლები და ამ სოფლებში მცხოვრები გლახები (კომლობრივად) და ის გადასახადები და გამოსაღებები, რომლებსაც იხდიდნენ გლახები ამ ფეოდალის სასარგებლოდ. ცალკე მითითებული იყო ყოველი სოფლის შემოსავლის ჯამი. ბოლოს აღნიშნული იყო სულ რამდენ სოფელს ფლობდა დასახელებული ფეოდალი და მისი ლენის ყოველწლიური შემოსავალი მთლიანად.

დავთარის შედგენის ამგვარი წესი ოსმალეთის სამხედრო-ლენური სისტემიდან გამომდინარეობდა. ოსმალეთში ფეოდალის (სიფაჰის) მფლობელობაში მყოფი მიწა (ლენი) სახელმწიფო საკუთრება იყო და იგი ფეოდალის პირობით მფლობელობაში იმყოფებოდა. ფეოდალი (სიფაჰი) მიწის ფლობის სანაცვლოდ ვალდებული იყო მისი ლენის ყოველწლიური შემოსავლის შესაბამისად ომის დროს შეიარაღებულ მეთმართა (ჯებელი) გარკვეული რაოდენობა გამოეყვანა.

ფეოდალთა მფლობელობაში მყოფი (სოფლებში მცხოვრები) გლახები (რაია) ამ ფეოდალებზე იყვნენ მიწერილნი. მათ უფლება არ ჰქონდათ ფეოდალისაგან წასულიყვნენ და ვალდებული იყვნენ თავიანთი ფეოდალის სასარგებლოდ გადაეხადათ დავთარში ფიქსირებული გადასახადები და გამოსაღებები. გლახებს არ ევალებოდათ ომში მონაწილეობა. მათ ეკრძალებოდათ ცხენზე ჯდომა და იარაღის ტარება. გლახებს ომის დროს დამხმარე სამუშაოებზე იყენებდნენ:

ლაშქრის მომარაგება სურსათ-სანოვავით, სამხედრო საქურვლით, ციხე-სიმაგრეების გამაგრება და სხვ. ომში მონაწილეობა ფეოდალთა კლასის პრეროგატივას შეადგენდა. ოსმალეთში გლეხი უფლებობ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოსმალური კანონები მტკიცე ზღვარს ღებდა გლეხსა (რაია) და ფეოდალს (სიფაჰი) შორის. რაია არ შეიძლება გამხდარიყო ფეოდალი. „რაიათის შვილი არის რაიათი“ — ჩაწერილი იყო ოსმალურ კანუნ-ნამეებში. გლეხს არ ჰქონდა უფლება მიეღო თიშარი. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სულთნის ბრძანებით, იგი შეიძლება მხედარი (ფეოდალი) გამხდარიყო და მიეღო თიშარი.

საქართველოში კი სულ სხვა ვითარება იყო. ქართველი ფეოდალის ხელთ მყოფი მიწა მის კერძო საკუთრებას შეადგენდა. ფეოდალს უშუალოდ არ ევალებოდა ომის დროს მეომრის გამოყვანა. ეს უშუალოდ მეფის ხელისუფლების კომპეტენცია იყო. ფეოდალის მამულში მცხოვრები გლეხები მისი ყმები იყვნენ. ქართულ დავთრებში გლეხების კომლობრივი აღწერისას იქვე მითითებული იყო, თუ ომის შემთხვევაში ამ კომლიდან რამდენი კაცი უნდა გაეწვიათ. ფეოდალები არ იყვნენ დაინტერესებული თავიანთი ყმების ჯარში გაწვევით და ზოგჯერ აღწერის დროს ასეთ პირებს დავთარში არ ჩააწერინებდნენ ხოლმე. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა 1774 წლის „მორიგი ჯარის გარიგების წიგნი“, რომელშიც ნათქვამია: „წლებულს რომ მთელი სამეფო აღწერეთ, იმ აღწერაში, რომელსაც ჩვენის მწერლებთათვის კაცი დაუშალავს და არ დაუწერინებია (ხაზი ჩვენია — მ. ს.), თავისმა ბატონმა და მოხელემ ამ აღდგომამდის თუ არ გამოაჩინა და მასუკან სხვისაგან ვიპოვეთ, კაცი მას წაერთმევა, ან სახასოდ დაიდება და ან სხვას კაცს მიეცემაო“¹⁹.

ამრიგად, თუ ქართველი ფეოდალი თავის ყმას გადაამალავდა და არ ჩააწერინებდა დავთარში და ამის შესახებ მეფის მოხელეები შეიტყობდნენ, მაშინ მებატონეს ეს ყმა ჩამოერთმეოდა და იგი სახაზინოდ დაიწერებოდა.

ოსმალეთში კი, როგორც ზემოთ ითქვა, გლეხები არ გაყავდათ ლაშქრობაში, ხოლო თუ ფეოდალი თავს აარიდებდა ლაშქრობაში მონაწილეობას ან არ გაიყვანდა მეომრების გარკვეულ რაოდენობას ომში, მაშინ სულთანი მას ლენს ჩამოართმევდა.

როგორც ქართულ, ისე თურქულ დავთრებში მითითებულია მო-

¹⁹ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 191; შდრ. ივ. ჯ ა ხ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, გვ. 48.

სახლეობის სოციალური მდგომარეობა: ფაშა, სანჯაყბეგი, ზაიმი, თავადი, აზნაური, მღვდელი, დეკანოსი, ხუცესი, გლეხი, ყმა, ბოგანო და სხვ. აღნიშნულია აგრეთვე მოსახლეობის ხელობა: მკედელი, დურგალი, მეწალე, ქვისმკრელი და სხვ.

ქართულ და თურქულ დავთრებში მოტანილია ცნობები აყრილი და ამოვარდნილი სოფლების შესახებ.

ქართულ და თურქულ დავთრებს შორის მსგავსება შეიმჩნევა გაფორმებაშიც. ასე მაგალითად, 1578 წ. ქუთაისის დავთრის სათაური დაწერილია წითელი მელნით. სინგურიითაა შესრულებული აგრეთვე ყოველი ასომთავრული მუხლების დასაწყისი. ტექსტი დაწერილია შავი მელნით²⁰. ასევეა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც“. იგი დაწერილია საერთოდ შავი მელნით. ხელნაწერისათვის გამოყენებულია აგრეთვე წითელი მელანიც, ჩვეულებრივ, ტექსტისაგან გასაყოფი და ხაზგასასმელი სიტყვა ან სიტყვები ნაწერია წითელი მელნით²¹. კიდევ — მაგალითად, გურჯისტანის დიდ დავთარს თავიდან ბოლომდე გაკეთებული აქვს აბრეშუმის ზონარები ან ფოჩები, რომლის დანიშნულებათა დაიცვას გვერდები ზედმეტი გადაფურცვლისაგან. „დავთარში“ სულ 20 ზონარი (ფოჩი) ყოფილა²².

მსგავსი რამ შეინიშნება აგრეთვე 1578 წ. ქუთაისის საყდრის დავთარშიც. „ყოველი სოფლის სახელს არშიაზე უზის ბაწრულის მსგავსი ნიშანი წითელისა და შავის მელნით ნახატი, რომ მნახველმა ადვილად შეამჩნიოს სად იწყება სოფლის სახელი“²³.

როგორც ვხედავთ, ქართულ და თურქულ დავთრებს შორის ბევრი რამ საერთო იყო, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთმანეთის იდენტური იყვნენ. ქართული და თურქული დავთრები ძირითადი შინაარსით თავიანთი სახელმწიფოებრივი წყობილებისა და ქვეყნის სოციალური თავისებურებების ამსახველნი იყვნენ.

²⁰ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარისა, შედგენილი 1578 წ., თფ., 1915 წ., გვ. 2,3.

²¹ დავთარი, გვ. 6.

²² იქვე

²³ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარისა, შედგენილი 1578 წ., გვ. 2.

საქართველოსათვის უმდგენილი ოსმალური ღვატები

ქართველ ხალხს თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთი დამპყრობელი შემოსევია, აქ გაბატონება უცდია და ამ მიზნით ქვეყანა აღუწერია და დავთრებში გაუტარებია, მაგრამ ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგად მათი ბატონობა ხანმოკლე ყოფილა.

ყველაზე ადრინდელი ცნობა, რომელიც მიგვანიშნებს უცხოელი დამპყრობლების მიერ საქართველოს აღწერას, ეკუთვნის ისტორიკოს ჯუანშერს: ბიზანტიელებმა, წერს ჯუანშერი, არაბთა შემოსევის დროს კავკასიისა და საქართველოს დატოვების წინ „დაფლნეს განძი იგი მათნი... და შეიტანნეს ყოვლისა საგანძურისა გუჯარნი და აღწერეს ნათესავი თესი და ქვეყანა“¹.

ამრიგად, ჯუანშერის ცნობით ბიზანტიელებმა საქართველო აღწერეს არაბების შემოსევების წინ, ე. ი. VII ს-ის 40—50-იან წლებში.

საქართველოს აღწერა ჩატარდა აგრეთვე მონღოლთა ბატონობის დროს². 1254 წელს მონღოლებმა საქართველო აღწერეს. აღწერილი იქნა როგორც მოსახლეობა, ისე მეურნეობის ყველა დარგი. დაუბეგრავი არაფერი დარჩენილა. ჟამთააღმწერელის ცნობით, „იწყეს აღწერად კაცთაგან პირუტყვამდე, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე“³.

მონღოლების მიერ საქართველოს აღწერასა და დავთრის შედგენას მოჰყვა მონღოლური საგადასახადო სისტემის შემოღება. კირაკოს განძაკელის ცნობით, მონღოლები „ყველასაგან მოითხოვდნენ უმძიმეს ხარკს, რაც აღემატებოდა ადამიანის ძალას... ყველა ხელოსანს, ქალაქსა და სოფლად, ხარკი დაადგეს. ასევე მეთევზეურებს

¹ ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243.

² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 50—65.

³ ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 235.

ზღვებსა და ტბებზე, მალარობებს, მკვდლებსა... მარილის ყველა საბადო, კობსა და სხვა კუთხეებში, წაიღეს. ვაჭრებისაგანაც მრავალი ქონება წაიღეს, დააგროვეს დიდძალი განძი ოქროსი, ვერცხლისა და პათიოსან თვალთა“⁴. ერთი სიტყვით, მონღოლთა მიერ საქართველოს აღწერისა და დავთრის შედგენის შემდეგ ქვეყნის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

ირანში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უძველესი დროიდან ადგენდნენ დავთრებს. ამ ტრადიციამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო XVI—XVIII სს. პროფ. ვ. გაბაშვილი წერს: „სპარსეთში ისევე ადგენდნენ დავთრებს, როგორც ოსმალეთში ადგენდნენ (სპარსულად არის შედგენილი, მაგალითად, უზუნ ჰასანის დროინდელი დავთარი). ოღონდ თუ თურქულმა დავთრებმა დიდი რაოდენობით მოაღწიეს (გურჯისტანის, ბალქანეთის, აღმ. ევროპის დავთრები...), XVI—XVIII სს. ამგვარივე დავთრები სპარსულად ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის“⁵.

სეფიანთა ირანში აღწერის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება სომეხ ისტორიკოსს ესაი ჰასან ჯალალიანს. მას დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, თუ როგორ მიმდინარეობდა აღწერა შაჰ ჰუსეინის (1694—1723) დროს, რომელიც სამ წელიწადს გაგრძელდა და 1702 წელს დამთავრდა⁶. ესაი ჰასან ჯალალიანი წერს: „თავისი ხელმწიფობის მეათე წელს ჰუსეინად წოდებულმა შაჰ-სულთანმა ბრძანა აეწერათ ხალხი და ქვეყანა სომხებისა და ყველა მოდგმისა, რომლებიც მის ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ, წასულიყვნენ მისი მოხელენი, ვითარცა მისი სახლის სარწმუნო პირნი, მწერალნი და მოანგარიშენი, რათა შეუცდომლად და დაუფარავად აღეწერათ ყველა ასაკის ადამიანი ხუთმეტი წლიდან მოკიდებული ზემოთ...“⁷ ხსენებული წყარო დაწვრილებით ცნობებს გვაწოდის აღწერის ობიექტებზე: „ამის შემდეგ აღწერეს აგრეთვე სავანეები, უდაბნოები და სოფლის ეკლესიები, მათთან ერთად ეპისკოპოსებიც და მღვდელ-მონაზვნებიც ყველანი სათვალავში ჩააგდეს. ამას რომ

⁴ გრ. აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961, გვ. 129.

⁵ ვ. გაბაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სემინარები. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1976, გვ. 170.

⁶ ესაი ჰასან ჯალალიანი, აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოაზხადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო კარლო კეციამ, თბ., 1971, გვ. 17.

⁷ იქვე.

მორჩნენ, შეუდგნენ ვაჭრების, მგზავრების და იმათ აღრიცხვას, ვინც რაიმე მცირე ვაჭრობას მაინც მისდევდა... აღწერეს ქვეყნის სოფლების და მამულების ყველა საზღვარი, მიწები, წყალი, ბალები, მინდვრები, ხეები, ნარგავები და ყველაფერი, რაც კი საჭიროა ადამიანისათვის. სულ ერთიანად აღწერეს ყველანი, როგორც სომხები, ისე სხვა მოდგმის ხალხი და აგრეთვე მომთაბარეები. მათი საძოვრები, ცხვრის ფარები, ცხენის რემები, ნახირი და ყველა სახის პირუტყვის ჯოგები... ყველანი ერთმანეთის მიყოლებით აღწერეს და სიები წაიღეს და წარუდგინეს ხელმწიფის სამსჯავროს⁸.

აღწერის შედეგად კი, წერს სომეხი ისტორიკოსი, მოსახლეობას გადასახადები შეაწერეს: „ხოლო იქ, აღწერილ პირებზე გადასახადები დააწესეს, რომელნიც სამმაგად აღემატებოდნენ ადრინდელ ოდენობას. ეკლესიის მსახურებს, რომლებიც წინათ სრულიად თავისუფალნი იყვნენ, ათგზის უფრო მძიმე ტვირთი დააკისრეს, ვიდრე ერისკაცებს... მიჰქონდათ ფული მათი შეძლებისდა მიხედვით, ბევრიდან ბევრი და მცირედან მცირე, რადგან დიდი სოფლიდან იღებდნენ ასორმოცდაათ, ას ან ორმოცდაათ თუმანს, ხოლო ძალიან პატარადან — არანაკლებ ოცდაათი ან ოცი თუმნისა. ესევე მოექცნენ ვაჭრებს და ყველა ხელოსანს. ასე აღრიცხავდნენ ხოლმე წლიდან წლამდე მოსახლეობას“⁹.

აღწერის შედეგები მეტად მძიმე იყო მოსახლეობისათვის. ამიტომ იგი აღწერას თავს არიდებდა, იმალებოდა და გარბოდა. შაჰის ხელისუფლებამ ეს კარგად იცოდა და წინასწარ ზომებს იღებდა: „მისი (შაჰის—მ. ს.) ბრძანებით ასეთნაირად დაემუქრნენ მოსახლეობას: „თუ ვინმე იზოვის დამალულს და ლტოლვილს და ამის შესახებ ხელმწიფეს აცნობებს, ლტოლვილის თავი ხელმწიფის იქნება, ხოლო მისი დოვლათი დარჩება იმას, ვინც დაასმენს“. სწორედ ასეც მოიქცნენ, რადგანაც დიდი გულმოდგინებით ეძებდნენ და სხვადასხვა ხერხითა და დამუქრებით არკვევდნენ დამალულთა ადგილსამყოფელს. ყოველ სოფელში სოფლის მამასახლისს, მღვდლებსა და მესტუმრეს, რომელსაც გზირს უწოდებდნენ, რომელიმე სახლში ამწყვდევდნენ ერთმანეთისაგან განცალკევებით, ხოლო შემდეგ აქმევიანებდნენ სოფელში მცხოვრებთა სახელებს და იწერდნენ. დაწერილებს ერთად უყრიდნენ თავს, ერთმანეთს უღარებდნენ და თუ მეტს ან ნაკლებს აღმოაჩენდნენ მათ ნათქვამში, დამნაშავეებს ძელზე ჰკი-

⁸ 3. ქ ა ლ ლ ი ა ნ ც ი, დასახ. ნაშრ., გვ. 18, 19.

⁹ იქვე.

დებდნენ და ჯოხით სცემდნენ, რათა ჯარიმა გადაეხადათ. ამასთან ერთად დიდძალ ქრთამს იღებდნენ“¹⁰.

სომხური წყაროდან მოტანილი ვრცელი ცნობა ირანში ჩატარებული აღწერის შესახებ საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ იქ მოიპოვება მდიდარი მასალა ქვეყნის აღწერის შესახებ, არამედ იმ თვალსაზრისითაც, თუ რაოდენ მძიმე და აუტანელი იყო ეს აღწერა ხალხის მასებისათვის. პ. ჯალაღიანის ეს ცნობები ექვს არ უნდა იწვევდეს, რადგან იგი თანადამხედურია მის მიერ აღწერილი ამბებისა.

პროფ. ვ. გაბაშვილის ცნობით, ივანე ჯავახიშვილს ხელთ ჰქონია ისეთივე სპარსული დავთარი, როგორც თურქულად დაწერილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარია“, მაგრამ, სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილის სიკვდილის შემდეგ ეს დავთარი უკვალოდ დაიკარგა¹¹. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როდის უნდა შეედგინათ სპარსელებს ასეთი დავთარი საქართველოსათვის. ვ. გაბაშვილის აზრით, „ასეთი დავთარი საქართველოში არ შეიძლება შეედგინათ ქართველი მეფის ირანის შაჰზე ვასალური დამოკიდებულების ან, მით უმეტეს, დამოკიდებული მდგომარეობის პირობებში. ხალხი და ქვეყანა აღიწერებოდა მხოლოდ დამოკიდებულების ისეთი პოლიტიკური ფორმის დროს, როდესაც ქვეყანას მეფის მაგიერ ირანის მოხელე განაგებდა, თუნდაც ეს მოხელე ბაგრატიონთა დინასტიიდან ყოფილიყო. XVI—XVIII სს. მანძილზე ასეთი ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში ორჯერ იყო: 1562—1577 წლებში (დაუთ-ხანის დროს) და 1735—1749 წლებში (ყიზილბაშობის დროს). ორჯერვე სპარსეთის მოხელეებს ხალხი და ქვეყანა უნდა აღწერათ. ასეთი აღწერის ფაქტს 1735—1749 წლებში გვიდასტურებს პაპუნა ორბელიანი, რომლის „ისტორიაში“ პირდაპირ არის ნათქვამი, თუ როგორ „დაწერეს“ ქვეყანა სპარსეთის შაჰის მუეიზებმა“¹².

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე სპარსელებმა საქართველო ორჯერ აღწერეს და დავთრები შეადგინეს.

¹⁰ პ. ჯ ა ლ ა ღ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

¹¹ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

¹² იქვე.



თუ საქართველოსათვის შედგენილი სპარსული დავთრების შესახებ ჩვენ მხოლოდ წყაროებში დაცული ცნობებიდან ვიცით, დავთრები კი არ მოგვეპოვება, სულ სხვა ვითარებაა საქართველოსათვის შედგენილი თურქული დავთრების მიმართ. ჩვენამდე მოაღწია როგორც სამხრეთ საქართველოსათვის (სამცხე-საათაბაგო), ისე ქართლის სამეფოსათვის შედგენილმა ოსმალურმა დავთრებმა. განვიხილოთ როდის და რა ვითარებაში შეიქმნა ეს დავთრები.

1595 წელს ოსმალო მოხელეებმა ახალციხის საფაშო აღწერეს და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ შეადგინეს. მაგრამ ამ „დავთარისა“ და სხვა წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ არაა პირველი დავთარი, რომელიც ოსმალებმა საქართველოს ამ მხარისათვის შეადგინეს; „გურჯისტანის დიდ დავთარს“ წინ უსწრებდა „გურჯისტანის სხვა დავთრები“, უფრო ადრე შედგენილი. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ 1595 წ. „გურჯისტანის დავთარში“ ხშირად გვხვდება გამოთქმა ძველი და ახალი დავთარი.

შეიძლება გამოეთქვათ ვარაუდი, რომ ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო სულ ცოტა ორჯერ აღწერეს: პირველად 1578 წლამდე, ხოლო მეორედ — 1578 წლის შემდეგ. სავარაუდებელია, რომ ოსმალებმა შეადგინეს „გურჯისტანის დავთარი“ 1578 წლამდე. ამას გვაფიქრებინებს 1573/4 წლის „გურჯისტანის კანუნ-ნამე“, რომელიც გამოაქვეყნა ო. ბარკანმა¹³. უთუოდ კანუნ-ნამესთან ერთად შედგა „დიდი დავთარი“, რადგან კანონთა წიგნი, როგორც წესი, წამმდგარებული ჰქონდა დიდ დავთარს და დიდი დავთრის გარეშე პროვინციის კანუნ-ნამეებს არ ადგენდნენ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივში მოიპოვება 1573/4 წელს შედგენილი გურჯისტანის ლივას აღწერის დიდი დავთარი¹⁴. ო. ბარკანს სწორედ ამ დავთრიდან აქვს ამოღებული და გამოცემული 1573/4 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამე.

1573/4 წლის გურჯისტანის კანუნ-ნამედან ირკვევა, რომ მას წინ უსწრებდა სხვა კანუნ-ნამე. იგი წარმოადგენს მასზე უფრო ადრე

¹³ Ö. L. Barkan, Kanunlar, c. I, გვ. 196, 197, 198.

¹⁴ Istanbul Başbakanlık Arşivi, № 527, 1035. ამ დავთარს გამოსაცემად ამზადებს ცისანა აბულაძე.

შედგენილი დოკუმენტის შეესება-დამატებას. ამას გვაფიქრებინებს კანუნ-ნამეს შემდეგი ადგილები: „რადგან ზემოხსენებულ ვილაიეთში ძველი და ვთარის (ხაზი ჩვენია — მ. ს.) თანახმად არათავისუფალ თიშარებზე მიწერილი ცხვის რაოდენობა გაანგარიშებული იყო მათი ახალ და ვთარში გასატარებლად, პატიოსანი ბრძანება გამოიცა“¹⁵.

ამჟამად ზუსტად ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეადგინეს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე პირველი და ვთარი, სათანადო საბუთი ჭერჭერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, იგი უნდა ყოფილიყო შედგენილი XVI საუკუნის შუა წლებში, როდესაც ოსმალებმა დაიპყრეს სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი და იქ სანჯაყები დააარსეს.

ამრიგად, ოსმალებმა სულ ცოტა სამჯერ აღწერეს სამცხე-საათაბაგო: პირველად XVI საუკუნის შუა წლებში, მეორედ — 1573/4 წელს და მესამედ — 1595 წელს. აქედან პირველი ორი აღწერის შედეგად ოსმალებმა დაფიქრებულნი გაატარეს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის დასავლეთი ოლქები (რომლებიც მათ დაპყრობილი ჰქონდათ), 1595 წლის აღწერის შედეგად კი — სამცხის როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი ოლქები. ერთი სიტყვით, „დავთარში“ ფიქსირებული არის სამცხე-საათაბაგოს თითქმის მთელი ტერიტორია.

ქვეყნის აღწერა და მისი რეესტრებში გატარება გულისხმობდა არა უბრალოდ ხალხისა და ქონების ხელახალ რეგისტრაციას, არამედ წინა აღწერის შემდეგ მომხდარი ცვლილებების შეტანას. ამიტომ დაპყრობილი ქვეყნის ახალი აღწერის შედეგად კიდევ უფრო მეტად ძლიერდებოდა აქ ოსმალური წესების შემოღება, ქვეყნის „გაოსმალება“. ამას ადასტურებს 1573/4 და 1595 წლების გურჯისტანის კანუნ-ნამეების ურთიერთშედარება.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ „გურჯისტანის ვილაიეთი“ და „ჩილდირის ვილაიეთი (ეილაეთი)“ ერთი და იგივე ადმინისტრაციული ერთეულია. ეს საკითხი საკმაოდ დამაჯერებლად გარკვეული აქვს აკად. ს. ჯიქიას. „საერთოდ კი, — წერს ს. ჯიქია, — ჩვენი „დავთარის“ მიხედვით „გურჯისტანის ვილაიეთი“ თვით „დავთარშიც“ და მთლიანად თურქულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურასა და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ, თურქულ ოფიციალურ საბუთებშიც ცნობილია „ჩილდირის“ (ჩრდილის) ვილაიეთად“¹⁶.

¹⁵ Ö. L. Barkan, Kanunlar, c. I, გვ. 196, 197.

¹⁶ დავთარი, გვ. 47.

ისმის კითხვა, რატომ უწოდებდნენ ოსმალები ერთსა და იმავე ადმინისტრაციულ ერთეულს „გურჯისტანის ვილაიეთსა“ და „ჩილდირის ვილაიეთს“. ჩვენი აზრით, ეს შემდეგნაირად უნდა აიხსნას: სახელწოდება „გურჯისტანის ვილაიეთი“ უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე „ჩილდირის ვილაიეთი“. „გურჯისტანის ვილაიეთი“ იმ დროს უნდა შემოსულიყო ხმარებაში, როდესაც ოსმალებმა პირველად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი დაიპყრეს, აღწერეს, კანუნ-ნამე შეუდგინეს და მას „გურჯისტანის ვილაიეთი“ (საქართველოს მხარე, ქვეყანა) უწოდეს. დროთა განმავლობაში, როდესაც ოსმალები საქართველოს ახალ-ახალ ტერიტორიას იპყრობდნენ, ტერმინი „გურჯისტანის ვილაიეთი“ კვლავ ხმარებაში რჩება, თუმცა ახალი სახელწოდებაც გაჩნდა. ასე მაგალითად, 1579 წელს როდესაც ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ახალი საბეგლარბეგო დააარსეს, მას ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშო უწოდეს¹⁷.

ამიერიდან „გურჯისტანის ვილაიეთის“ პარალელურად იხმარება ახალი სახელწოდება „ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთი (ეიალეთი)“.

ჩილდირის ეიალეთს ახალციხის საფაშოსაც უწოდებდნენ, რადგან მისი ადმინისტრაციული ცენტრი იყო ახალციხე.

1595 წელს, როდესაც ოსმალებმა ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთი აღწერეს და დავთარი შეადგინეს, მას აღარ შეუცვალეს სახელწოდება და ჩვეულების თანახმად, ძველი სახელწოდება, ე. ი. „გურჯისტანის ვილაიეთი“ დაუტოვეს¹⁸.

მ. კირზიოღლუ უსამართლოდ ბრალს დებს ს. ჯიქიას, რომ თითქოს, მან სახელი შეუცვალა 1595 წლის დავთარს და უწოდა მას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“; სინამდვილეში, წერს იგი, ამ დავთარს „ჩილდირის ვილაიეთის დიდი დავთარი“ უნდა ერქვას¹⁹. თურქი ისტორიკოსი არ უწევს ანგარიშს იმ ფაქტს, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დედანი გარკვევით არის დასათაურებული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“²⁰, „დავთრისათვის“ დართულ კანუნ-ნა-

¹⁷ მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 125—135.

¹⁸ იქვე, გვ. 133.

¹⁹ M. F. K i r z i o ğ l u, Osmanlıların Kafkas-ellerini fethi (1451—1590), Ankara, 1976, გვ. 295.

²⁰ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, აღმო-საკლური ხელნაწერების ფონდი, Turd. B 1.

შესაც ეწოდება „გურჯისტანის კანონთა წიგნი“ და შიგ ჩაწერილია: „ვინაიდან გურჯისტანის ვილაიეთი ქვიანი ადგილია და მიწა იქ მწი-რია“²¹...

ამრიგად, ამ დოკუმენტის ნამდვილი სახელწოდებაა „გურჯისტა-ნის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ეს სათაური აწერია ყდაზე თავ-ფურცელს და „გურჯისტანის ვილაიეთი“ ჩაწერილია კანუნ-ნამეს ტექსტშიც.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ახალი წესის მიხედ-ვითაა შედგენილი (სულეიმან კანუნის დროიდან დიდი დავთარებს შედგენის საქმეში მოხდა ცვლილებანი. დაწვრილებით იხ. თავი II). ამიტომ იგი შეიცავს მხოლოდ დასახლებული პუნქტებისა (სოფლე-ბის) და ფეოდალური მეურნეობის შემოსავლის დეტალურ აღწერას. მასში რეგისტრირებულია გლეხებზე (რაიებზე) გაწერილი გადასახა-დები, მაგრამ არაა აღნიშნული თიმარი, ზეამეთი, ხასი და მათ მფლო-ბელთა სახელები, რომელთაც ეკუთვნოდათ დავთარში გატარებული სოფლის შემოსავალი.

1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ საფუძ-ველზე შედგენილი მცირე დავთარი, მ. კირზიოღლუს ცნობით, ინა-ხება სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში²².

1595 წლის აღწერისა და „გურჯისტანის დავთარის“ შედგენის შემდეგ ოსმალებს სამცხე-საათაბაგო ხელახლა აღარ აღუწერიათ. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

„გურჯისტანის დავთარში“ გვხვდება ჩანაწერები შესრულებული XVII—XVIII საუკუნეებში, ხოლო ბოლო კი 1814 (=1230) წლითაა დათარიღებული²³.

ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება „დიდი დავთარიდან“, ე. ი. „გურჯისტანის დავთარიდან“ ამონაწერები სოფლების კლდის, შორა-ბადის, საყუნეთისა და დვირის კომლთა რაოდენობა და ამ სოფლებზე შეწერილი გადასახადები, დათარიღებული 1817 წლით²⁴.

ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ 1595 წლის „გურჯისტანის დავთარის“ შემდეგ მომდევნო საუკუნეებში ახალციხის საფაშოში ხელახალი აღწერა აღარ მომხდარა და ეს „დავთარი“ მომდევნო საუ-კუნეებშიც ოსმალთა მოხელეებისათვის სახელმძღვანელო დოკუმენ-ტად დარჩა.

²¹ დავთარი, გვ. 1.

²² M. F. Kirzioğlu, დასახ. ნაშრ, გვ. 294, 295.

²³ დავთარი, გვ. 257, 258, 466.

²⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Turd. № 64.



სულთნის ხელისუფლებამ ორჯერ სცადა ქართლის სამეფოს დაპყრობა და აქ თავისი ძალაუფლების დამყარება. პირველად 1578—1606 წწ. და მეორედ — 1723—1732 წწ., რასაც მოჰყვა ქვეყნის აღწერა და დავთრების შედგენა.

1578 წელს ლალა მუსტაფა ფაშას ქართლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა აქ სამეფო ხელისუფლება გააუქმეს, ქართლის (თბილისის) საბეგლარბეგო დააარსეს და მის გამგებლად (ბეგლარბეგად) ოსმალთა მოხელე დანიშნეს, ხოლო გორში კი სანჯაყი დააარსეს.

ამრიგად, ოსმალებმა ქართლში თავიანთი წესების დანერგვა დაიწყეს და ქართლის აღწერას შეუდგნენ. მაგრამ ქართველმა ხალხმა, სიმონ მეფის მეთაურობით, დამპყრობლების წინააღმდეგ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა და მტერს ქვეყნის გაოსმალებაზე ხელი ააღებინა. ჩანს, ამ დროს ოსმალებმა ვერ შესძლეს ქართლის მთლიანი აღწერა და თბილისის დავთრის შედგენა²⁵.

თურქმა ისტორიკოსმა მ. ფ. კირზიოღლუმ, რომლის აზრით, ამ პერიოდში ოსმალებმა ქართლი აღწერეს და თბილისის დავთარი შეადგინეს, ვერ მოიძია ეს დავთარი ოსმალების არქივებში²⁶. სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში აღმოჩნდა მხოლოდ ლორეს დავთარი, შედგენილი მურად III დროს 1595 წელზე უფრო ადრე²⁷.

ცნობილია, რომ დმანისსა და ლორეში უფრო მკვეთრად ჰქონდათ ოსმალებს ფეხი მოკიდებული, ვიდრე შიდა და ზემო ქართლში. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენს სიძველეთსაცავებში ამ ხანის ქართლის შესახებ ოსმალური ოფიციალური დოკუმენტები არ იძებნება. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ფისკალური მიზნით ქართლის მთლიანი აღწერა ვერ მოხერხდა, რომ სიმონ მეფის არზის შედგენის დროს „სრულიად ქართლის“ დავთარი, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, არ არსებობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სულთნისადმი უზენაეს სამეფო კარზე გაგზავნილ წერილში დასახელებული იქნებოდა ოსმალური სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები: ვილაიეთი, სანჯაყი, ლივა, ნაჰიე²⁸.

²⁵ ჩვენ ადრე ვფიქრობდით, რომ ამ დროს ოსმალებმა ქართლი აღწერეს და თბილისის დავთარი შეადგინეს. იხ. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 114.

²⁶ M. F. Kırzioğlu, დ.სახ. ნ.ზრ., გვ 295.

²⁷ იქვე, გვ. 392.

²⁸ ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ს, გვ. 6 (იხეველბა).

ამ პერიოდში ოსმალებმა სომხეთი და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებიც დაიპყრეს, ისინი აღწერეს და საბეგლარბეგოები დააარსეს. ამას ადასტურებენ ამ ქვეყნებისათვის შედგენილი დავთრები: 1591 (999) წლის ერევნის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1593 (1001) წლის განჯა-ყარაბაღის ვილაიეთის დიდი დავთარი და 1595 (1004) წლის ამავე ვილაიეთის იჯმალ დავთარი²⁹.

1606 წელს ოსმალები განდევნილ იქნენ ქართლის ციხე-ქალაქებიდან და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებიდან.

1723 წელს ოსმალეთის ლაშქარმა კვლავ დაიპყრო თბილისი და ქართლის ციხე-ქალაქები. სულთნის მთავრობა ქვეყანაში ოსმალური წესების შემოღებას შეუდგა. მართალია, ამჯერად ოსმალებმა ერთბაშად ვერ გაბედეს ქართლში სამეფო ხელისუფლების გაუქმება, მაგრამ ფაქტიურად მთელი ძალაუფლება მათ ხელთ იყო. სულთანმა იმ ქართველ ფეოდალებს, რომლებიც ოსმალთა სამსახურში ჩადგნენ, თავიანთი მამულები დაუმტკიცა ხასებად (იურთლუკი და ოჯაკლიკა), ზეამეთებად და თიმარებად.

1727 წელს ქართლის მეფე იესე გარდაიცვალა. ოსმალებმა მემკვიდრე არ დანიშნეს და ფაქტიურად ამით გააუქმეს მეფობა ქართლში. ქართლის (თბილისის) გამგებლად (ვალი) დანიშნეს ისპაკ ფაშა (ჯაყელთა, ათაბაგთა გამაჰმადიანებული შთამომავალი), რომელიც ერთდროულად ახალციხის საფაშოსაც განაგებდა.

1727 წელს ოსმალებმა ქართლი აღწერეს და დიდი დავთარი შეადგინეს³⁰. დაახლოებით ამავე ხანაში ოსმალებმა აღწერეს სომხეთისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებიც³¹. ეს კი იმის დამადასტურებელი იყო, რომ დამპყრობლები აქ დამკვიდრებას ლამობდნენ. მაგრამ როგორც XVI—XVII სს-ში, მათი ეს ცდაც მარცხით დამთავრდა.

²⁹ M. F. Kirzioğlu, დასახ. ნაშრ., გვ. 391, 392.

³⁰ Istanbul Başbakanlık Arşivi № 897/418.

³¹ Lewis B., Register of Iran and Adharbâyjân in Ottoman Dafter-i khâk-gâhî... p. 3, 4.

ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი

I. ქაბლის სათაური

სამეცნიერო ლიტერატურაში „დავთარ ჯაბასთან“ დაკავშირებით ზხედასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. „დავთარ ჯაბას“ შესახებ ჩვენამდე მოღწეული ყველაზე აღრინდელი ცნობა თარიღდება 1832 წლის 15 აპრილით. ესაა ამიერკავკასიის მთავარმართებლის კანცელარიიდან ახალციხის მმართველის სახელზე გაგზავნილი წერილი: «Канцелярия сия имеет честь препроводить при сем книгу называемую Джаба»¹. ამავე წლის სექტემბერში ეს „დავთარი ჯაბა“ ახალციხეში ჩაუტანიათ და იქ ახალციხის გამგებლის კანცელარიაში სათანადო წესით აღურიცხავთ და შეუხანავთ². ამის დამადასტურებელია „დავთარ ჯაბაზე“ გაკეთებული საალრიცხო ხასიათის მინაწერები. ამის გამო პროფ. ს. ჯიქია შენიშნავს: „ხელნაწერის პირველ გვერდზე, რომელიც რუსი მოხელისათვის უკანასკნელ გვერდს წარმოადგენდა, შემდეგი მინაწერია: «В сей книге (называемый по-турецки Джаба) перенумерованных и скрепленных двести сорок пять листов. Председатель Ахалцихского Правления Подполковник Огарев³. Секретарь Халютин»⁴.

თურქულად ამ დავთარს, როგორც ამას რუსი მოხელე წერს, „ჯაბა“ არ რქმევიან. ს. ჯიქიამ გაარკვია, რომ „დავთარ ჯაბას“ თავფურცელზე თურქულად ეწერა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარ-

¹ საქართველოს სახ. ცენტრალური ისტორიული არქივი, აღ. 1, ფ. 3083, ფურც. 18.

² იქვე.

³ პოდპოლკოვნიკი ოგარიოვი ახალციხის მხარის მმართველი იყო 1831—1832 წწ.

⁴ დავთარი, გვ. 12.

რი“ და დაასაბუთა, რომ რუსი მოხელის მიერ დარქმეული „დავთარი ჯაბა“ და „გურჯისტანის დავთარი“ ერთი და იგივე დოკუმენტია⁵.

რუსი მოხელეების მიერ შერქმეული „დავთარი ჯაბა“ ანუ „გურჯისტანის დავთარი“ თავდაპირველად ახალციხის საფაშოს დავთარ-ხანეში ინახებოდა. 1828 წ., ახალციხის ოსმალთაგან განთავისუფლების შემდეგ, რუსეთის ჯარებმა ხელთ იგდეს ახალციხის ფაშების მდიდარი ბიბლიოთეკა, აღმოსავლური ხელნაწერების შემცველი. საფიქრებელია, რომ მათ შორის იყო ე. წ. „ჯაბა დავთარი“. ეს ბიბლიოთეკა რუსეთის ხელისუფლებამ ახალციხიდან პეტერბურგში გაგზავნა⁶.

ახალციხის მხარის განთავისუფლების შემდეგ რუსეთის ადმინისტრაციის წინაშე მთელი რიგი საკითხები წამოიჭრა: როგორი იყო აქ ძველად მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები, გადასახადები და საგადასახადო სისტემა, რა საფუძველზე ფლობდნენ ადგილობრივი ბეგები (ფეოდალები) მიწებს და სხვ. ამავე დროს გამოიჩევა, რომ ახალციხის მხარეში რუსეთის ადმინისტრაციის მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვის საქმეში დაშვებულ იქნა უხეში დარღვევები⁷.

შექმნილ ვითარებაში ადგილობრივ რუსულ მმართველობას ამ საქმეების მოსაწესრიგებლად ესაჭიროებოდა თურქული დოკუმენტი, ე. ი. „დავთარი“, რომელშიც აღნუსხული იქნებოდა ბეგების მიწები და გლეხებზე გაწერილი გადასახადები. რუსეთის მთავრობამ ასეთად მიიჩნია ე. წ. „დავთარი ჯაბა“ და, როგორც ზემოთ მივუთითეთ, იგი ახალციხის სამმართველოს გაუგზავნა. შესაძლებელია, ეს იღუპა მთავრობას ადგილობრივმა ბეგებმა მიაწოდეს, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ მათი უფლება მიწაზე ფიქსირებული იყო თურქულ „დავთარ ჯაბაში“ და ამ დოკუმენტის საშუალებით გადაიჭრებოდა ყველა სადავო საკითხი.

⁵ დავთარი, წ. I, გვ. 72, 36—38.

⁶ 1828 წ. 20 დეკემბერს ნიკოლოზ I გენერალ პასკევიჩს წერდა: «Получив сведения, что в покоренной оружием нашем кр. Ахалцихе найдено при тамошней главной мечети любопытное собрание книг и рукописей на разных восточных языках повелеваю вам, оставляя Коран, толкования оных и вообще же из рукописей и книг, кои относятся к мухамедскому вероучению и богослужению, отобрать все прочия и в особенности замечательнейшия по историческому, литературному или иному ученому достоинству и в скорейшем по возможности времени прислать в С.-П. б. г., Акты..., т. VII, Тф., 1878 г., с. 773, 774.

⁷ დაწვრილებით იხ. შ. ლ. ო. მ. ს. ა. ძ. ე. მესხეთ-ჭავჭავეთი (XVIII ს-ის შუაწლებიდან XIX ს-ის შუაწლებამდე), თბ., 1975, გვ. 422—446.

„ჯაბა დავთარი“, ე. ი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ დიდი ხნის განმავლობაში ახალციხის მხარეში ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო. ამას ადასტურებს არქივებში დაცული მასალები.

რუსმა მოხელეებმა „ჯაბა დავთარის“ შედგენის თარიღად შეცდომით 1587 წელი ამოიკითხეს, რადგან მისი თავფურცელი, სადაც თარიღია დასმული, დაზიანებულია და ცუდად იკითხება. მათ არც იმისთვის მიუქცევიათ ყურადღება, რომ „დავთარისათვის“ წამძღვარებულ კანუნ-ნამეს უზის თარიღი 1595 წელი. მაშასადამე, „დავთარიც“ მისი თანადროული უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, მას დასმული აქვს მეჰნედ (მაჰმუდ) III-ის ბეჰედი, ხოლო მეჰმედ III მეფობდა 1595—1603 წლებში. ყოველივე ამის გამო, „დავთარი ჯაბა“ არ შეიძლება ყოფილიყო შედგენილი 1587 წელს. აკად. ს. ჩიქიაშავსის თანახმად დაასაბუთა, რომ „გურჯისტანის დავთარი“ ანუ „ჯაბა დავთარი“ ოსმალთა მოხელეებმა 1595 წელს შეადგინეს.

XIX ს-ის 60-იან წლებში მთავრობის დავალებით „ჯაბა დავთარი“, როგორც დიდი მნიშვნელობის თურქული დოკუმენტი, სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატისათვის რუსულად უთარგმნიათ. ამასთან დაკავშირებით ხლებნიკოვი 1886 წ. წერდა: «Сведения эти взяты мною из русского перевода Джабы, сделанного по распоряжению правительства Г. Ахундовым. Судя по переводу (не совсем точному) это очень интересный памятник»⁸.

ა. ავალიანისა და შ. ლომსაძის გამოკვლევით, ამ დავთარის რუსული თარგმანი, რომელიც დღეისათვის დაკარგულად ითვლება, შესრულებულია გამოჩენილი აზერბაიჯანელი მოაზროვნისა და მწერლის მირზა ფათალი ახუნდოვის მიერ, რომელიც მაშინ მეფისნაცვლის კანცელარიაში მუშაობდა აღმოსავლური ენების თარგმნადად.

პროფ. გ. ტივაძემ რუსეთის მეფის მოხელის ვალიამოვსკის მიერ 1839 წელს შედგენილ მოხსენებით ბარათზე დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება, რომ „1. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს წინ უძღოდა დავთარი ჯაბა, შედგენილი 1587 წელს და 2. სამცხე-საათაბაგოს ოსმალური წესწყობილებისათვის, ყოველ შემთხვევაში — ოსმალური ეკონომიური პოლიტიკისათვის დაქვემდებარების თარიღად

⁸ Юридическое обозрение, Тф., 1886, № 291, с. 187.

⁹ ა. ავალიანი, ფ. ახუნდოვის ერთი ღვაწლის გამო, „მნათობი“, 1962 წ. № 10, გვ. 121; შ. ლომსაძე, ახალციხის მხარის ისტორიიდან, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან XIX ს.-ში“, თბ., 1973, გვ. 67.

ალიარებულ უნდა იქნას 1587 წელი¹⁰. გ. ტივაძის ეს მოსაზრება საეკვოდ მიგვაჩნია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ჯაბა დავთარი“ და „გურჯისტანის დავთარი“ ერთი და იგივე დოკუმენტია და იგი შედგენილია არა 1587, არამედ 1595 წელს.

შ. ლომსაძემ ლენინგრადის არქივში მიაკვლია „დავთარ ჯაბადან“ რუსულად თარგმნილ ორი ფურცლისაგან შემდგარ ფრაგმენტს. იგი ეხება ახალციხის ლივას ჩილდირის რაიონში მდებარე სოფ. საქელეს. შ. ლომსაძემ ეს ნაწყვეტი შეადარა „გურჯისტანის დავთარის“ სათანადო ადგილს და მისი ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „დავთარ ჯაბას“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს დიდი დავთარისაგან დამოუკიდებლად არსებულ სხვა დავთართან, რომლისგანაც უნდა მომდინარეობდეს თვით გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც¹¹.

ამასთან, შ. ლომსაძე „ჯაბა დავთარსა“ და „გურჯისტანის დავთარსა“ შორის ხედავს კომპოზიციურ განსხვავებას და ამის დასასაბუთებლად მას მოაქვს შემდეგი ნაწყვეტი „ჯაბადან“: Она (ჯაბა) писана в 1587 г. и утверждена именем Султана Махмуда. В ней изложены некоторые узаконения и помещены два регистра: в 1-м показаны только названия имений и сумма ахчей, во 2-ом объяснена с каких именно предметов ахчи взыскивать должно¹².

ჩვენი აზრით, მოტანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ „დავთარი ჯაბა“ და „გურჯისტანის დავთარი“ ერთი და იგივე დოკუმენტია და რომ მათ შორის არავითარი კომპოზიციური განსხვავება არ არსებობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსმა მოხელეებმა „ჯაბა დავთარი“, ე. ი. „გურჯისტანის დავთარი“ შეცდომით 1587 წლით დაათარიღეს. სინამდვილეში იგი შედგენილია 1595 წელს. „ჯაბა“ 1587 წელს ვერ იქნებოდა დაწერილი თუნდაც იმიტომ, რომ სულთანმა მაჰმუდ III შეფობდა 1595 — 1603 წლებში, რომლის თულრა აქვს დასმული დავთარს.

„დავთარი ჯაბა“ რომ „გურჯისტანის დავთარია“, ამას აგრეთვე ისიც ადასტურებს, რომ მასში «изложены некоторые узаконения». ეს «узаконения» კი სხვა არაფერია, ჩვენი აზრით, თუ არა «გურჯის-

¹⁰ გ. ტ ი ვ ა ძ ე, ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი, თბ., 1946, გვ. 151.

¹¹ შ. ლ ო მ ს ა ძ ე, ახალციხის მხარის ისტორიიდან, „საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან,“ (XIX ს.), თბ., 1973, გვ. 71.

¹² იქვე.

ტანის დავთარისადმი“ წამძღვარებული „კანუნ-ნამე“¹³, ხოლო მცირე დავთარს კი კანუნ-ნამეს არ ურთავდნენ. შ. ლომსაძე ფიქრობს, რომ ე. წ. „დავთარი ჯაბა“ — მცირე ან იჭმალ დავთარია. ამ ორ დავთარს შორის განსხვავებას შ. ლომსაძე იმაში ხედავს, რომ „დავთარ ჯაბას“ არ გააჩნია დიდი დავთრის პირველი რეგისტრის მეორე პუნქტი: დაბეგრილი მოსახლეობის აღწერა კომპლების მიხედვით, ანუ ვინაა დაბეგრილი¹⁴.

„ჯაბას“ მთარგმნელმა შეგნებულად არ თარგმნა მოსახლეობის კომპობრივი აღწერა, რადგან რუს მოხელეებს ეს დავთარი აინტერესებდათ არა მეცნიერული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისით, მათთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა გაეგოთ, 1595 წელს ვინ იყო დაბეგრილი — პეტრე თუ პავლე. მათთვის მთავარი იყო სკოდნოდათ, თუ რამდენი იყო ამა თუ იმ სოფლის შემოსავლის ჯამი, რა გადასახადებით იყო დაბეგრილი ესა თუ ის სოფელი და ამ მონაცემების საფუძველზე გაეკეთებინათ გარკვეული პრაქტიკული დასკვნები. ცნობილია, მაგალითად, რომ ოსმალური საგადასახადო სისტემა არსებითად შეუცვლელი დარჩა დიდი ხნის განმავლობაში ახალციხის მხარის განთავისუფლების შემდეგაც; აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, რუსმა მოხელეებმა შეგნებულად არ თარგმნეს „დავთარის“ პირველი რეგისტრის მეორე პუნქტი — დაბეგრილი მოსახლეობის კომპობრივი აღწერილობა.

შ. ლომსაძის მიერ „დავთარ ჯაბადან“ მოტანილი ნაწყვეტი იმის დამადასტურებელია, რომ იგი „გურჯისტანის დავთრიდანაა“ თარგმნილი და თუ მათ შორის რაიმე განსხვავება შეიმჩნევა, ეს მხოლოდ მთარგმნელის თუ გადამწერის დაუდევრობით აიხსნება. „ჯაბადან“ მოტანილი ფრაგმენტი მცირე ანუ იჭმალ დავთარი რომ ყოფილიყო, როგორც ამას შ. ლომსაძე ვარაუდობს, მაშინ იქ აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითებული ვინ ფლობდა (ფეოდალის სახელი) ამ სოფელს, რამდენი იყო მისი ყოველწლიური შემოსავალი და სხვ.

დავთარ „ჯაბას“ შესახებ ცნობებს გვაწვდის რუსი მკვლევარი ვ. ხლებნიკოვი. იგი წერს: „გადასახადების სამართლიანად განაწილებისა და კონტროლის მიზნით ტარდებოდა ყველა სოფლის აღწერა, რომელშიც აღნიშნული იყო მათი ქონება, სახნავები, მოსახლეობის ბალები, საქონელი და ახჩების ის რაოდენობა, რომელიც ყველას უნდა გადაეხადა ხაზინისათვის.

¹³ შ. ლ. ლ. მ. ს. ა. ძ. ე., ახალციხის მხარის ისტორიიდან. გვ. 71.

¹⁴ იქვე ე.

ზემო ქართლის მხარისათვის ჯერ კიდევ 1578 წელს თურქების მიერ მისი დაპყრობისას, შეადგინეს ამგვარი აღწერა განსაკუთრებულ წიგნად, რომელსაც „ჯაბას“ უწოდებდნენ. მასში ყოველი სოფელი დაბეგრულია გარკვეული ოდენობის ახჩებით, რომელიც ყოველწლიურად უნდა შეეტანათ ხაზინაში. ასე მაგალითად, ქალაქი ახალციხე იხდიდა 12 ათასს, სოფელი ხურო 6 ათასს და ა. შ.¹⁵.

ამ ცნობაზე დაყრდნობით ა. ავალიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შესავალში აღნიშნული „ძველი დავთარი“ არის „ჯაბა“, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ოსმალური საქართველოს პირველ დავთარს და „ჯაბას“ შედგენის თარიღად 1578 წელი უნდა მივიჩნიოთ¹⁶.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ა. ავალიანის ამ შეხედულებას. დავთარი „ჯაბა“ არ არის ოსმალური საქართველოს პირველი დავთარი. ოსმალებმა პირველი დავთარი საქართველოში დაპყრობილი ადგილებისათვის გაცილებით ადრე შეადგინეს. ვ. ხლებნიკოვის მიერ ნახსენები დავთარი „ჯაბა“ სხვა არაფერია, თუ არა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და მათ შორის არსებული სხვაობანი, ჩვენი აზრით, მთარგმნელის, გადამწერის თუ კორექტურის ბრალია. ასე მაგალითად, ვ. ხლებნიკოვის წერილში დავთარ „ჯაბას“ შედგენის თარიღად 1578 წელია მითითებული. ფიქრობთ, აქ კორექტურული შეცდომაა. შდრ. 1578 წ. და 1587 წ. 78-ის ნაცვლად უნდა იყოს 87 — შეიღისა და რვის გადანაცვლება მოხდა.

შეუძლებელია, რომ 1578 წელს ოსმალებს სამცხე-საათაბაგო აღეწერათ, რადგან ამ წელს ოსმალო სარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ ამიერკავკასიის ქვეყნებში ილაშქრა და ამ ქვეყნების დიდი ნაწილი და მათ შორის სამცხე-საათაბაგო დაიპყრო. მხოლოდ ახალციხის საფაშოს დაარსების შემდეგ (ე. ი. 1579 წელს) უნდა მომხდარიყო დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი რეესტრებში გატარება.

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი „დავთარი ჯაბა“ არის იგივე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ამ დოკუმენტს „ჯაბა“ უწოდეს რუსმა მოხელეებმა ამიერკავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში რალაც გაუგებრობის შედეგად და შემდგომ გავრცელდა ეს სახელწოდება. სინამდვილეში არსებობდა ხსენებული

¹⁵ В. Х л е б н и к о в, О тапном праве мусульманских провинций Закавказского края. жур. «Юридическое обозрение», № 291, 1886, с. 187.

¹⁶ ა. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, თბ., 1960, გვ. 12—15.

დავთრისაგან განსხვავებული „დავთარი ჯაბა“, რომელიც დღემდე უცნობი იყო. იგი აღმოჩნდა სოფიაში კირილესა და მეთოდეს სახ. ბიბლიოთეკაში, რომელიც წინამდებარე შრომით ჩვენს მიერ პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

2. ქაჯლის შედგენილობა

„ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი“ აკინძულია ყარსისა და ტრაპიზონის ვილაიეთების ასეთსავე დავთრებთან ერთად. სამივე რეესტრი შეადგენს 243 გვერდს. 1-დან 25-მდე ტრაპიზონის ვილაიეთის დავთარია, 25-დან 153-მდე კი ყარსისა. ჩილდირის დავთარი იწყება 155-ე გვერდიდან და გრძელდება ბოლომდე. როგორც ყველა დავთარში, ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარშიც მასალა განლაგებულია ვერტიკალურად. ამიტომ დავთარი გრძელი და ვიწრო ფორმისაა, შეიცავს 178 გვერდს. სტრიქონთა რაოდენობა ერთნაირია, საშუალოდ 25. პაგინირებულია კუსტოსებით. ხელია სიმაკათი, მელანი — შავი.

სათაური — **ساجد اسياك** sic! **جبا** წერია თავისუფალ რექტოზე, რომელიც უშუალოდ მოსდევს ყარსის დავთრის ტექსტს. სათაური გვიანდელი მინაწერია. იგი შესრულებულია ტექსტისაგან განსხვავებული ხელითა და მელნით. გარკვეული მოსაზრებით დავთარს გამოცემაშიც მინაწერისეული დასათაურება შერჩა. საკუთრივ ტექსტიც რამდენიმე პირის გადაწერილი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ერთი და იგივე ტოპონიმის, თარიღებისა და სიტყვა **مزر**-ის იშვიათად, მაგრამ მაინც, სხვადასხვაგვარი დაწერილობა. აქვე დავსძენთ, დავთრის არქეოგრაფიული აღწერილობა ზუსტი ვერ იქნება — ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტის მხოლოდ ფოტოპირი, ისიც არაპროფესიონალის მიერ გადაღებული.

„ჯაბა დავთარში“ ფიქსირებულია ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთის ფეოდალური საკარგავები — ხასები, ზეამეთები, თიმარები — მათი ყოველწლიური შემოსავლის ჩვენებით. მთელი მასალა დალაგებულია არა გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით, არამედ ქრონოლოგიურად 1106 (=1694) წლიდან 1143 (=1732) წლის ჩათვლით. ამიტომ მონაცემები ერთი ლივისა და ნაჰიფეს შესახებ გაბნეულია მთელს დავთარში.

კომპოზიციურად დავთარი მარტივია. მოცემულია ლივისა და ნაჰიფეს სახელი, განსაზღვრულია ლენის სახეობა — ხასი, ზეამეთი, თიმარი — ეს უკანასკნელი შემოსავლის ოდენობით დგინდება. ფიქსი-

რებულია მფლობელის სახელი, იშვიათად მამის სახელიც. დასახელებულია სოფელი და შემოსავლის ჯამი. იქვე, გვერდით აღნიშნულია ლენის გაცემის თარიღი, თუმცაღა ამის აუცილებლობა არც იყო, რადგანაც ქვეთავეების მაგივრობას ეწევა თარიღები, რომლებიც საკმაოდ მოზრდილი რიცხვნიშნებით არის გამოხატული.

„დავთარში“ გვხვდება ისეთი თიშარებიც, რომლებიც რამდენიმე პირის ერთობლივ მფლობელობაში იმყოფება. ასეთ შემთხვევაში ჩამოთვლილია თიშარიოტთა სახელები და ბოლოს აღნიშნულია, რომ თიშარი მათ ეძლევათ ერთობლივ მფლობელობაში **بروجه اشتراك**:

ზოგიერთ სტატიას მიწერილი აქვს ასო მიმი (მ). ჯერჯერობით ვერ დაგვიდგენია, მიმი აღნიშნავს სიტყვას **ملا** 'ლულამი', **مجر** 'უცოლო', **محلو** 'დაცილილი', 'უპატრონოდ მიტოვებული', 'თავისუფალი', 'ჩვენ უფრო ეს უკანასკნელი გვეგონია) თუ **موجود** 'ლაშქრობებში მონაწილეობის მიმღები'¹⁷.

„დავთარში“ ფიქსირებულია 1105—1143(=1694—1732) წლები მონაცემები 38 წლის სიგრძეზე. არ არის წარმოდგენილი 1110 და 1112 წლების მონაცემები. ამ წლების ქვეშ დიაგონალურ ხაზზე დიდი ასობით წერია სიტყვა **ياض** 'თეთრი'.

საფინანსო დოკუმენტებში, გვერდის თავისუფალი ნაწილი რომ დაეზღვიათ არაკომპეტენტურ პირთა ხელყოფისაგან, როგორც წესი, იწერებოდა სიტყვა **ياض**¹⁸ (ე. ი. **ياض** სიტყვა ასრულებდა იმ ფუნქციას, რასაც თანამედროვე საფინანსო დოკუმენტებში—ნიშანი Z).

„დავთარში“ რამდენსამე აღგილას არის 1144 წლით (1732/33 წწ.) დათარიღებული მინაწერი, შესრულებული ერთი ხელით — **yeni divani**-თ, რომლებიც შეიცავენ ცნობებს შესაბამისს საკარგავზე ბარათების განახლებისა, თუ სხვა პირზე გადაცემის შესახებ.

ტერიტორიულად „ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი“ მოიცავს არტანუჯის, ახალციხის, ახალქალაქის, აჭარის, დიდი არტანის, მამირვანის, ოლთისის, ლივანას, ფანაკის, ფოცხოვის, ფერთეპერეჰის, ჩილდირის, შავშეთისა და ხერთვისის რაიონებს.

¹⁷ შტრ. В. П. М у т а ф ч и е в а, Проверочные списки (Йоклама дефтер-лери) 1014—1016 гг. х. как источник по общественно-экономической истории Османской империи XVII в.: Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы, Москва, 1969, гл. 212—218.

¹⁸ L. F e k e t e, Die Siyaqat-Schrift, I Bd., Budapest, 1955, гл. 110.

იქვე შეცდომით ფიქსირებულია სომხეთისა და ალაშკერტის ხანები, აგრეთვე გორის სანჯაყში მდებარე 2 თიბარი და 4 ზეამეთის, სამფლობელოები, რომლებიც ადმინისტრაციულად ახალციხის საფაშოს არასოდეს დაქვემდებარებიან. უფრო რთულად დგას საკითხი მცირე არტაანის მიმართ. ოსმალური წყაროების დიდი ნაწილის თანახმად, მცირე არტაანი — ისტორიული კოლა, ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ (1551 წ.) ადმინისტრაციულად ყარსის ვილაეთს დაუქვემდებარდა. ქათიბ ჩელების (ხაჯი ხალიფა) „ჯიჰან-ნუმაში“ კი მცირე არტაანი შესულია როგორც ყარსის, ასევე ჩილდირის ვილაეთში, შდრ. А. А. Папаян, Джиха-нума» и «Фезлеке» Кятиба Челеби как источник по истории Армении XVII в. Ереван. 1973 წ. გვ. 75 და 77. მსგავსადვეა Ф 261,17 ძეგლშიც. „ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარში“ რეგისტრირებულია მცირე არტაანში მდებარე 42 დირლიქი. აქვე აკინძულ ყარსის ვილაეთის დავთარშიც შესულია მცირე არტაანის ლივის, ნომინალურად გაცილებით მეტი, სოფლები. შეიძლება დაგვეშვა, რომ მცირე არტაანის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ექვემდებარებოდა ყარსის ვილაეთს, ნაწილი კი ჩილდირისას. მაგრამ ჩილდირისა და ყარსის დავთრებში რეგისტრირებულია მცირე არტაანის ერთი და იგივე ნაპიჯები — ხოჯევანი, ჩრდილი, მზვარე — ხშირად ერთი და იგივე სოფლებით, უფრო მეტიც, რამდენიმე ერთი და იგივე ლენი (ერთია თიბარიოტი, თიბარის ვაცემის წელი) არის შეტანილი, როგორც ჩილდირის, ისე ყარსის დავთარში. რომ ქათიბ ჩელების ცნობა არა, ყველაფერი ეს კანცელარიის მოხელის შეცდომად უნდა ჩაგვეთვალა.

ჩვენი „ჯაბა დავთარის“ ტექსტის შემცველი დოკუმენტი Ф 261,17 აღწერილია ბულგარელი სპეციალისტების მიერ შედგენილ კატალოგში¹⁹. აღწერილობა პირველადია და ხშირად წყაროს შედგენილობა ნაჩვენები არაა. აქაც (№ 358) ნახსენებია მხოლოდ ტრაპიზონის ეპალეთის დავთარი, რიგით პირველი რეესტრი — ყარსისა და ჩილდირის ეპალეთის დავთრებზე კი არაფერია ნათქვამი, თუმცა აღწერილობა მთელს დოკუმენტს გულისხმობს (ფურცელთა რაოდენობა). დავთარი მიჩნეულია ტრაპიზონის ეპალეთში მდებარე თიბარებისა და ზეამეთების მფლობელთა თეზქერეების რეესტრის ფრაგმენტებად²⁰. ამასთანავე, ამავე კატალოგში, ზუსტად ასეთივე დავთარი ფაშას (ბულგარეთის ტერიტორიაზე) სანჯაყისა — ОАК 128/1

¹⁹ Опис на Тимарски регистри, София, 1970.

²⁰ იქვე, გვ. 64.

იოკლამა დავთრად არის ჩაწერილი²¹. მაგრამ იოკლამა დავთარი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, საკონტროლო, შემმოწმებელი დავთარია. იგი შეიძლება დგებოდეს ერთი და ორი წლის მანძილზე²² და არა 38 წლის განმავლობაში. ასე რომ კატალოგში წყაროს რაობა მტკიცედ განსაზღვრული არ არის.

მავან პირს ჩილდირის დავთარი „ჯაბად“ დაუსათაურებია. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არცერთი დღემდე გამოცემული დავთარი ოფიციალურად არ იწოდება „ჯაბად“. მხოლოდ, როგორც ზემოთ მიუთითეთ, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ბოლო გვერდზე არის მინაწერი რუსი მოხელისა „ჯაბა“. ამავ დროს არც საკუთრივ დავთარში, არც კანუნ-ნამეში ტერმინი ჯაბა არ გვხვდება დავთრის მნიშვნელობით. ს. ჩიქიამ დაადგინა, რომ რუსი მოხელის მიერ დარქმეული „დავთარი ჯაბა“ და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ერთი და იგივე დოკუმენტია²³.

სიტყვა *ჯა* არაბული წარმომავლობისაა — ‘გადასახადი’, ‘გადასახადის შეგროვება’; ოსმალურსა და სპარსულში მეტწილად იხმარება ფორმა *جابا* ‘შემოსავალი’, ‘გადასახადი’ და *جای* ‘გადასახადის ამკრები’. მინაწერისეულის *جا* დაწერილობა მცდარი ჩანს.

1872 წელს ლ. ზაგურსკიმ იმოგზაურა ახალციხის მხარეში და 1873 წელს ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გამოაქვეყნა, სადაც წერდა: *Джаба* книга, представляющая описание имений с обозначением против каждого сколько оно включает в себе ахчей²⁴. ცოტა უფრო გვიან ს. ზელინსკი თავის ლექსიკონში ჯაბას ასე განმარტავდა «Джаба — книга, в которой турецкое правительство записывало казенную часть доходов каждой деревни²⁵».

მართლაც, ჩვენს დავთარში ფიქსირებულია სოფლების შემოსავალი, რომელიც გარკვეული სამხედრო სამსახურის სანუქფოდ ეძლეოდა თიმარიოტებს. „ჯაბა დავთარი“, ფეოდალთა საშემოსავლო დავთარი უნდა ყოფილიყო, სწორედ ასეთია სიტყვა „ჯაბას“ სალექსიკონო

²¹ Опис на Тимарски регистри, გვ. 48—49.

²² შდრ. В. П. М у т а ф ч и е в а, დასახ. ნაშრომი., გვ. 218.

²³ ს. ჩ ი ქ ი ა, დავთარი, წ. III, გვ. 36—37; ვისარგებლეთ ს. ჩ ი ქ ი ა ს გამოქვეყნებული ნაშრომითაც, „დავთარი“ წ. IV, სადაც ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი ტერმინ „ჯაბას“ ანალიზს.

²⁴ Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд. Тифлис, 1873.

²⁵ С. П. З е л и н с к и й, Объяснительный словарь татарских, грузинских и армянских слов, вошедших в материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, Тифлис, 1889 წ.

მნიშვნელობაც²⁶. ამიტომ შეეუნარჩუნეთ ტექსტს მინაწერისეული დასათაურება.

უცნობი პირისაგან „ჯაბად“ სახელდებული ჩილდირის ვილაეთის დაკთარა თავისა მონაცემებათ შეიძლება ჰქონდეს მიგვეჩინა იჯმალ (defter-icimal) მცარე დაკთარად, ან თიმარ დაკთარად (defter-i timar), მაგრამ ჩვეულებრივი თიმარ დაკთარისაგან განსხვავებით იგი შედგენილია არა ადგილზე მომუშავე საგანგებო კომისიის მიერ, რომელიც სოფელ-სოფელ აგროვებდა და აზუსტებდა მონაცემებს, არამედ თანდათანობით, კანცელარიის მოხელეების მიერ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დაკთარში მასალა ჩაწერალია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აქა გეოგრაფიულა პუნქტების მიხედვით. ეს არის ს ა კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ო უ რ ნ ა ლ ა, სადაც რეგისტრირებულია სულთანისაგან ბოძებული დირ-ლიქი — თიმარი, ზეამეთი თუ ხასი; მითითებულია ლენის ადგილმდებარეობა — დასახლებულაა ლივა, ნაპიფე, კარიფე; მფლობელის სახელი, წლაური შემოსავალი და სულთანისაგან საკარგავის მიღების თარიღი. ამგვარად, ფიქსირებულია ის ცნობები, რომელსაც შეიცავდა თაჰვილას (tahvil) უწყებან²⁷ მიერ გაცემული დოკუმენტები. ეს არის Tahvil defteri-ს ტიპის საკანცელარიო რეესტრი²⁸.

ტექსტი საკმაოდ მოზრდილია, მაგრამ ანექტური რიგით მოწოდებული მასალა ოსმალური ენის გრამატიკის თვალსაზრისით ხელშესახებებს არას იძლევა. მრავლობითი რიცხვი წარმოებულია სპარსული ان — (ان > اولد) ძენი, შვილები) და ه — (خاصه სახასოები) სუფიქსებით. სინტაგმები აგებულია სპარსული იზაფეთით. ლექსიკაში სჭარბობს არაბულ-სპარსული ერთეულები, რაც ნიშანდობრივია ოსმალურისათვის და განსაკუთრებით ამ ხანის საფინანსო დოკუმენტებისათვის. ანთროპონიმები მთლიანად მუსლიმურია. სამაგიეროდ „ჯაბა დაკთარი“ უხვ მასალას შეიცავს ქართულ-თურქული ენობრი-

²⁶ caba ოსმალურ კანუნ-ნამეებსა და საგადასახადო დაკთარებში სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ჯაბა ეწოდება იმ პირს, რომელსაც ჩიფთლიქი და მიწის ნაკვეთი არ გააჩნია. რეადას, რომელიც უცოლოა და ცხოვრობს მამასთან და დამოუკიდებელია, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი მიწის ნაკვეთი, ჯაბას უწოდებენ. იხ. Ö. L. Barkan, Kanunlar, ტ. I, გვ. 48. ჯაბა იხილდა მიწაზე დაწესებულ გადასახადს ჯაბა-ბენაქს.

²⁷ M. Sertoglu, Muhleva bakımından Başvekalet Arşivi, Ankara, 1955, გვ. 5.

²⁸ I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı, Ankara, 1948, გვ. 83—88.

ვი ურთიერთობის შესასწავლად. ქართული ტოპონიმები ჩაწერილია არაბული ასო-ნიშნებით თურქული ენის ფონემატური და ფონეტიკური სისტემის შესაბამისად. აქ ქართული და ოსმალური ბგერების ისეთი შესატყვისობაა, როგორც გურჯისტანის ელაიეთის დიდ დავთარში. ეს შესატყვისობა კი დადგენილია და გამოწველივით შესწავლილი აკად. ს. ჯიქიას მიერ გამოსაცემად მომზადებულ ნაშრომში „ქართული სახელების გადმოცემა თურქულ ტრანსკრიფციაში“. ამიტომ თურქულში „ჯაბასელი“ ქართული გეოგრაფიული სახელების რეფლექსებზე საგანგებოდ აღარ ვიმსჯელებთ.

„ჯაბა დავთარი“, როგორც საისტორიო წყარო

1. ახალციხის საფაშოს მმართველობა და ადმინისტრაციული დაყოფა

„ჯაბა დავთარი“ მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად. მისი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გავარკვიოთ ახალციხის საფაშოს მმართველობა და ადმინისტრაციული დაყოფა. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ტერიტორიულად და ადმინისტრაციულად „ჯაბა დავთარი“ მოიცავს ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშოს. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ საიდან მომდინარეობს სახელწოდება „ჩილდირის ეიალეთი“. აკად. ს. ჭიქიას გამოკვლევით, „ჩილდირი მომდინარეობს ქართული სიტყვა ჩრდილისაგან. თურქულად ქართული სიტყვა „ჩრდილი“ გადმოცემულ იქნა ჩილდირის ფორმით. შემდეგ კი იგი ამ სახით გავრცელდა“¹.

1579 წ. სულთანმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს დაპყრობილი ადგილები გააერთიანა, საბეგლარბეგო დააარსა და მას ჩილდირის ეიალეთი უწოდა². ჩვენი აზრით, სულთანმა საათაბაგოს ტერიტორიაზე დაარსებულ საფაშოს ჩილდირის ეიალეთი უწოდა ჩილდირის ველზე (სამცხე) 1578 წ. მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად³. იგივე თვალსაზრისი გამოთქვა მ. კირზიოლოვმა⁴.

„ჯაბა დავთარი“ შედგენილია ჩილდირის ეიალეთისათვის. ეიალეთი, საბეგლარბეგო ანუ საფაშო, იყო უმაღლესი სამმართველო სამხედრო და ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში, რომელზედაც იგი იყოფოდა XVI საუკუნიდან XIX საუ-

¹ ს. ჭიქია, მზვარე-ჩრდილი, თსუ, ტ. 41, 1950, გვ. 185—195.

² დაწერილებით იხ. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. გვ. 125—135.

³ იქვე.

⁴ M. F. Kirziov, დასახ. ნაშრ., გვ. 294.

კუნემდე, თანზიმათის რეფორმამდე, ვიდრე, ვიალეთი გადაკეთდებოდა ვილაიეთად. ამ ორ ტერმინს (საბეგლარბეგო, ვიალეთი) შორის ის განსხვავებაა, რომ საბეგლარბეგო ძველი სახელწოდებაა და მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღნიშნავდა არა მარტო იმ ტერიტორიას, რომელსაც განაგებდა ბეგლარბეგი, ფაშა და უფრო გვიან, ზოგიერთ შემთხვევაში, ვეზირი, არამედ მის წოდებასაც და რანგსაც. სახელწოდება ვიალეთი კი გამოყენებული იყო მხოლოდ თურქული უმაღლესი სამმართველო ერთეულის აღსანიშნავად; რომელსაც შემდგომში ოფიციალურად იგივე სახელი დაერქვა.

თურქულ წყაროებში ჩილდირის ვიალეთის პარალელურად იხმარება სახელწოდება ახალციხის საფაშო, ხოლო ქართულ საისტორიო მწერლობაში „ჩილდირის ვიალეთი“ არაა დამოწმებული და მისი შესატყვისია ახალციხის საფაშო.

„ჯაბას“ მიხედვით, ჩილდირის ვიალეთს განაგებდა მირ-მირანი.

ვიალეთის (საფაშოს) გამგებელს მირ-მირანს (ფაშას) სულთანი ნიშნავდა და იგი უშუალოდ მას ემორჩილებოდა. ფაშა განაგებდა ვიალეთის სამოქალაქო და სამხედრო საქმეებს. ომის დროს ვიალეთის ლაშქარს სარდლობდა.

ფაშას ვიალეთის გამგებლობა გარკვეული ვადით ეძლეოდა. ჯერ სამი წლით, შემდეგ ორი და ბოლოს — ერთი წლით. რწმუნების ვადის გასვლის შემდეგ, თუ ფირმანი განახლებული არ იქნებოდა, ფაშა პრაქტიკულად კარგავდა ხელისუფლებას. სულთნის მთავრობას სურდა მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდა პროვინციის გამგებლები, არ დაეშვა მათი უფლებების გაძლიერება და განმტკიცება⁵.

სამცხე-საათაბაგოს გაუქმებისა და აქ ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების შემდეგ მას მემკვიდრეობით განაგებდნენ ათაბაგთა გამაჰმადიანებული შთამომავალნი ჯაყელთა გვარიდან⁶. „ხო-

⁵ M. D'hoisson, Tableau general de l'Empire Ottoman, Paris, 1820, ტ. VII, გვ. 277; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული წყობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა XVI ს-ში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963, გვ. 106.

⁶ ჯაყელების ქართული წარმომავლობა ექვს არ იწვევს, მაგრამ თურქეთში გამოჩნდნენ ისეთი ისტორიკოსებიც, რომლებმაც ეს უტყუარი ფაქტი „ექვის ქვეშ“ დააყენეს. ასე მაგალითად, თურქი ისტორიკოსის მ. ფ. კირხოლლუს მტკიცებით, „ფოცხოვის ანუ ჯაყელთა ყივჩაღურ-თურქული საბეგო ჯაყელი ათაბაგების მეთაურობით 1268—1578 წლებში არსებობდა, ხოლო 1578წ. ჩილდირის დაპყრობის შემდეგ იგი აღარ არსებობდა, მთელი მათი ტერიტორია „ჩილდირის ვიალეთი“ გახდა და „ჩილდირის ათაბაგებად“ იწოდებანო. ისინი ყოველთვის ქართველ ბაგრატიონთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ და

ლო, — წერს ვახუშტი, — ვინაფთვან მოეცა ხონთქარსა ფირმანი მკვდრობისა საფარფაშისათვის, შემდგომად სიკუდილისა მამათა მათასა წარვიდიან სტამბოლს და მისციან ქრთამი და მათ წარმოავლინიან ფაშად⁷. ამ ფაქტს ადასტურებს არა მარტო ქართული, არამედ თურქული წყაროებიც. მაგალითად, ქათიბ ჩელების „ჩაჰან-ნუმას“ მიხედვით, საფარ ფაშა ოჯაკიკის წესით ფლობდა ახალციხის საფაშოს, რომელიც ამ დინასტიის გამგებლობაში იმყოფებოდა⁸.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ სულთნის მთავრობა იძულებული იყო ახალციხის ფაშების მიმართ გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო და საერთო წესისათვის გვერდის ავლით საფაშოს გამგებლობა მემკვიდრეობით ებოძებინა ჩაყელთა ოჯახის გამაჰმადიანებულ შთამომავალთათვის.

„ჩაბა დაეთრის“ მიხედვით, ჩილდირის ეიალეთის გამგებელია „ჩილდირის მირ-მირანი იუსუფ ფაშა“⁹.

გარეშე მტრებს მეგზურობას უწევდნენ“. M. F. K i r z i o ğ l u, Kars tarihi, c. I. Istanbul, 1953, გვ. 410.

სამცხე-საათაბაგო „ყივჩალურ-თურქული საბეგო“ არასოდეს ყოფილა. როგორ შეიძლება იგი „ყივჩალურ-თურქული“ ყოფილიყო, როდესაც, სხვას რომ თავი დაევაზებოთ, ბექასა და ალბულას (ათაბაგები იყვნენ) მიერ XIV საუკუნეში საათაბაგოსათვის შედგენილი „სამართლის წიგნი“ წმინდა ქართული სამართლის ძეგლია და იქ თურქული სამართლის ნორმების შესახებ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი!

მ. კირზიოლუ ეცილობს ჩაყელების ყივჩალური წარმოშობის სასარგებლოდ მოიტანოს კიდევ ერთი „არგუმენტი“, თითქოს ისინი „ყოველთვის ბაგრატიონთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ“. იგი ჩქმალავს ისტორიულ ფაქტებს და ახდენს მათ ფალსიფიკაციას. სამცხის ათაბაგები ქართველ მეფეებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ. გავიხსენოთ თუნდაც მანუჩარ II ათაბაგის და სიმონ I ერთობლივი ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ, მანუჩარ IV მონაწილეობა მარაბდის ომში. ეს მხარე რომ ქართულია და აქ ქართველები ცხოვრობდნენ, ამაზე თვალნათლივ ლაღადებენ ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა ოპიზა, ბანა, ოშკი, ხახული და სხვ. სწორედ აქ ცხოვრობდნენ ისეთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, როგორც იყენენ შოთა რუსთაველი, გრ. ხანძთელი, გ. მერჩული, ჩახარუხაძე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ბექა და ბეშქენ ოპიზარები და სხვები.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 727.

⁸ გვ. 109, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 328, 329, 330, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343, 344, 345, 346, 347, 348, 349, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 357, 358, 359, 360, 361, 362, 363, 364, 365, 366, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375, 376, 377, 378, 379, 380, 381, 382, 383, 384, 385, 386, 387, 388, 389, 390, 391, 392, 393, 394, 395, 396, 397, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 435, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 460, 461, 462, 463, 464, 465, 466, 467, 468, 469, 470, 471, 472, 473, 474, 475, 476, 477, 478, 479, 480, 481, 482, 483, 484, 485, 486, 487, 488, 489, 490, 491, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 501, 502, 503, 504, 505, 506, 507, 508, 509, 510, 511, 512, 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524, 525, 526, 527, 528, 529, 530, 531, 532, 533, 534, 535, 536, 537, 538, 539, 540, 541, 542, 543, 544, 545, 546, 547, 548, 549, 550, 551, 552, 553, 554, 555, 556, 557, 558, 559, 560, 561, 562, 563, 564, 565, 566, 567, 568, 569, 570, 571, 572, 573, 574, 575, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 598, 599, 600, 601, 602, 603, 604, 605, 606, 607, 608, 609, 610, 611, 612, 613, 614, 615, 616, 617, 618, 619, 620, 621, 622, 623, 624, 625, 626, 627, 628, 629, 630, 631, 632, 633, 634, 635, 636, 637, 638, 639, 640, 641, 642, 643, 644, 645, 646, 647, 648, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 668, 669, 670, 671, 672, 673, 674, 675, 676, 677, 678, 679, 680, 681, 682, 683, 684, 685, 686, 687, 688, 689, 690, 691, 692, 693, 694, 695, 696, 697, 698, 699, 700, 701, 702, 703, 704, 705, 706, 707, 708, 709, 710, 711, 712, 713, 714, 715, 716, 717, 718, 719, 720, 721, 722, 723, 724, 725, 726, 727, 728, 729, 730, 731, 732, 733, 734, 735, 736, 737, 738, 739, 740, 741, 742, 743, 744, 745, 746, 747, 748, 749, 750, 751, 752, 753, 754, 755, 756, 757, 758, 759, 760, 761, 762, 763, 764, 765, 766, 767, 768, 769, 770, 771, 772, 773, 774, 775, 776, 777, 778, 779, 780, 781, 782, 783, 784, 785, 786, 787, 788, 789, 790, 791, 792, 793, 794, 795, 796, 797, 798, 799, 800, 801, 802, 803, 804, 805, 806, 807, 808, 809, 810, 811, 812, 813, 814, 815, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 825, 826, 827, 828, 829, 830, 831, 832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849, 850, 851, 852, 853, 854, 855, 856, 857, 858, 859, 860, 861, 862, 863, 864, 865, 866, 867, 868, 869, 870, 871, 872, 873, 874, 875, 876, 877, 878, 879, 880, 881, 882, 883, 884, 885, 886, 887, 888, 889, 890, 891, 892, 893, 894, 895, 896, 897, 898, 899, 900, 901, 902, 903, 904, 905, 906, 907, 908, 909, 910, 911, 912, 913, 914, 915, 916, 917, 918, 919, 920, 921, 922, 923, 924, 925, 926, 927, 928, 929, 930, 931, 932, 933, 934, 935, 936, 937, 938, 939, 940, 941, 942, 943, 944, 945, 946, 947, 948, 949, 950, 951, 952, 953, 954, 955, 956, 957, 958, 959, 960, 961, 962, 963, 964, 965, 966, 967, 968, 969, 970, 971, 972, 973, 974, 975, 976, 977, 978, 979, 980, 981, 982, 983, 984, 985, 986, 987, 988, 989, 990, 991, 992, 993, 994, 995, 996, 997, 998, 999, 1000.

⁹ ოსმალურ ბიოგრაფიულ ლექსიკონში იუსუფ ფაშას შესახებ შემდეგი ცნობა მოიპოვება: იუსუფ ფაშა — ჩილდირის ვალი ისპაჰ ფაშას შვილია. ირანთან ლაშქრობაში მონაწილეობით რუმელის ბეგლარბეგობის წოდება დაიმსახურა. 1145 წ. (1732—1733) მამა-მისს ებოძა თბილისის ვილაიეთი, ხოლო მას, ვეზირისრანგით. — ჩილდირის ვილაიეთი. იუსუფ-ფაშა მამაზე ადრე გარდაიცვალა. მისი შვილია იბრაჰიმ ფაშა (ტ. IV, გვ. 663

ءا، محمد شریء، سءل عثمانی یاخوء تز كرهء مشامیر عثمانه اثر محمد شریء، ს. ჭიჭია შენიშნავს, რომ იგივე ავტორი პირველტომში ისპაჰ ფაშაზე წერს, რომ იუსუფ ფაშა ისპაჰის ძმა

ეიღეთი (საფაშო) სანჯაყებად იყოფოდა. თურქული სახელწოდება სანჯაყი და არაბული ლივა სინონიმებია და თავდაპირველად დროშას აღნიშნავდნენ. სანჯაყი ანუ ლივა იყო ოსმალეთის ძირითადი სამხედრო სამმართველო ადმინისტრაციული ერთეული. სანჯაყს სანჯაყბეგი (მირი ლივა) განაგებდა. იგი მართავდა სანჯაყის სამოქალაქო და სამხედრო საქმეებს. „სანჯაყი იყო იმპერიის ნამდვილი ადმინისტრაციული და ტერიტორიული ერთეული. სანჯაყბეგი, ძირითადად, იყო სანჯაყის თიმარის მფლობელთა მეთაური. მის მთავარ მოვალეობას შეადგენდა ომის დროს გამოეყვანა სანჯაყში მყოფი თიმარის მფლობელნი, დაეცვა საერთო წესრიგი და გაეტარებინა იურიდიული და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებანი“¹⁰.

სანჯაყები (ლივა) ნაპიეებად (რაიონი) ან ყადილუქებად იყოფოდა. სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანები იყვნენ, იქ ნაპიე იყო, ხოლო სადაც მუსლიმანები ჭარბობდნენ — ყადილუქი. ნაპიე თავის საგამგებლოში რამდენიმე სოფელს აერთიანებდა.

„ჯაბა დაეთრის“ მიხედვით ჩილდირის ვილაეთი (ახალციხის საფაშო) შემდეგ ლივებად და ნაპიეებად იყოფოდა:

I. ახალციხის ლივა: 1. ახალციხის, 2. აწყურის, 3. უდეს, 4. მზვარეს, 5. ჩრდილის, 6. ქვაბლიანის ნაპიეები.

II. ახალქალაქის ლივა: 1. აკშეპირის, 2. ნიალისყურის, 3. თმოგვის, 4. მზვარეს ნაპიეები.

III. ჩრდილის ლივა: 1. ჯანბაზის, 2. მგელციხის, 3. ქანარბელის ნაპიეები.

IV. ფოცხოვის ლივა: 1. ფოცხოვის, 2. მზვარეს, 3. ჩრდილის ნაპიეები.

V. ხერთვისის ლივა: 1. ხერთვისის, 2. ბუზმარეთის, 3. ტყე-ჯავახეთის, 4. ჩრდილის ნაპიეები.

VI. არტანუჯის ლივა: 1. არტანუჯის, 2. იშხანის, 3. ტაოსკარის, 4. ხუმსის ნაპიეები.

VII. ოლთისის ლივა: 1. ბარდუსის, 2. ანძავის, 3. ჩრდილის, 4. მისრასორის ნაპიეები.

VIII. დიდი არტაანის ლივა: 1. მზვარეს, 2. ჩრდილის, 3. ტყეს ნაპიეები.

არისო. აქ კი ისპაქის შვილია, ვგონებ, უფრო სწორი ეს ცნობა იყოს უნდა. 1725. წ. ისპაქი შეთავსებით იყო თბილისის ვალი, ახლა კი (1732 წ.) ჩილდირის ვალის თანამდებობაზე მის შვილს იუსუფს ვხედავთ (ს. ჩიქია, XVIII ს-ის ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრომები, ტ. 99, 1962, გვ. 166—167).

¹⁰ H. I n a l i k, Ottoman methods of conquest., გვ. 109.

IX. პატარა არტანის ლივა: 1. ხოჯევანი, 2. მზვარე, 3. ჩრდილის ნაპიეები.

X. ფანაკის ლივა: 1. ფანაკის, 2. ფანასკერტის, 3. ქამხისის ნაპიეები.

XI. მამირვანის ლივა: 1. მამირვანის. 2. ახას ნაპიეები.

XII. ჭაჭარაქის ლივა. XIII. ასპინძის ლივა. XIV. ალთუნკალას (ოქროსციხეს) ლივა. XV. ოცხეს ლივა. XVI. ზემო აჭარის ლივა. XVII. ქვემო აჭარის ლივა. XVIII. შავშეთის ლივა. XIX. ლივანას ლივა. XX. ნისფი ლივანას ლივა. XXI. ფერთექრეჭის ლივა.

1595 წ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით ჩილდირის (ახალციხის) საფაშო შემდეგ ლივებად და ნაპიებად იყოფოდა:

I. ახალციხის ლივა: 1. მზვარეს, 2. ჩრდილის, 3. უდეს, 4. ქვებლიანის, 5. აწყურის, 6. ალთუნკალას, 7. ოცხეს, 8. ასპინძის. 9. ჭაჭარაქის ნაპიეები.

II. ხერთვისის ლივა: 1. ხერთვისის, 2. ტყე-ჯავახეთის, 3. ბუზმართის ნაპიეები.

III. ახალქალაქის ლივა: 1. აკშეპირის, 2. თმოგვის, 3. ნიალისყურის ნაპიეები.

IV. ჩრდილის ლივა: 1. ჯანბაზის, 2. ქანარბელის, 3. მგელციხის ნაპიეები.

V. ფოცხოვის ლივა: 1. მზვარეს, 2. ჩრდილის ნაპიეები.

VI. პეტრეს ლივა: 1. პეტრეს, 2. ქაშვეთის ნაპიეები.

VII. დიდი არტანის ლივა: 1. მზვარეს, 2. ჩრდილის, 3. ტყე-არტანის ნაპიეები.

VIII. 1. ფანაკის ლივა: 1. ფანაკის, 2. ქიამხისის, 3. ფანასკერტის ნაპიეები.

XVII ს-ის პირველ ნახევარში ოსმალური წყაროების ცნობებით (აინი ალი, კოჩიბეი გორიჯელი, ალი ჩაუში, ევლია ჩელეები) ჩილდირის ეიალეთი 13 სანჯაყისაგან შედგებოდა: 1. ოლთისი, 2. ხერთვისი, 3. არტანუჯი, 4. დიდი არტანი, 5. ჭაჭარაქი, 6. ფოცხოვი, 7. მაჭახელი, 8. აჭარა, 9. ფანაკი, 10. ფერთექრეჭი, 11. ლივანა, 12. ნისფი ლივანა, 13. შავშეთი. როგორც ვხედავთ, ჩილდირის ეიალეთის სანჯაყთა რაოდენობა დროთა განმავლობაში თანდათანობით გაიზარდა. ეს კი გამოწვეული იყო არა ჩილდირის ეიალეთის ტერიტორიული ზრდით, არამედ არსებული სანჯაყების დანაწილებით. ამ მხრივ ყველაზე მეტი ცვლილებები ახალციხის ლივამ განიცადა. ასე მაგალითად, თუ „გურჯისტანის დავთრის“ მიხედვით, ახალციხის ლივაში შემავალი ჭაჭა-

რაქი, ასპინძა, ალთუნკალა და ოცხე ნაპიეებია, „ჯაბა დავთრის“ მონაცემებით კი ისინი ცალ-ცალკე ლივებადაა გამოყოფილი. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის პირველი ნახევრის თურქულ წყაროებში არაა დამოწმებული ახალქალაქისა და ჩრდილის ლივები, მაშინ როდესაც „გურჯისტანის დავთარსა“ და „ჯაბა დავთრის“ მიხედვით, ისინი დამოუკიდებელ ლივებად იხსენიება. XVII ს-ის პირველი ნახევრის მონაცემებით, აჭარა ერთი სანჯაყი იყო, „ჯაბას“ მიხედვით კი ორ ლივად იყოფა. „ჯაბა დავთარში“ არაა დამოწმებული პეტრეს ლივა. ეს აიხსნება იმით, რომ 1639 წ. ზავით, ეს მხარე (ქვიშხეთიდან აწყურამდე, ე. ი. ბორჯომის ხეობა) ოსმალეთს ჩამოცილდა და კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პატარა არტაანის ლივა ქათიბ ჩელეების „კიჰან-ნუმას“ მიხედვით ფიქსირებულია როგორც ჩილდირის, ისე ყარსის ეიალეთებში. ასევეა „დავთარ ჯაბაშიც“.

ასეთია ჩილდირის ეიალეთის (ახალციხის საფაშოს) ადმინისტრაციული დაყოფა „ჯაბა დავთრის“ მიხედვით. მაგრამ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია კი არ იყო რეგისტრირებული „ჯაბა დავთარში“, არამედ მისი ნაწილი სხვა ეიალეთებში იყო გაერთიანებული. ასე, მაგალითად, ბათუმის სანჯაყი ტრაპიზონის ეიალეთში შედიოდა, თორთუმში, ისფირი, ბასიანი — არზრუმის ეიალეთში, ხოლო პატარა არტაანი — ყარსის ეიალეთში.

2. მიწისმფლობელობა ახალციხის საფაშოში

„ჯაბა დავთარი“ ძვირფასი წყაროა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ახალციხის საფაშოში) სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისა და, კერძოდ, მიწისმფლობელობის შესასწავლად ოსმალთა ბატონობის დროს.

ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისა და ქვეყნის აღწერის შემდეგ აქ თანდათანობით ოსმალური მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები დამყარდა.

1595 წ. „გურჯისტანის ეილაიეთის დიდ დავთარში“ არაა ფიქსირებული ცნობები ხასების, ზემამეთებისა და თიმარის მფლობელების შესახებ, რადგან ეს დავთარი ახალი წესითაა შედგენილი (იხ. გვ. 42), ხოლო „გურჯისტანის დიდი დავთრის“ შესატყვისი იჯმალ (მცირე) დავთარი დღესდღეობით არ მოგვეპოვება. ამის გამო ამ პრობლემის შესწავლის დროს ჩვენ უმთავრესად ვსარგებლობდით

XVII ს-ის პირველი ნახევრის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ტრაქტატების მონაცემებით (აინი ალი, კოჩიბეი გორიჯელი, ალი ჩაუ-ში), რომლებშიაც დატულია ცნობები ახალციხის საფაშოში ხასების, ზეამეთებისა და თიმარების შესახებ. ამგვარივე ცნობები მოეპოვება, აგრეთვე, ევლია ჩელეების თავის „მოგზაურობის წიგნში“. სამწუხაროდ, ხსენებული წყაროების ცნობები არაა სრული, ზოგჯერ კი გვხვდება უზუსტობანი, ამის გამო „ჩაბა დავთარს“, რომელიც თავისი შინაარსით თიმარ დავთრის ტიპისაა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

„ჩაბა დავთარში“ ფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო კატეგორიის მიწები. მასში არაა შეტანილი არც კერძო (mülk) და არც სავაჭუფო მიწები (vakuf), რისთვისაც ცალკე დავთრები ღებოდა.

„ჩაბა დავთრის“ მიხედვით, ჩილდირის ეიალეთში (ახალციხის საფაშო) სულ რეგისტრირებული იყო 874 ლენი. აქედან 17 ხასი, 90 ზეამეთი და 767 თიმარი¹¹. ეს ცნობები ძირითადად ეთანხმება აინი ალის მონაცემებს: 670 ლენი. აქედან 14 ხასი, 92 ზეამეთი და 559 თიმარი¹².

ამრიგად, „ჩაბა დავთარში“ ფიქსირებულია სახელმწიფო მიწების ძირითადი კატეგორიები: ხასი, ზეამეთი, თიმარი.

ოსმალეთში სახელმწიფო მიწების ერთ ნაწილს ხასი ეწოდებოდა. ხასი რამდენიმე სახისა იყო: სულთნის (havassi Humayun), სულთნის ოჯახის წევრი ქალების (havassi başmanlık), დიდი ვეზირის (havassi vüzerâi azam), ვეზირების (havassi miri-miran ან hassi vüzera), ბეგლარბეგების (havassi miri-miran), სანჯაყბეგების (havassi umerâ). სულთნის კარის დიდმოხელეებს სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურისათვის ხელფასის (დირლიქი) ნაცვლად ხასი ეძლეოდათ. ხასი გაიცემოდა თანამდებობაზე და მემკვიდრეობით მამიდან შვილზე არ გადადიოდა. ხასის მფლობელის თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში ხასი ისევ სახელმწიფო მიწების უწყებას უბრუნდებოდა¹³.

სახასო მამულის წლიური შემოსავალი 100000 ახჩას აღემატებოდა. ბეგლარბეგის ხასის წლიური შემოსავალი 400000 ახჩაზე ნაკ-

¹¹ ჩვენ ჩილდირის ეიალეთის ლენების რაოდენობას არ მივითვალთ „ჩაბა დავთარში“ შეცდომით რეგისტრირებული ალაშკერტისა და სომხეთის ხასები (2) და 4 ზეამეთი და 2 თიმარი გორის სანჯაყიდან.

¹² A y n i A l i, Osmanlı Devleti Arazı Kanunları, çeviren H. Tuncer, Ankara, 1962, გვ. 120.

¹³ Трактат Али Чауша из Софии о тимариотской организации в Османской империи..., с. 99.

ლები არ უნდა ყოფილიყო, ხოლო სანჯაყბეგისა — 200000-დან 400000 ახჩამდე.

„ჯაბა დავთარში“ დამოწმებულია ახალციხის საფაშოს ბეგლარბეგისა და სანჯაყბეგების ხასების ყოველწლიური შემოსავალი:

1. ჩილდირის ბეგლარბეგის ხასი	900110	ახჩა
2. არტანუჯის სანჯაყბეგის ხასი	416825	„
3. დიდი არტაანის „ „	24000	„ (sic)
4. ალთუნკალას „ „	200900	„
5. ხერთვისის „ „	202500	„
6. ოცხეს „ „	216300	„
7. ჭაჭარაქის „ „	320000	„
8. მამირვანის „ „	277000	„
9. ფოცხოვის „ „	20650	„ (sic)
10. აჭარის „ „	527590	„
11. ზემო აჭარის „ „	200000	„
12. ქვემო აჭარის „ „	208959	„
13. ოლთისის „ „	196000	„
14. შავშეთის „ „	565875	„
15. ფერთეჟრეჟის „ „	519380	„
16. ნისფი ლივანა „ „	202240	„
17. ახალქალაქის „ „	20000	„ (sic)

ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგის ყოველწლიური შემოსავალი საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა 900116 ახჩას, კოჩიბეი გორიჯელის მიხედვით — 925000 ახჩას. იგი აღემატებოდა ტრაპიზონის, ყარსის და სხვა საფაშოების გამგებლების ხელფასს და მხოლოდ იმპერიის ექვს ბეგლარბეგს, ფაშას (რუმელიის, ანატოლიის, არზრუმის, დიარბექირის, ვანისა და შეპრიზოლის) ჰქონდა უფრო მეტი შემოსავალი. ამასთან ახალციხის ფაშები, განსხვავებით სხვა პროვინციების ბეგლარბეგებისაგან, თავის საგამგებლოს მემკვიდრეობით ფლობდნენ.

ამრიგად, ჯაყელთა გამაჰმადიანებულმა მემკვიდრეებმა ოსმალთა ბატონობის პირობებში, როგორც ახალციხის ფაშებმა შეინარჩუნეს ეკონომიური და პოლიტიკური ძალაუფლება.

მსხვილი ფეოდალები იყვნენ, აგრეთვე, ახალციხის საფაშოს სანჯაყბეგებიც. ზოგიერთი სანჯაყბეგის (შავშეთის, აჭარის, ფერთეჟრეჟის) ყოველწლიური შემოსავალი ნახევარ მილიონ ახჩას აღემატებოდა.

„ჯაბა დავთრის“ მიხედვით, ახალციხის საფაშოს სანჯაყბეგების ყოველწლიური შემოსავალი (გაუბეგბარი მიზეზის გამო ყველა სანჯაყბეგის ხასი არაა მითითებული) 4499989 ახჩას შეადგენდა, ხოლო აინი ალის რისალეს მიხედვით კი 4563444 ახჩას¹⁴.

„ჯაბა დავთრის“ მიხედვით ახალციხის საფაშოს სანჯაყბეგების ერთი ნაწილი თავიანთ ხასებს ფლობდა იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით, მემკვიდრეობით. ასეთი სანჯაყები იყო: 1. არტანუჯი, 2. ხერთვისი, 3. ოლთისი, 4. ოცხე, 5. ალთუნცალა, 6. ჭაქარაქი, 7. ფოცხოვი, 8. ზემო აქარა, 9. ქვემო აქარა, 10. მამირვანი, 11. ლივანა, 12. ნისფი-ლივანა, 13. შავშეთი, 14. ფერთეჭრეკი, 15. ახალქალაქი.

„ჯაბაში“ დამოწმებულ ამ ფაქტს ადასტურებს XVII ს-ის მეორე ნახევრისა და XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ოსმალეთის ოფიციალური მემატრიანე მ. რაშიდი. იგი წერს, რომ ჩილდირის საფაშოში 14 სანჯაყბეგი იურთლუკად და ოჯაკლიკად ითვლება¹⁵. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვ. ჩოჩიევს, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს აქ მითითებულ იურთლუკთა რიცხვს¹⁶, რადგან რაშიდის ცნობას ადასტურებს „ჯაბა დავთარიც“.

საჭიროა აღინიშნოს, რომ იურთლუკისა და ოჯაკლიკის მიწები ორი სახისა იყო: ერთი განეკუთვნებოდა კერძო მიწების კატეგორიას (მულქი), მეორე კი — სახელმწიფო მიწებს (არაზი მემლექეთ). ოსმალური წყაროებიდან ირკვევა, რომ სულთნის მთავრობამ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე დააარსა როგორც ერთი, ისე მეორე სახის იურთლუკები და ოჯაკლიკები¹⁷.

ოსმალური წყაროების ცნობით (აინი ალი, კოჩიბეი გორიჯელი, ალი ჩაუში), იურთლუკები და ოჯაკლიკები განეკუთვნებოდა სახელმწიფო მიწებს. მათში შედიოდა ზეამეთები, თიმარები და შემოსავა-

¹⁴ M. B e l i n, Du regime des fiefs militaires dans l'islamisme et principalement en Turquie, Journal Asiatique, 1870, t. XV, 280.

¹⁵ მექმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მზობელი ქვეყნების შესახებ. თურქული ტექსტი ქართულ თარგმანით გამოსცა, გამოკლევა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევმა, თბ., 1976, გვ. 22.

¹⁶ იქვე.

¹⁷ დაწვრილებით იხ. M. X. C ვ ა ნ ი დ ჯ ე. О ю р д л у к а х и о д ж а к л ы к а х как одной из форм землевладения в Османской империи. Первый конгресс балканских исследований, сообщения советской делегации, Москва, 1966 г. с. 1—10. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, მიწათმფლობელობის იტორიიდან ახალციხის საფაშოში (იურთლუკები და ოჯაკლიკები), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 219—225.

ლი ჩაწერილი იყო დავთარში. ომის შემთხვევაში ამ სანჯაყთა მფლობელებს ევალებოდათ ლაშქრის გარკვეული რაოდენობის გამოყვანა ბეგლარბეგის მეთაურობით. მათ გამგებლებს ჰქონდათ დროშა და დოლი. ეს სამფლობელოები ხელშეუვალი იყო; არავის შეეძლო რომელიმე მათგანის გამგებლის გადაყენება და მის ადგილზე სხვა პირის დანიშვნა. ეს სანჯაყები გაცემული იყო მემკვიდრეობით მფლობელობაში. იურთლუკისა და ოჯაკლიკის გამგებლის სიკვდილის ან გადაყენების შემთხვევაში მისი უფლებები გადაეცემოდა მის ვაჟს, ძმას ან ნათესავს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უტხო პირს, იმ დრომდე, ვიდრე ცოცხალი იყვნენ მისი შვილები ან ნათესავები. მათი ამოწყვეტის შემთხვევაში კი, ჩვეულებრივ, იურთლუკსა და ოჯაკლიკს უბოძებდნენ ხოლმე დიდ მოხელეს და მას უკვე აღარ ეწოდებოდა ოჯაკლიკი ან იურთლუკი. მისი ახალი პატრონი (რომელიც არ იმყოფებოდა ნათესაურ კავშირში ყოფილ მფლობელთან) განაგებდა მას საერთო წესის მიხედვით, როგორც ჩვეულებრივ სანჯაყს.

იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები დაარსებულ იქნა სელიმ I (1512—1520) დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში ქურთების ტერიტორიების დაპყრობის შედეგად, ცოტა უფრო გვიან კი დიარბექირის, ვანისა და ბაღდადის ეიალეთებში.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები დაარსებული იყო მხოლოდ ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე. მართალია, დასაწყისში სულთანმა ამგვარ სანჯაყებს უბოძებდა ხოლმე ქურთთა ბეგებს, მაგრამ როგორც წყაროებიდან ირკვევა, შემდგომში ამ ტიპის სანჯაყები ბოძებულ იქნა ოსმალეთის იმპერიაში შემავალი სხვა ქვეყნების წარჩინებულთათვის, მათ შორის გამაჰმადიანებული ქართველი ბეგებისათვის.

ჩვენი ვარაუდით, სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე იურთლუკისა და ოჯაკლიკის ტიპის ოთხი სანჯაყი დაარსებული იყო სულეიმან I (1520—1566) დროს, როდესაც 40—50-იან წლებში ოსმალებმა დაიპყრეს საქართველოს ეს მხარე.

გამაჰმადიანებული ქართველი ბეგებისათვის ბოძებული იურთლუკისა და ოჯაკლიკის სანჯაყები განსხვავდებოდა ქურთთა ბეგებისათვის ბოძებულ ამგვარი სანჯაყებისაგან იმით, რომ ეს სანჯაყები კერძო მფლობელობაში იყო ბოძებული და არ იყო აღწერილი და დავთარში გატარებული. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ეს ოთხი სანჯაყი — ფერთექრეჟი, ლივანა, ნისფი ლივანა და შავშეთი არ არის შეტანილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, მიუ-

ხედავად იმისა, რომ ისინი ახალციხის საფაშოს შემადგენლობაში იმყოფებოდნენ.

ასეთი სანჯაყების გამაჰმადიანებული ქართველი ბეგების განკარგულებაში იმყოფებოდნენ მათი კუთვნილი ციხე-კოშკები, სოფლები და გლეხები. ბეგები გარკვეული ფორმით ინარჩუნებდნენ ძველ წესებს. იქ ერთგვარად დაცული ყოფილა ადგილობრივი ფეოდალური წესები. ასეთი სანჯაყების მთელი შემოსავალი ქართველი ბეგების კუთვნილებას შეადგენდა. ამგვარი სანჯაყები ხელშეუვალი იყო და არავის ჰქონდა უფლება სანჯაყში შესვლისა და იქ გადასახადების აკრებისა და სხვ. მაგრამ ეს ისე არ უნდა გაეიგოთ, რომ ოსმალური მიწისმფლობელობა ერთგვარად მაინც არ ეხებოდა გამაჰმადიანებული ქართველი ბეგების მიწა-წყალს. საქმე ისაა, რომ გამაჰმადიანებულ ქართველ ბეგებს თავისი სანჯაყის მფლობელობის უფლება ოსმალეთის სულთნისაგან უნდა მიეღოთ. ასე რომ, მიწის უზენაეს მესაკუთრედ სულთანი გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ადგილობრივი წესები ამ შემთხვევაში ძირითადად ხელშეუხებელი რჩებოდა.

სულთნის მთავრობის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე იურთლუკისა და ოჯაკლიკების სანჯაყების დაარსება დაკავშირებული იყო დაპყრობილი ქვეყნის გაბატონებული კლასის ერთი ნაწილის თავის მხარეზე გადმობირებისთან. ეს იყო კომპრომისი დამპყრობელსა და დაპყრობილი ქვეყნის პრივილეგირებული კლასის გარკვეულ ნაწილს შორის. გამაჰმადიანებული ქართველი ბეგებისათვის იურთლუკისა და ოჯაკლიკის ბოძებით სულთანს სურდა ისინი თავის სამსახურში ჩაეყენებინა და მათი დახმარებით დაემორჩილებინა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც დამპყრობელს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა.

„ჯაბა დავთარში“, ისევე როგორც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, არ არის რეგისტრირებული ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს ოთხი სანჯაყი: შავშეთი, ლივანა, ნისფი ლივანა და ფერტეჟრეჟი, რომლებიც ბოძებული იყო იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით კერძო მფლობელობაში. „დავთარ ჯაბაში“ ნაჩვენებია მხოლოდ მათი სანჯაყბეგების იურთლუკებისა და ოჯაკლიკების ხასების ყოველწლიური შემოსავალი, ხოლო თვით ამ სანჯაყების სოფლები, მცირეოდენის გამოკლებით დავთარში არაა გატარებული.

ამრიგად, მსხვილი ქართველი ფეოდალების ნაწილმა, რომელიც ოსმალეთის სამსახურში ჩადგა და გამაჰმადიანდა, იურთლუკისა და

ოჯაკლიკის საფუძველზე შეინარჩუნა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა ოსმალთა ბატონობის დროსაც.

სამწუხაროდ, „დაეთარ ჯაბას“ მიხედვით არ ხერხდება გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალების ვინაობის დადგენა, რადგან იქ მხოლოდ ჩაწერილია სახელი და ზოგჯერ მამის სახელი, გვარი კი არაა მითითებული.

„ჯაბა დაეთარში“ დამოწმებულია 90 ზეამეთის მფლობელი. ზეამეთი ეწოდებოდა ისეთ საკარგავს, რომლის წლიური შემოსავალი 20 ათასიდან 100 ათას ახჩამდე აღწევდა. ზეამეთის მფლობელ ფეოდალს ზაიმი ეწოდებოდა. მაგრამ „დაეთარში“ გვხვდება აგრეთვე ისეთი ზეამეთებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 20000 ახჩაზე ნაკლები იყო. ასეთ ლენს გვერდზე მიწერილი ჰქონდა, რომ იგი ზეამეთია. ჩვენთვის ჭერჯერობით გაუგებარია, თუ რით შეიძლება აიხსნას ეს. ისე კი ასეთი ფაქტები ოსმალეთის იმპერიის სხვა პროვინციებშიცაა დამოწმებული¹⁸.

„ჯაბა დაეთარის“ მიხედვით, 20000 ახჩაზე ნაკლები შემოსავლიანი ზეამეთი ექვსია დასახელებული. ესენია: 1. არტანუჯის ლივას არტანუჯის ნაჰიეში მდებარე — 14000 ახჩა; 2. ფანაჯის ლივას ქიამპისის ნაჰიეში მდებარე — 18000 ახჩა; 3. ახალციხის ლივას უდეს ნაჰიეში მდებარე 19800 ახჩა; 4. ახალციხის ლივას ქანარბელის ნაჰიეში მდებარე — შემოსავალი 19500 ახჩა და 5. ასპინძის ლივას ასპინძის ნაჰიეში მდებარე — შემოსავალი 19600 ახჩა და 6. იქვე მდებარე შემოსავალი 16500 ახჩა.

აინი ალის „რისალეს“ მიხედვით, XVII ს-ის დამდეგს, ახალციხის საფაშოში 97 ზეამეთი იყო¹⁹.

როგორც ვხედავთ, ზეამეთების რაოდენობა ერთი საუკუნის განმავლობაში ოდნავ შემცირებულია, სამაგიეროდ, ახალციხის საფაშოში გაიზარდა თიმარის მფლობელთა რიცხვი.

ფეოდალურ საკარგავებს შორის „დაეთარ ჯაბაში“ ყველაზე მეტი თიმარია დამოწმებული. თიმარის ეტიმოლოგიისა და ამის შესაბამისად ამ ინსტიტუტის წარმოშობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ყ. ჰამერი თიმარს უკავშირებდა VI ს-ის სასანური ირანის სამხედრო-ლენურ მიწისმფლობელობას²⁰.

¹⁸ Nicoara Beldiceanu, Le Timar de Muşlih ed-din précepteur de Selim şah, 2 «Turcica», Paris-Strasbourg 1976, t. VIII/2, გვ. 92.

¹⁹ A y n i A l i, Risalesi, გვ. 23.

²⁰ J. H a m m e r, Des Osmanischen Reiches Staatsverfassung und Staatsverwaltung, Wien, 1815, Bd. I, გვ. 44, 45.

თიმარის ირანულ წარმომავლობას მხარს უჭერს ვენეციელი L. Saranzo (limar სპარსული სიტყვაა: ზრუნვა, წუხილი, შფოთი, ხლადფორთი)²¹. საწინააღმდეგო თვალსაზრისი გატარებულია ე. დენის შრომაში. თიმარში ის ხედავს ბიზანტიურ გავლენას ოსმალურ ინსტიტუტებზე, მკვლევარის აზრით, სიტყვა თიმარ წარმოადგენს ბერძნული „proniya“-ს კალკს²².

მ. ბელენი აღნიშნავდა, რომ ისლამურ საზოგადოებაში პირველად სამხედრო-ლენური ინსტიტუტები ჩამოყალიბდა სელჩუკი სულთნის არფ-არსლანის დროს²³. სელჩუკთა სახელმწიფოს ცნობილი საბჭოთა მკვლევარი აკადემიკოსი ვ. გორდლევსკი თვლიდა, რომ სელჩუკთა სამხედრო-ფეოდალურმა რეჟიმმა განიცადა მონღოლთა გავლენა, ხოლო ამ უკანასკნელთა ინსტიტუტები ჩამოყალიბდა ჩინურის გავლენით²⁴.

თიმარის წარმოშობის საკითხს შეეხო ბულგარელი მეცნიერი ვერა მუტაფჩიევა. მისი აზრით, ოსმალეთში თიმარების ბოძება დაიწყო XIV ს-ის 70-იან წლებში, ხოლო XV ს-ის დამდეგისათვის ეს ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებული და ფართოდ გავრცელებულია. ვ. მუტაფჩიევას შეხედულებით, თიმარი თავდაპირველად იყო არა მიწის სამფლობელო, არამედ ცენტრალიზებული ფეოდალური რენტის ანარიცხი, რაც განპირობებული იყო ოსმალური საზოგადოების თავისებურებებით, რომელშიაც, ადრეულ ეტაპზე, ფეოდალური ურთიერთობა ყალიბდებოდა მომთაბარე ტომების დიდი რაოდენობის არსებობის პირობებში²⁵.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ თურქულ ტრადიციას, რომელიც წარმოადგენს დასავლურ მონღოლურის გაგრძელებას (ილხანთა სახელმწიფო ირანში XIII—XIV სს., მცირე აზიაში ყარა-ყოიუნლუსა და აყ-ყოინლუს სახელმწიფოები XIV—XV სს.). მათი აზრით, მრავალრიცხოვანი ფეო-

²¹ ციტირებულია N. Beldiceanu et I. Beldiceanu-Steiner Recherches sur la province de Qaraman au XVI siècle, Journal of the Economic and Social History of the Orient, v. XI, 1968, გვ. 95.

²² J. D e n y, Encyklopedie der Islam, I, გამოც. ტ. IV, გვ. 807, 8.

²³ M. B e l i n, Du régime des fiefs militaires dans l'islamisme et principalement en Turquie.... გვ. 216.

²⁴ В. А. Г о р д л е в с к и й, Государство селджукидов Малой Азии, Избр. соч., I, М., 1960, с. 97.

²⁵ В. П. М у т а ф ч и е в а, Аграрните отношения в Османската империя пред XV—XVI в., София, 1962, С. 22—28.

დალური სამთავროების დაცემა-მოსპობის შედეგად წარმოიშვა სელჩუკიდების სულთანათი მცირე აზიაში (ანატოლიის ბეილიქი)²⁶.

უკანასკნელ წლებში ფრანგმა მეცნიერებმა ნიკორა და ირენ ბელდიჩანუებმა გამოსცეს გამოკვლევა XVI ს-ის ყარამანიის პროვინციის შესახებ. ყარამანიისათვის შედგენილ ოსმალურ კანუნ-ნამეებედან ნათლად ჩანს, რომ ოსმალებმა შეითვისეს ამ მხარეში მოქმედი კანონები და ტრადიციები. ტექსტი ცხადყოფს, რომ ყარამანიის სამთავროში თურქების მიერ დაპყრობამდე არსებობდა თიმარის ინსტიტუტი. ნ. და ი. ბელდიჩანუს დასკვნით, თიმარი არის დომენალური დოტაცია, რომლის ბენეფიციენტი მოვალე იყო წასულიყო ომში და გამოეყვანა ჭარისკაცთა რიცხვი, შესაბამისი მის ხელთ მყოფი მიწებისა. ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თიმარი არ იყო მფლობელის საკუთრება²⁷.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მცირე აზიის დამოუკიდებელ სამთავროებში არსებობდა თიმარი, როგორც ფორმა ფეოდალური ბოძებისა, რამაც უთუოდ გავლენა იქონია ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე ოსმალთა იმპერიაში: ხოლო, მეორე მხრივ, თიმარის დამკვიდრება ოსმალურ მიწისმფლობელობაში განპირობებული იყო თვით ოსმალური საზოგადოების თავისებურებებით.

ოსმალეთში თიმარი ეწოდებოდა ისეთ ლენს, რომლის წლიური შემოსავალი 1000 ახჩადან 19999 ახჩამდე აღწევდა. თიმარის მფლობელს თიმარიოტი ერქვა. სიფაჰიებს (ფეოდალებს) თიმარი სამხედრო სამსახურისათვის ეძლეოდათ; ლაშქრობაში თავის არიდების შემთხვევაში მათ თიმარი ჩამოერთმეოდათ. თიმარის მფლობელს შემოსავლის ყოველ 3000 ახჩაზე ერთი შეიარაღებული მხედარი (ჩებელი) უნდა გამოეყვანა, ზაიმს ყოველ 5000 ახჩაზე — ერთი მხედარი. თიმარის მფლობელი ფეოდალები ვალდებული იყვნენ იქ ეცხოვრათ, სადაც მათი თიმარი იყო, სხვაგან ცხოვრება მათ აკრძალული ჰქონდათ.

თიმარებისა და ზეამეთების გაცემა სულთან სულეიმან კანუნამდე შემდეგი წესით ხდებოდა: თიმარის პრეტენდენტს ორი ზაიმი და ათი თიმარიოტი დაუმოწმებდა, რომ იგი შთამომავლობითი სიფაჰია და ღირსია ფეოდალურ ლაშქარში მიიღოს მონაწილეობა. ამის საფუძველზე ვილაიეთის ბეგლარბეგი სიფაჰის სპეციალურ დავთარში

²⁶ I. H. U z u n ç a r ş ı l ı , Anadolu beylikleri ve Akkoynlu, Karakoyunlu devletleri, Ankara, 1937, გვ. 58.

²⁷ N. et I. B e l d i c e a n u , La province de Qaraman, ... გვ. 95.

გაატარებდა (თეზქერეს დავთარი). ამ თეზქერეს საფუძველზე სულთანი წყალობის სიგელს, ბარათს გასცემდა.

თიმარები ორ ჯგუფად იყოფოდა: თეზქერიანი და უთეზქერო. თეზქერე ეწოდებოდა ბეგლარბეგის მიერ საკარგავის მფლობელად რეკომენდებული პირის იმ საბუთს, რომელიც პროვინციიდან სატახტო ქალაქის დევთერხანეში იგზავნებოდა. 1530 წლიდან ბეგლარბეგებს ჩამოერთვათ საკარგავის გაცემის უფლება და მფლობელობაზე ბარათის გაცემა. ბარათს ამიერიდან სულთანი იძლეოდა. ბეგლარბეგი მხოლოდ ასახელებდა საკარგავის მფლობელ კანდიდატს. გამონაკლისს შეადგენდა მცირე თიმარები, რომელთა შემოსავალი 3000 ახჩას არ აღემატებოდა. ამის მიხედვით თიმარი იყოფოდა ორ ჯგუფად: რეკომენდებული თიმარები (tezkereli) და თიმარები, რომელთაც ასეთი რეკომენდაცია არ სჭირდებოდათ (tezkeresiz).

„ჯაბა დავთარში“ 767 თიმარია რეგისტრირებული. „დავთარიდან“ არ ჩანს, თუ რომელი თიმარიოტი იყო თეზქერეს მქონე და რომელი — უთეზქერო. თიმარის სახეობა შემოსავლის მიხედვით უნდა განესაზღვროთ.

„ჯაბა დავთარში“ გვხვდება ისეთი თიმარებიც, რომლის ყოველწლიური შემოსავალი 1000 ახჩაზე ნაკლები იყო. ასეთი თიმარების რიცხვი შედარებით მცირეა, სულ 14. აქედან 875 ახჩა შემოსავლიანი — 2, 500 ახჩიანი — 4, 700 ახჩიანი — 1 და ყველაზე მცირე შემოსავლიანი თიმარი 376 ახჩას შეადგენდა. მათ შორის 2 დამოწმებული არტანუჯის ლივაში, 2 — ახალციხის ლივაში, თითო-თითო — ფოცხოვის, ოლთისისა და ფანაკის ლივებში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მცირე შემოსავლიანი თიმარები დამოწმებულია აგრეთვე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, მაგრამ „ჯაბა დავთარისაგან“ განსხვავებით, ისინი ზიმშიები, ე. ი. ქრისტიანები იყვნენ და სამხედრო სამსახური მართებდათ. „დავთარში“ მათ შესახებ ჩაწერილი იყო, რომ „სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოდის სამხედრო სამსახურში“²⁸.

ამრიგად, ჩილდირის საფაშოში ყველაზე დიდი ფეოდალი ახალციხის ფაშა იყო, რომლის ყოველწლიური შემოსავალი დაახლოებით ერთ მილიონ ახჩას შეადგენდა, ხოლო ყველაზე მცირესი კი — 376 ახჩას.

თიმარების ყველაზე დიდი რაოდენობა დამოწმებულია ახალცი-

²⁸ დავთარი, № II, გვ. 332.

ხისა და დიდი არტაანის ლიეებში, შედარებით მცირე — ოცხესა და ოქროსციხეს ლიეებში.

„ჯაბა დაეთარში“ დამოწმებულია ისეთი თიშარებიც, რომელთაც საზიაროდ, ერთობლივად რამდენიმე კაცი (2, 3 ან 4) ფლობდა, რასაც მუშთერეკი (müşterek) ეწოდებოდა.

ძველი კანონით დასაშვები იყო, თუ მამას არ სურდა დაეყო თავისი თიშარი, იგი ბარათით მიეცა თავისი ორი შვილისათვის. მაგრამ თუ ერთ-ერთი ძმა გარდაიცვლებოდა და მას შვილი არ ღარჩებოდა, მაშინ მისი წილი ძმას გადაეცემოდა, ხოლო უცხოისათვის მისი წილის გადაცემა კანონით აკრძალული იყო. ერთი კილიჩ-თიშარი ორ კაცს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლეოდა, როდესაც ისინი ძმები იყვნენ და აუცილებელი იყო იგი მამის თიშარი ყოფილიყო. თუ თიშარი სხვისაა, ეს აკრძალულია²⁹.

თუ სიფაპი (ფეოდალი) ფლობდა 2000 ან 3000 ახჩა შემოსავლიან თიშარს და გარდაცვალების შემდეგ მას ორი ვაჟიშვილი ღარჩებოდა, მაშინ მისი თიშარი ორივეს გადაეცემოდა საზიაროდ, ერთობლივ მფლობელობაში, თუ სამი შვილი ჰყავდა, მაშინ ეს თიშარი მესამე შვილს არ ეძლეოდა. მას უნდა მოეთხოვა სხვა თიშარი. მაგრამ თუ თიშარი დიდი მოკულობისა იყო, შეიძლებოდა მისი გადაცემა მესამე შვილზეც³⁰.

ახალციხის საფაშოში თიშარის საზიაროდ, ერთობლივად ფლობასთან დაკავშირებით ჩვენ მოგვეპოვება სულთან აჰმედ III (1703—1730) მიერ 1714 წელს გაცემული ფირმანი. ამ ფირმანით სულთანის სოფელ ხეოთში 14000 ახჩა შემოსავლიან თიშარს ზიარი მფლობელობის უფლებით უწყალობებდა გარდაცვლილი ოსმანის შვილებს — იბრაჰიმს, იუსუფს, მუსტაფასა და მირზას³¹.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ფირმანში ხაზგასმულია რამდენჯერმე, რომ ზიარი უფლებით თიშარის ბოძება სცილდება თიშარის გაცემის დადგენილ წესებს³². როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ზიარად თიშარის ბოძება დაშვებული იყო, თუ იგი თიშარის მფლობელის შვილებს ეძლეოდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ

²⁹ Трактат Али Чауша из Софии о тимариотской организации в Османской империи, А. С. Т е р т и н о в а, Аграрный строй Османской империи XV—XVII вв. Документы и материалы, М., 1963, с. 108.

³⁰ იქვე, გვ. 112.

³¹ ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, ორი თურქული ფირმანი, მრავალთავი, ტ. I, თბ., 1971, გვ. 394—398.

³² იქვე.

მოტანილ ფირმანში ხაზგასმულია, რომ თიმარის მემკვიდრეები თიმარიოტის ღვიძლი შვილები არიან, რასაც ადასტურებენ ადგილობრივი მცხოვრებნი.

ამ ფირმანში ჩაწერილია: „ქაქარაქის სანჯაყისა და ნაჰიეში ხეოთის სახელით ცნობილ კარიედან და სხვა ადგილებიდან 14000 ახჩა შემოსავლიანი თიმარის მფლობელი ოსმანი გარდაიცვალა და თიმარი უპატრონოდ დარჩა. საშუალო ტანის, ჰრელთვალეზა, შორიშორ დასმული წარბების მქონე იბრაჰიმმა და აღნიშნული ნიშნებს მქონე მუსტაფამ და მირზამ და იუსუფმა, რომლებიც ხსენებული გარდაცვლილის ნამდვილი, ღვიძლი შვილები არიან, წარმოადგინეს მალაღირსეული სამეფო თევკიყი. შემოხსენებული ლივადან ორი ზამისა და თიმარის პატრონი ათი პირის დამოწმებით მათ მიერ წარმოდგენილი ბარათი, ექვევარეშა, რომ მათი ზამის ბარათია. შემოხსენებული შვილები გვეჯებიან, რომ მათი გარდაცვლილი მამის თიმარი, წყალობით, კანონებზე გარდამეტებით, ზიარი მფლობელობის სახით ებოძოს მათ... და მათი გარდაცვლილი მამის, ხსენებული ოსმანის სანაცვლოდ, წყალობათა კანონის მიღმა ებოძათ საზიაროდ“³³.

როგორც ვხედავთ, ამ ფირმანის მიხედვით, ერთობლივ მფლობელობაში თიმარის ბოძება „წყალობათა კანონის მიღმა“, „წყალობათა კანონზე გარდამეტებით“ არის მიჩნეული. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ XVIII ს-ის დამდეგს ახალციხის საფაშოში საზიარო თიმარის რაოდენობა მეტად მცირე ყოფილა.

XV—XVI საუკუნეების დავთრებში კი ხშირად ვხვდებით თიმარის ერთობლივი მფლობელობის დამადასტურებელ ფაქტებს. მაგალითად, 1432 წლის ალბანეთის იჯმალ დავთარში ჩაწერილია: „თიმარის მფლობელი აბდულაჰა გარდაიცვალა... ამჟამად იგი (თიმარი) გადასცეს მის შვილებს მუსტაფასა და სეიდს ერთობლივ მფლობელობაში“³⁴ და სხვა³⁵.

თიმარის ერთობლივი მფლობელობის დასახელების შემდეგ ალბანეთის დავთარში მითითებულია თითოეული მათგანის შემოსავლის წილი (hisse) და მათი სამხედრო მოვალეობა.

თიმარის ერთობლივი მფლობელობის მაგალითები დადასტურებულია აგრეთვე 1455 წლის ვილკოს (ბრანკოვიჩის) ვილაიეთის დიდ

³³ ც. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 398.

³⁴ H. Inalci, Sûret-i defter-i sancak-i Arvanid, გვ. 65.

³⁵ იქვე, გვ. 58, 59, 60, 64, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, და სხვ.

დავთარში. მაგალითად: „თიმარი მუჰმედისა, მუსტაფას და იუსუფის მაჰმულ ქუჩუქის შვილებისა“³⁶.

შემდეგ იქ აღნიშნულია, რომ ომის დროს ისინი მონაწილეობას მიიღებენ ლაშქრობაში. მითითებულია თითოეული მათგანის შემოსავლის რაოდენობა, მათ მფლობელობაში მყოფი სოფლები, მოსახლეობის კომლობრივი აღწერით და გლეხებზე გაწერილი გადასახადებით. ომში გამოსაყვანი მოლაშქრეების რაოდენობა და სხვ.³⁷

„ჯაბა დავთარსა“ და ახალციხის საფაშოში საზიარო თიმარის მფლობელთათვის გაცემულ სულთნის ბარათებში არაა მითითებულა ყოველი მოზიარე თიმარიოტის წილი (hisse); იქ მხოლოდ თიმარის შემოსავლის საერთო ჯამია ფიქსირებული. საფიქრებელია, რომ ყოველი მოზიარე თიმარიოტის წილი იჯმალ დავთარში იყო ჩაწერილი.

„ჯაბას“ მიხედვით, საზიარო მფლობელობის 25 შემთხვევაა აღმოწმებული.

„ჯაბა დავთარი“ საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ფეოდალთა ეკონომიური მდგომარეობა, მათი ყოველწლიური შემოსავლის შესაბამისად:

ყოველწლიური შემოსავალი		მფლობელთა რაოდენობა
1. 999	ახაჰლე	14
2. 1000	ახაზუ მეტი	22
3. 1500	„ „	14
4. 2000	„ „	40
5. 2500	„ „	22
6. 3000	„ „	93
7. 3500	„ „	96
8. 5000	„ „	260
9. 10000	„ „	206
10. 20000	„ „	90
11. 100000	„ „	17

„ჯაბა დავთარის“ ანალიზი გვიჩვენებს, რომ ახალციხის საფაშოში კარობდა მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობა, რადგან ფეოდალების 60%-ზე მეტს ჰქონდა 5000 ახაზუ მეტი შემოსავალი. საფაშოში ყველაზე გავლენიანი და დიდი ფეოდალები სანჯაყბეგები

³⁶ H. Hadzibegić, A. Handzić, i E. Kovačević, Oblast Brankovića, opširni katastarski popis iz 1455 godine... გვ. 52—55.

³⁷ იქვე, გვ. 48—50, 111—112, 174—175, 197—200, 316—318, 321—323, 325—327, 347.

იყვნენ. მათი შემოსავალი 100000 ახჩაზე მეტი იყო, ხოლო ზოგისა კი — 500000 ახჩას აღემატებოდა.

ახალციხის საფაშოში ყველაზე დიდი ფეოდალი ჩილდირის (ახალციხის) მირმირანი, ბეგლარბეგი იუსუფ-ფაშა იყო, რომლის ყოველწლიური შემოსავალი დაახლოებით ერთ მილიონ ახჩას უდრიდა. ხოლო ყველაზე პატარა თიშარისა კი — 376 ახჩას.

„ჯაბა დავთარში“ რეგისტრირებული ლენის მფლობელნი მუსლიმანურ სახელებს ატარებენ, მაგრამ ექვს არ იწვევს, რომ მათი ძირითადი ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები იყვნენ.

დ. ბაქრაძე სამართლიანად წერდა, რომ ოსმალეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ტერიტორიაზე „მამულზე მფლობელობა და მათზე განკარგულება ქართველ ფეოდალების ხელში რჩებოდა“³⁸.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრისაგან“ განსხვავებით, სადაც კიდევ გვხვდება ფეოდალები — ქრისტიანები, მცირე ლენის (ჩიფთლიქების) მფლობელნი, რომლებიც ვალდებული იყვნენ ომის დროს ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღოთ³⁹, „ჯაბა დავთრის“ მიხედვით, ქართველი ფეოდალები მაჰმადიანები არიან.

თუ ქართველი ფეოდალების გამაჰმადიანების პროცესი „დავთარჯაბას“ მიხედვით დამთავრებული ჩანს, სულ სხვა ვითარება იყო გლეხებს შორის. ისინი ქრისტიანებად რჩებოდნენ და საუკუნეთა განმავლობაში ინარჩუნებდნენ ქართულ ენასა და წეს-ჩვეულებებს და მათ შორის გამაჰმადიანების პროცესი ძალზე ნელა მიმდინარეობდა.

„ჯაბა დავთარში“ ერთ ადგილას ჩაწერილია, რომ „ალი შავშეთელი აზნაურთაგანია“. ეს მეტად საყურადღებო ცნობაა, რადგან ოფიციალურ დოკუმენტში — დავთარში პირდაპირ დასახელებულია ქართველი ფეოდალის აღმნიშვნელი ტერმინი „აზნაური“. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს (ე. ი. XVIII ს-ის 20-იან წლებში) შავშეთში გამაჰმადიანებული ქართველი აზნაურები ცხოვრობდნენ. „ჯაბაში“ დამოწმებული ეს ცნობა ექვს არ უნდა იწვევდეს, მით უფრო, რომ იგი დასტურდება სხვა წყაროებითაც. XVII ს-ის 40-იან წლებში ახალციხის (ჩილდირის) საფაშოში იმოგზაურა ცნობილმა თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ. იგი შავშეთის შესახებ წერს, რომ მისი მოსახლეობა შედგება „ქართველი აზნაურებისაგან“⁴⁰.

³⁸ Д. З. Б а к р а д з е, Исторический очерк турецкой системы землевладения, 1889, с. 30.

³⁹ დავთარი, გვ. 335, 351, 405...

⁴⁰ أوليا چلبی سياحةنامهسى ტ. II, გვ. 325. თარგმანი. გ. ფუთურიძე ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 249.

ამ მხარეში ქართველი აზნაურების არსებობის ფაქტს ადასტურებს აგრეთვე ქართველი მოგზაური გიორგი ყაზბეგი, რომელმაც 1874 წელს „თურქეთის საქართველოში“ იმოგზაურა. იგი წერს: «До введения же новой организации (танзимата) здесь были азнауры, отпрыски старинных дворян. По сведениям, в Шавшети насчитывалось до 90 дворянских фамилий, привилегия которых состояла в том, что они могли владеть крестьянами и обязаны были бекам только службой на войне. Беги в свою очередь пользовались владельческими правами⁴¹».

როგორც ვხედავთ, ოსმალების მიერ შავშეთის მხარის დაპყრობის შემდეგ სამასი წლის განმავლობაში XIX ს-ის 40-იან წლებამდე⁴² აქ ცხოვრობდნენ ქართველი აზნაურები, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ გარკვეული პრივილეგიები.

ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა ვერ შეძლო აქ მთლიანად ქართული ფეოდალური წყობილების ერთბაშად მოსპობა და იგი საუკუნეთა განმავლობაში „რამდენადმე სახე-შეცვლილი ფორმით“ განაგრძობდა არსებობას.

ასეთია ზოგადად „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი“, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალთა ბატონობის დროინდელი სამხრეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად.

⁴¹ Г. К а з б е к, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОИРГО, кн. X, вып. I, Тф., 1876, с. 71.

⁴² ოსმალეთში XIX ს-ში ჩატარებული თანზიმათის რეფორმების შედეგად გამამბლანებულმა ქართველმა ბეგებმა თავიანთი შეღავათები და პრივილეგიები დაკარგეს და მათ ამის სანაცვლოდ სამემკვიდრეო პენსიები დაუნიშნეს.

ბეჰსტინსათვის

„ჯაბა დავთარი“, როგორც ჩანს, შედგენილია კანცელარიაში მოხელის მიერ სათანადო დოკუმენტების — ბერათებისა და თეზქერეების საფუძველზე. ბუნებრივია, ოსმალთა მოხელე მისთვის უცხო ტოპონიმებს წარმოადგენს გადასხვაფერებული სახითა და დამახინჯებული ფორმით, რაც ართულებს ისედაც სიაკათის ხელით დაწერილი ტოპონიმების წაკითხვასა და იდენტიფიკაციას სხვა ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროების მონაცემებთან. სირთულე ბევრად გამარტივდა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სამი წიგნის არსებობამ. მაგრამ დიდი დავთრისაგან განსხვავებით, „ჯაბა დავთარი“ შეიცავს აქარის, ლივანის და, რაც მთავარია, არტანუჯის, მცირე არტანის, ოლთისის, ნამირვანისა და ფერთექრექის რაიონებს. ამ მხარეთა შესახებ კი მასალა ძალზე მწირია. ამიტომ ზოგი ადგილის სახელი ჭეჩქერობით დაუზუსტებელი დარჩა. დაბეჭდვით ზოგიერთი ის ტოპონიმიც ვერ ამოვიკითხეთ, რომელიც დიდ დავთარშია ფიქსირებული. ასეთ შემთხვევაში გადმოღებულია ასოთა გრაფიკული მოხაზულობა დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე, ან მრავალწერტილია დასმული.

დიდი დავთრისაგან განსხვავებით რამდენიმე სოფელი ფიქსირებულია სხვა ნაპიეში, ლივა კი იგივეა, რაც შენიშნულია სქოლიოში.

როგორც უკვე ითქვა, ჩილდირის ეიალეთის დავთარში შეცდომით შეტანილია სომხთისა და ალაშკერტის ხასები. გორის მიდამოებში მდებარე 4 ზეამეთი და 2 თიბარი. მოხელის შეცდომა გამოცემაში არ სწორდება.

დედნის კვალობაზე დარჩა მცირე არტანის რეგიონი, მაგრამ სქოლიოში შენიშნულია, რომ ეგევე ლენი თუ სოფელი რეგისტრირებულია ყარსის დავთარშიც და მითითებულია შესაბამისი გვერდები.

თურქი მოხელე მისთვის უცხო ქართულ გეოგრაფიულ სახელებს ოთერქელებს. როგორც წესი, რთული გეოგრაფიული სახელი ერთი

კომპონენტითაა წარმოდგენილი: ფუჩხულეთი > فوچو ფუჩხუ, ორქო-შანი > اورچو ორჩო, კელთუბანი > كلتو კელთო, გიორგიწმინდა > گورگي იორგი, ხიზა-ბავრა خيزه ხიზა, მარცვალეთუბანი > مرسلي მარსალეთ, წყალმერთხევი آغز წყალ და ა. შ. როგორც თურქულ ტექსტში, ისე ქართულ თარგმანში სახელები სწორი, სრული ფორმითაა მოწოდებული, აღდგენილი ადგილები კუთხოვან ფრჩხილებშია მოქცეული, დედნისეული მცდარი წაკითხვები კი სქოლიოშია ჩატანილი.

სქოლიოში არის აღნიშნული ის სხვაობა, რომელიც გეოგრაფიული სახელების წაკითხვებსა და გრაფიულ გამოსახულებებში შეინიშნა „დიდ დავთარსა“ და „ჩაბა დავთარს“ შორის. სქოლიოშია ნაჩვენები აგრეთვე სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული მცირე არტაანის და ყარსის ოლქების იჭმალ დავთარისა (S 527) და ნამირვანის, თორთუმისა და ლივანას ლივების დიდი დავთარის (S 1035) განსხვავებული წაკითხვები.

გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციისათვის ვუთითებთ ერთ-ერთ დოკუმენტურ თუ ნარატიულ წყაროს, მეცნიერულ შრომასა თუ ცნობარს (იშვიათად რუკასაც), რომელშიც ფიქსირებულია სათანადო ტოპონიმი.

წყაროში, იქ, სადაც ლივა და ნაპიფა დასახელებული, სიტყვა ليزبور სრული ფორმითაა წარმოდგენილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ჩვენც ყველგან სრული სახით მოვიტანეთ. სოფლების დასახელებისას კი, რამდენიმე შემთხვევის გარდა, შემოკლებით წერია — მ (მიმი) და გამოცემაშიც ყველგან მ დავტოვეთ.

ტექსტში ყველა სახასო მამული თითო სოფლითაა წარმოდგენილი, მაგრამ სიტყვა خاص მრავლობით ფორმაშია მოცემული — خاصها (ها — არსებითი და ზედსართავი სახელების მრავლობითობის მაწარმოებელი აფიქსია სპარსულში) ამგვარადვე დარჩა იგი თურქულ ტექსტში, ქართულ თარგმანში კი მხოლოდითის ფორმით გადმოვიდა.

თურქული ტექსტის في, როცა იგი მორიგი წლის აღმნიშვნელ ციფრთანაა და რამდენადმე თავებად დამყოფის როლშია, ქართულად თარგმნილია „წელი“, ნაცვლად ადექვატური „წელს“||„წელში“ ფორმისა.

რადგანაც ვერ მოხერხდა თურქული ტექსტისა და ქართული თარგმანის პარალელურად გამოქვეყნება, შედარების გასაადვილებლად რიგითი ნომრები დავუსვით დედანსაც და თარგმანსაც. საერთოდ კი, ტექნიკურად ტექსტს შევუნარჩუნეთ დედნისეული სახე — როგორც თურქული ტექსტი, ისე ქართული თარგმანი ქვეყნდება ორ სვეტად.

ზამოკლებანი

- დავთარი — ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბილისი, 1958 წ.
- დავთარის დედანი — გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის თურქული ტექსტი, დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.
- დედანი — ჩილდირის ემაღეთის ჯაბა დავთარის თურქული ტექსტი, დაცული ბულგარეთში, კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში — Ф. ОР 261,17.
- ყარსის დავთარი — ბულგარეთში, კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში დაცულ Ф. ОР 261,17-ში შესული ყარსის დავთარის თურქული ტექსტი.
- Turd — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქული დოკუმენტების კოლექცია.
- S 527 — სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული მცირე არტანისა და ყარსის ოლქების იჯმალ დავთარი.
- S 1035 — სტამბულის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული ნამირვანის, თორთუმისა და ლივანას ლიეების დიდი დავთარი.
- ექსპედიცია კოლა-ოლთისში — ექვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938 წ.
- ბ. მ ა რ ი, დღიური — Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийскаго, грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию, С. Петербург, 1911 г.
- პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა — გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954 წ.

ი. სიხარულიძე, წიგნი I — ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს ტოპონიმია, აკარის ასსრ, წიგნი I, ბათუმი,
1958 წ.

Свод — Карсская область. Свод статистических данных, извлеченных посе-
мейных списков населения Кавказа. Тифлис, 1889 г.

Сборник маршрутов — Сборник маршрутов в районе Олты-Саганлуг—Эрзе-
рум, выпуск III, Тифлис, 1891 г.

Список — Список населенным пунктам Карсского округа.

П. Хелмицкий — Карсская область, военно-статистический и географи-
ческий обзор, часть 2. отделы II и III, Тифлис, 1893 г.

Чорохский край — Чорохский край, военно-статистический очерк, Выпуск I,
Тифлис, 1887 г.

Artvin — Artvin 1967 il Yılıığı.

ჩილდირის ეიპლეთის ჯაბა ღავთარო

ქართული თარგმანი

[1] 106 წელი¹

[1] მზვარის ნაპიფ ოლთის
ლის ლივაში.

სულემანი.

სოფელი ფერთასორი², ექვემდებარება ხსენებულს —

[1]106 წელს.

ჯამი 3000.

[2] ფანაკის ნაპიფ ამავე ლივაში.

მეჰნელი.

სოფელი კარქიო (?)³, ექვემდებარება ხსენებულს — [1]106

წელს.

ჯამი 10000.

[1]107 წელი⁴

[3] არტანუჯის ნაპიფ ამავე ლივაში.

აჰმელი.

სოფელი ... ექვემდებარება ხსენებულს —

ნებულს — [1]107 წელს.

ჯამი 1000.

[4] მზვარის ნაპიფ ოლთის
ლის ლივაში.

მუსტაფა მეჰმედის ძე

სოფელი ფერთასორი, ექვემდებარება ხსენებულს —

[1]107 წელს.

ჯამი 3000.

[5] მამირვანის ნაპიფ ამავე ლივაში.

მუსტაფა.

სოფელი ქამხისი⁵, ექვემდებარება ხსენებულს — [1]107

წელს.

ჯამი 4000.

[6] ფანაკის ნაპიფ ამავე ლივაში.

მუსტაფა.

სოფელი⁶ ماسو, ექვემდებარება

¹ 1694—1695 წ.წ. ² დათარი, გვ. 599. ³ იქვე, გვ. 567. ⁴ 1695—96 წწ.

⁵ დათარი, გვ. 575—76. ⁶ დათარის ღელანში ماسو წერია, შდრ. დათარი, გვ. 564.

ბა ხსენებულს — [1]107 წელს.
ჯამი 5000.

[1]108 წელი⁷

[7] ახას ნაჰიე მამირვანის
ლივაში.
ისმაილი.

სოფელი ფერთევან⁸, ექვემდებარება ხსენებულს —
[1]107 წელს.
ჯამი 2000.

[8] ქანარბელის ნაჰიე ჩი-
ლდირის ლივაში.

აჰმედი.
სოფელი ინდოქოსმან⁹,
ექვემდებარება ხსენებულს —
[1]108 წელს.
ჯამი 10000.

[9] მამირვანის ნაჰიე ამავე
ლივაში.
ოსმანი.

სოფელი ხუვახ¹⁰, ექვემდე-
ბარება ხსენებულს — [1]108
წელს.
ჯამი 3000.

[10] ხოჯევანის¹¹ ნაჰიე
მცირე არტაანის ლივა-
ში.
მირზა.

სოფელი სინოთ¹², ექვემდე-
ბარება ხსენებულს — [1]108
წელს.
ჯამი 6000, მთლიანი სახით
6000.

[11] ხოჯევანის ნაჰიე მცირე
არტაანის ლივაში.
აბდალი.

სოფელი ერდამელი¹³, ექვემდე-
ბარება ხსენებულს —
[1]108 წელს.
ჯამი 5999, მთლიანი სახით
6000.

[12] ხოჯევანის ნაჰიე მცირე
არტაანის ლივაში.
ჰუსეინი.

სოფელი ერდამელი, ექვემდე-
ბარება ხსენებულს — [1]108
წელს.
ჯამი 12500.

[13] ხოჯევანის ნაჰიე, მცირე
არტაანის ლივაში.
ჰუსეინი.

⁷ 1696—97 წ.წ. ⁸ დაეთარში შესულია ფანაკის ლივის ქამხისის ნაჰიეში. შტრ. აქვე, № 209, S 1035-ით კი ახას ნაჰიეშია, შტრ. П. Хелмицкий, გვ. 111—Пертеван-ოლთისის ოლქში; რუკებზე თერთევანია. ⁹ დაეთრის დედაწი *ان و كرسمان* იწერია, ჩვენს დედაწი კი *ان و سمان*, იხ. დაეთარი, გვ. 417. ¹⁰ იგივე ხავალი — ანძავის სამხრეთ-დასავლეთით, იხ. ესპედიცია კოლა-ოლთისში, გვ. 64. შტრ. აგრეთვე Хвак, Сборник маршрутов, გვ. 64, № 78; დაეთარი, გვ. 599. ¹¹ მდებარეობს არტაანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ¹² ახლანდელი სინექლი (რუკებიდან), მდებარეობს კოლაში, იხ. ესპედიცია კოლა-ოლთისში, გვ. 15. იგივე ლენი რეგისტრირებულია ყარსის დაეთარში, გვ. 26. ¹³ კოლაშია, შტრ. სიების *Эрдамел//Ардамел*, П. Хелмицкий, გვ. 107; *Свод*, № 546. ეგვევ ლენი რეგისტრირებულია ყარსის დაეთარში, გვ. 26.

სოფელი ტიკოში¹⁴, ექვემდებარება ხსენებულს — [1]108 წელს.
ჯამი 3000.

სოფელი მეიდანის¹⁸; ექვემდებარება ხსენებულს — [1]108 წელს.
ჯამი 4000.

[14]. ფანასკერტის ნაპიფე ფანაკის ლივაში.
ზეამეთი სულეიმანის სახელზე.
სოფელი ოლთათაბის¹⁵, ექვემდებარება ხსენებულს — [1]108 წელს.
ჯამი 26000.

[18] ხოჯევანის ნაპიფე მცირე არტაანის ლივაში.
ალი.
სოფელი ბორხანის¹⁹; ექვემდებარება ხსენებულს — [1]108 წელს.
ჯამი 4000.

[15] მზვარის ნაპიფე მცირე არტაანის ლივაში.
მუსტაფა.
სოფელი პატარა ჯულაქარის¹⁶, ექვემდებარება ხსენებულს — [1]108 წელს.
ჯამი 8000.

[19] მზვარის ნაპიფე დიდი არტაანის ლივაში.
ხოსრო.
სოფელი პატარა დეზადის²⁰, ექვემდებარება ხსენებულს — [1]108 წელს.
ჯამი 9000, მთლიანი სახით 10000.

[16] ხოჯევანის ნაპიფე მცირე არტაანის ლივაში.
ჰასანი.
სოფელი ზემო ხევისკარის¹⁷, ექვემდებარება ხსენებულს — [1]108 წელს.
ჯამი 5999.

1109 წელი²¹

[17] მზვარის ნაპიფე დიდი არტაანის ლივაში.
მაჰმუდი.

[20] ფანასკერტის ნაპიფე ფანაკის ლივაში.
მეჰმედი.
სოფელი ქამრისის²², ექვემდებარება ხსენებულს — [1]109 წელს.
ჯამი 1500.

¹⁴ სიების Тикош, П. Хелмицкий, გვ. 152. ¹⁵ დაეთარი, გვ. 582—83: ¹⁶ მდებარეობს მდ. ფანასკერტის მარჯვენა შენაკადზე, იხ. Свод 781; П. Хелмицкий, გვ. 166. დიდ დაეთარში ჯულაქარის საშია და სამივე შედის ფანაკის ლივაში, დაეთარი, გვ. 585—86. ¹⁷ ფიქსირებულია ყარსის დაეთარშიც (გვ. 26), შდრ. დაეთარი, გვ. 596. ¹⁸ დაეთარი, გვ. 509. ¹⁹ იყითხება მკაფიოდ, მსგავსადევა ფიქსირებული ყარსის დაეთარში (გვ. 26), იდენტიფიკაცია კი ვერ მოხერხდა. ²⁰ დაეთარი, გვ. 507, 515. ²¹ 1697 — 98 წ.წ. ²² დაეთარი, გვ. 587.

[21] ჩრდილის ნაპივე მცირე არტაანის ლივაში. მეჰმედი. სოფელი ფლორ-მორი²³, ექვემდებარება ხსენებულს — [1]109 წელს. ჯამი 5000.

[22] ხოჯევანის ნაპივე მცირე არტაანის ლივაში. ჰასანი. სოფელი²⁴ كورار ექვემდებარება ხსენებულს — [1]109 წელს. ჯანი 4000.

[23] ხოჯევანის ნაპივე მცირე არტაანის ლივაში. რასული. სოფელი ლორევერანი(?), ექვემდებარება ხსენებულს — [1]109 წელს. ჯამი 1000.

[24] ტყე-ნაპივე დიდი არტაანის ლივაში. აჰმედი. სოფელი სამაბეგი²⁵, ექვემდებარება ხსენებულს — [1]109 წელს. ჯამი 5000.

1110 წელი

Z

1111²⁶ წელი

[25] ქამხისის ნაპივე ფანა-

კის ლივაში. ზეამეთი აჰმედის სახელზე. სოფელი სოლომონი²⁷, ექვემდებარება ხსენებულს — [1]111 წელს. ჯამი 18000.

1112 წელი

Z

[1]113 წელი²⁸

[26] ფანასკერტის ნაპივე ფანაკის ლივაში. მეჰმედი. სოფელი კარნაევანი²⁹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]113 წელს. ჯამი 2000.

[27] ახალციხის ნაპივე ამავე ლივაში. ომერი. სოფელი ბაღდადი³⁰ (?), ექვემდებარება ხსენებულს — [1]113 წელს. ჯამი 15000.

[28] მზვარის ნაპივე ოლთისის ლივაში. ხიდირი. სოფელი ხამასი³¹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]113 წელს. ჯამი 6500.

²³ Свод, № 596. ²⁴ შდრ. ყარსის დაეთრის كورار გვ. 81. ²⁵ დაეთარი, გვ. 536. ²⁶ 1699—1700 წ.წ. ²⁷ დაეთარი, გვ. 577—578. ²⁸ 1700—01 წ.წ. ²⁹ დაეთარი, გვ. 590. ³⁰ ბაღდადი ახალციხის რაიონში არ ჩანს. ³¹ დაეთარი, გვ. 595.

[29] ბარდუსის ნაპიფე ოლ-
თისის ლივაში.

ალი.

სოფელი ჩათაკი³², ექვემდე-
ბარება ხსენებულს — [1]113
წელს.

ჯამი 5999.

[30] ჩრდილის ნაპიფე მცირე
არტაანის ლივაში.

მუსტაფა.

სოფელი სიგნოთი³³, ექვემდე-
დებარება ხსენებულს — [1]113
წელს.

ჯამი 4500.

[31] ჩრდილის ნაპიფე მცირე
არტაანის ლივაში.

ოსმანი.

სოფელი ზემო ფანიკი³⁴,
ექვემდებარება ხსენებულს —
[1]113 წელს.

ჯამი 3000.

[32] ჩრდილის ნაპიფე მცირე
არტაანის ლივაში.

ჰამდი.

სოფელი გეჯი³⁵, ექვემდებარება
ხსენებულს — [1]113
წელს.

ჯამი 3000.

[1]114 წელი³⁶

[33] ტაოსკარის ნაპიფე არ-
ტანუჯის ლივაში.

ომერი.

სოფელი არგნისი³⁷, ექვემდე-
დებარება ხსენებულს — [1]114
წელს.

ჯამი 10000.

[34] არტანუჯის ნაპიფე ამავე
ლივაში.

მეჰმედი.

სოფელი ზირაკი³⁸, ექვემდე-
დებარება ხსენებულს — [1]114
წელს.

ჯამი 5500.

[35] არტანუჯის ნაპიფე ამავე
ლივაში.

სულემანი ომერის ძე.

სოფელი ახიზა³⁹, ექვემდებარება
ხსენებულს — [1]114
წელს.

ჯამი 3000.

[1]115 წელი⁴⁰

[36] ჩრდილის ნაპიფე ფოც-
ხოვის ლივაში.

მეჰმედი.

³² Сборник маршрутов, გვ. 68, № 103. ³³ Сигнот, იხ. Свод, № 603, П. Хелмицкий გვ. 80. ³⁴ შღრ. Свод, № 552. ³⁵ შეიძლება იყოს სიების Гедж || Геч სოფელი, იხ. П. Хелмицкий, გვ. 103; Свод, № 479, მაგრამ ყარსის დავთარში كاس მოხაზულობაა. ³⁶ 1702—03 წ.წ. ³⁷ სიებში ფიქსირებულია Аркунис ფორმიით, Свод, № 786. იგივე არგინისი, იხ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში, გვ. 15, ახლანდელი Demirkent, იხ. Artvin, გვ. 58. ³⁸ წაკითხვა თითქოს საეკვო არ არის და მაინც ამ სახელწოდების გეოგრაფიულ პუნქტს ვერ მიაგენით. ³⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 178; პ. ინგოროყვა, გვ. 376—77; ახლანდელი Ferhatli, იხ. Artvin, გვ. 50. ⁴⁰ 1703—1704 წ.წ.

- სოფელი გუმანი⁴¹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 2000.
- [37] მზვარის ნაპიე მცირე არტაანის ლივაში.
კასიმი.
სოფელი ახრისი⁴², ექვემდებარება ხსენებულს — 1115 წელს.
ჯამი 6999.
- [38] უდეს ნაპიე ახალციხის ლივაში.
ზეამეთი ომერის სახელზე.
სოფელი სათლელ⁴³, ექვემდებარება ხსენებულს — 1115 წელს.
ჯამი 20000.
- [39] ჩრდილის ნაპიე ფოცხოვის ლივაში.
ოსმანი.
სოფელი გუმანი, ექვემდებარება ხსენებულს — 1115 წელს.
ჯამი 2000.
- [40] ალთუნკალცას ნაპიე ამავე ლივაში.
ზეამეთი სულემანის სახელზე.
სოფელი ფხერო⁴⁴, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 26235.
- [41] ჩრდილის ნაპიე დიდი არტაანის ლივაში.
ზულფუკარი.
სოფელი სეფისხევი⁴⁵, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 6000.
- [42] ნიალისყურის ნაპიე ახალქალაქის ლივაში.
ალი.
სოფელი გომი⁴⁶, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 4000.
- [43] ჯანბაზის ნაპიე ჩილდირის ლივაში.
ჰუსეინი.
სოფელი ქორეთ⁴⁷, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 6500.
- [44] მზვარის ნაპიე მცირე არტაანის ლივაში.
იუსუფი.
სოფელი დიდი კარაბალი⁴⁸, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 6600.
- [45] ჩრდილის ნაპიე დიდი არტაანის ლივაში.
მეჰმედი.

41 დავთარი, გვ. 464. 42 შღრ. Ахрис, Свод, № 704, П. Хелмуцкый, გვ. 110.
43 დავთარი, გვ. 105. 44 იქვე, გვ. 157. 45 იქვე, გვ. 525. 46 იქვე, გვ. 379. 47 იქვე, გვ. 408. 48 რუკებზე კარაბალი არტაანის სამხრეთითაა დატანილი, ოღონდ ჩრდილის ნაპიეშია.

სოფელი ქამასორი⁴⁹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 13100.

[46] ჯანბაზის ნაპიფ ჩილდირის ლივაში.
ზეამეთი მუსტაფას სახელზე.
სოფელი რაბათი⁵⁰, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 22000.

[47] მზვარის ნაპიფ დიდი არტაანის ლივაში.
ზეამეთი ალის სახელზე.
სოფელი შადევიანი⁵¹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 20999.

[48] ჯანბაზის ნაპიფ ჩილდირის ლივაში.
მუსტაფა.
სოფელი ალბუტი⁵², ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 10041.

[49] ხოჯევიანის ნაპიფ მცირე არტაანის ლივაში.
ჰუსეინი.
სოფელი حورجری, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 3000.

[50] ქაკარაქის ნაპიფ ამავე ლივაში.
ისმაილი.
სოფელი კვალთახევი⁵³, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 7900.

[51] თმოგვის ნაპიფ ახალქალაქის ლივაში.
ალი.
სოფელი ვაშლობი⁵⁴, ექვემდებარება ხსენებულს — [1]116 წელს.
ჯამი 15300.

[52] ქაკარაქის ნაპიფ ამავე ლივაში.
ჰასანი.
სოფელი გიორგი [წმინდა] ⁵⁵, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 7000.

[53] ნიალისყურის ნაპიფ ახალქალაქის ლივაში.
იუსუფი.
სოფელი გომი⁵⁶, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 12000.

[54] მგელციხის ნაპიფ ჩილდირის ლივაში.
ზეამეთი ისმაილის სახელზე.
სოფელი ოხორა⁵⁷, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 3000.

⁴⁹ შდრ. დავთარი, გვ. 522. ⁵⁰ იქვე, გვ. 379. ⁵¹ იქვე, გვ. 509—10. ⁵² იქვე, გვ. 401. ⁵³ იქვე, გვ. 213—14. ⁵⁴ იქვე, გვ. 365. ⁵⁵ იქვე, გვ. 212. ⁵⁶ აქვე, № 41. ⁵⁷ დავთარი, გვ. 429.

- ბარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 22500.
- [55] ჯანბაზის ნაპიფე ჩილდირის ლივაში.
მუსტაფა.
სოფელი პატარა ჯანბაზი⁵⁸, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 12500.
- [56] ჰაქარაქის ნაპიფე ამავე ლივაში.
ალი.
სოფელი კისათიბი⁵⁹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 10000.
- [57] ტყენაპიფე დიდი არტაანის ლივაში.
ჰუსეინი.
სოფელი ბეგრახათუნ⁶⁰, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 9000.
- [58] ჯანბაზის ნაპიფე ჩილდირის ლივაში.
შაპინი.
სოფელი ზაქარწმინდა⁶¹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 6000.
- [59] ასპინძის ნაპიფე ამავე ლივაში.
ზეამეთი ალის სახელზე.
სოფელი წყალბილა⁶², ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 25999.
- [60] ჩრდილის ნაპიფე დიდი არტაანის ლივაში.
ალი.
სოფელი აკამეთ⁶³, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 12280.
- [61] მზვარის ნაპიფე ახალციხის ლივაში.
ზეამეთი სალექის სახელზე.
სოფელი ჰვინტა⁶⁴, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 23900.
- [62] ჩრდილის ნაპიფე დიდი არტაანის ლივაში.
ზეამეთი ომერის სახელზე.
სოფელი საზარა⁶⁵, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 8000.
- [63] ჩრდილის ნაპიფე შავეთის ლივაში.
ისლამი.

⁵⁸ დაეთარი გვ. 384—385. ⁵⁹ იქვე გვ. 215. ⁶⁰ იქვე გვ. 540. ⁶¹ იქვე, გვ. 392—393. ⁶² იქვე, გვ. 196. ⁶³ იქვე, გვ. 520. ⁶⁴ იქვე, გვ. 56. ⁶⁵ იქვე, გვ. 521—22.

სოფელი სათლელ⁶⁶, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 5999.

[64] აკშეპირის ნაპიდე ახალქალაქის ლივაში. ჰუსეინი.
სოფელი ეშტიო⁶⁷, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 10000.

[65] ნიალისყურის ნაპიდე ახალქალაქის ლივაში. დერვიში.
სოფელი გელცოხ⁶⁸, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 4000.

[66] აკშეპირის ნაპიდე ახალქალაქის ლივაში. ჰალილი.
სოფელი ვაჩიან⁶⁹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 6000.

[67] ტყე-ნაპიდე დიდი არტაანის ლივაში.
აბდ-ულ-ქერიმი.
სოფელი იშაგომ⁷⁰, ექვემ-

დებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 7499.

[68] ტყე-ჯავახეთის ნაპიდე ხერთვისის ლივაში. ჰუსეინი.
სოფელი ბოქთასყურ⁷¹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 3000.

[69] ტყე-ნაპიდე დიდი არტაანის ლივაში.
ზეამეთი ჰასანის სახელზე. სოფელი დიდი ტიკან⁷², ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 3400.

[70] მზვარის ნაპიდე ახალციხის ლივაში. ოსმანი.
სოფელი აგარა⁷³, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 7000.

[71] ანძავეის ნაპიდე ოლთისის ლივაში. აპმედი.
სოფელი გელათ⁷⁴, ექვემდებარება ხსენებულს — [1]115 წელს.
ჯამი 6000.

⁶⁶ დოკუმენტშია სათათლისი, მაგრამ შავშეთში სოფ. სათლელი იყო (დაეთარი, გვ. 105—106) და შავშეთის სანჯაყბეგი სათლელში იქდა, შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975, გვ. 255. ⁶⁷ დაეთარი, გვ. 320. ⁶⁸ იქვე, გვ. 370—71. ⁶⁹ იქვე, გვ. 309. ⁷⁰ იქვე, გვ. 535. ⁷¹ იქვე, გვ. 281. ⁷² იქვე, გვ. 544. ⁷³ იქვე, გვ. 53—54. ⁷⁴ П. Хелмицкий, გვ. 160, Геллят.

[72] აკშეპირის ნაჰიე
ახალქალაქის ლივაში.
ჰუსენი.
სოფელი ქარცებო⁷⁵, ექვემ-
დებარება ხსენებულს — [1]115
წელს.
ჯამი 10000.

[1]116 წელი⁷⁶

[73] ახას ნაჰიე მამირვა-
ნის ლივაში.
ჰასანი.
სოფელი სამქარი⁷⁷, ექვემ-
დებარება ხსენებულს — [1]116
წელს.
ჯამი 4000.

[74] აკშეპირის ნაჰიე
ახალქალაქის ლივაში.
ისმაილი.
სოფელი დიდი მაქატი⁷⁸,
ექვემდებარება ხსენებულს —
[1]116 წელს.
ჯამი 12000.

[75] ჩრდილის ნაჰიე დიდი
არტაანის ლივაში.
აბუბეკრი.
სოფელი ნორპეტი⁷⁹, ექვემ-
დებარება ხსენებულს — [1]116
წელს.
ჯამი 7000.

[76] ხერთვისის ნაჰიე ამა-
ვე ლივაში.
ისმაილი.
სოფელი ხიზა[ბავრა]⁸⁰ ექ-
ვემდებარება ხსენებულს —
[1]116 წელს.
ჯამი 15000.

[77] აკშეპირის ნაჰიე
ახალქალაქის ლივაში.
ზეამეთი ჰასანის სახელზე.
სოფელი ოკამი⁸¹, ექვემდებარე-
ბა ხსენებულს — [1]116 წელს.
ჯამი 29000.

[78] ჩრდილის ნაჰიე დიდი
არტაანის ლივაში.
ზულფუკარი.
სოფელი პეტრე-[ბავლე]⁸²,
ექვემდებარება ხსენებულს —
[1]116 წელს.
ჯამი 9500.

[79] ტყე-ჯავახეთის ნაჰიე
ხერთვისის ლივაში.
მუსტაფა.
სოფელი ბოჟანო⁸³ ექვემდე-
ბარება ხსენებულს — [1]116
წელს.
ჯამი 10000.

[80] აკშეპირის ნაჰიე
ახალქალაქის ლივაში.
ალი.

⁷⁵ დავთარი, გვ. 310. ⁷⁶ 1704—05 წწ. ⁷⁷ მდებარეობს ნამირვანში, ყარაღალის მთის აღმოსავლეთ კალთაზე. თურქ ისტორიკოსებს ფიქსირებული აქვთ Samagar//Sam-
igar ფორმით. ⁷⁸ დავთარი, გვ. 312. ⁷⁹ დავთარშია ნორბერთი, გვ. 589, მდებარე-
ობს ილორისა და ოლთისის წყლის შესართავში, იხ. ექსპედიცია კოლა-ოლთისში გვ.
59. ⁸⁰ დავთარი, გვ. 245. ⁸¹ იქვე, გვ. 310. ⁸² იქვე, გვ. 524—25. ⁸³ შდრ. დავ-
თარი, გვ. 271.

სოფელი გომი⁸⁴, ექვემდებარება ხსენებულს — [1]116 წელს.
ჯამი 8000.

[81] ასპინძის ნაპივე ამავე ლივაში.
ავეზი.

სოფელი ზურჯელ⁸⁵, ექვემდებარება ხსენებულს — [1]116 წელს.
ჯამი 10000.

[82] ოცხეს ნაპივე ამავე ლივაში.

ზეამეთი აპედის სახელზე.
სოფელი ხერხემ⁸⁶, ექვემდებარება ხსენებულს — [1]116 წელს.
ჯამი 21500.

[83] აწყურის ნაპივე ახალციხის ლივაში.
მეჰმედი.

სოფელი ჯგარეთ⁸⁷, ექვემდებარება ხსენებულს — [1]116 წელს.
ჯამი 12500.

[84] აკშეჰირის ნაპივე ახალქალაქის ლივაში.
მეჰმედი.

სოფელი ოკამ⁸⁸, ექვემდებარება ხსენებულს — [1]116 წელს.
ჯამი 10666.

[85] აკშეჰირის ნაპივე ახალქალაქის ლივაში.
ზეამეთი მუსტათას სახელზე.
სოფელი ქვემო ხოსპია⁸⁹, ექვემდებარება ხსენებულს — [1]116 წელს.
ჯამი 30990.

[86] კაკარაქის ნაპივე ამავე ლივაში.
მუსტათა.
